სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 23 თებერვალი 2000 №32 (1054) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან ბოსკამპი ფედერაციას: ვინც თქვენზე ცუდი რამე თქვას!..

გადრი კეთილაძის ფოტო

პირმოკუმული იოჰან ბოსკამპი მერაბ ჟორდანიას: არაფერი მითქვამს...

10 თებერვალი. გერმანული სპორტული ჟურნალი „კიკერი“. ბელგიელი ჟურნალისტის კრისტიან მარტელურის წერილი. საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის ნათქვამი: „მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე“.

21 თებერვალი. თბილისი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას სიტყვები: „მან თუ ასეთი რამ მართლაც განაცხადა, რაც ძალიან შეეჭვება, პასუხს აუცილებლად მოვთხოვთ. ასეთ განცხადებას არ შევარჩენთ და თუ საჭირო გახდა, სათანადო ორგანოებშიც ვუჩივლებთ“.

საქმე, ალბათ, სასამართლომდე აღარ მივა. გუშინწინ ფეხბურთის ფედერაციაში ბოსკამპმა ფაქსი გამოგზავნა: „საკმაოდ აღშფოთებული ვარ, რადგან დიდი სირცხვილია ასეთი რამის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც ბოლო დრომდე ვმუშაობდი და კეთილგანწყობა მაკავშირებს... წერილი, რომელსაც თქვენ იმოწმებთ, ბევრ ტყუილს შეიცავს. დარწმუნებული ვარ, რომ ის აბსურდული მტკიცება, რაც იქ წერია, ეყრდნობა „რასინგ მეხელენის“ წარმომადგენელთა ღვარძლიან განცხადებებს“. ბოსკამპი იმასაც იწერება, რომ დე იონგთან ერთად სიამოვნებით იხსენებს საქართველოში გატარებულ დროს.

ამ ფაქსის შინაარსი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ასევე ფაქსით გაუგზავნა ჟურნალ „კიკერს“ და კრისტიან მარტელურის წერილის უარყოფა სთხოვა: „მადლობელი ვიქნებით, თუ თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში საქართველოს ნაკრების ყოფილი და ფ.კ. „გენის“ ახლანდელი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის წერილსაც თუ გამოაქვეყნებთ“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახლა ისღა დარჩენია, დაადგინოს ის ბელგიური გაზეთი, რომლითაც ისარგებლა მარტელურმა იმ სტატიის წერისას და რომელმაც ასე აღაშფოთა ფედერაციის მოხელენი. პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამბობენ, რომ უეჭველად მიაკვლევენ იმ ცილისმწამებელ ბელგიურ გაზეთსა და ავტორს, თუმცა, მათივე თქმით, საქმე უფრო „კიკერთან“ აქვთ, გადაუმოწმებელი წერილი არ უნდა დაებეჭდათო.

იხილეთ მეორე გვერდი

ამას სასტუმრო, იმას განათება

უეფამ ქართულ კლუბებს სტადიონები დაუწუნა

სუპერთასი თბილისში?!

სუპერფინალის თბილისში გადმოტანით აღშფოთებულ „ტორპედოს“ ქომაგებს ვერც „სამგურალის“ განადგურება ანუგეშებთ

უნგრეთი ავსტრალიას მპჰდარი თევზებით ემუქრება

დღეს „ნეპშტადიონზე“ არეულობას ელიან

ჩელსი თუ არსენალი?

რუუდ ვან ნისტელროის ფასი დაახლოებით ოცი მილიონი გირვანქაა

კასპაროვმა პიკეტზე კისერი წაიტეხა

ახალმა კაცმა იერუნ პიკეტმა ძველ ჩემპიონ გარი კასპაროვს ინტერნეტით მოუგო

ვინც თქვენზე ცუდი რამე თქვას!..

ძვირფასო კარლ-ჰაინც!

ვიცით რა ზოგადად საქართველოსადმი და კერძოდ ქართული ფეხბურთისადმი თქვენი პატივისცემა, მოგმართავთ პირადად. ეს თქვენს ჟურნალში 1999 წლის 10 თებერვალს (ვფიქრობთ, 1999 წელი 2000-ის ნაცვლად შეცდომითაა მითითებული) 32-ე გვერდზე გამოქვეყნებულმა სტატიამ გვაიძულა, რომლის ავტორიც გახლავთ კრისტიან მარტელური. გთხოვთ, სტატიის დართულ ასლს ყურადღება მიაქციოთ.

აგრეთვე გიგზავნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბატონ იოჰან ბოსკამპისადმი მიწერილ ფაქსს და მის პასუხსაც, რომელიც თავად მეტყველებს.

ძვირფასო კარლ-ჰაინც! საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კრისტიან მარტელურის მიერ დაწერილი, ზემოხსენებული სტატიის უარყოფას მოითხოვს. მადლობელი ვიქნებით, თუ თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში საქართველოს ნაკრების ყოფილი და ფკ „გენკის“ ახლანდელი მწვრთნელის, ბატონი იოჰან ბოსკამპის წერილსაც გამოაქვეყნებთ.

იმავდროულად გვსურს გაცნობოთ იმ სატელეფონო საუბრის შესახებ, რომელიც სტატიის ავტორთან გვქონდა. მან გვითხრა, რომ არასდროს უსაუბრია ბოსკამპთან და ეს ინფორმაცია ბელგიურ პრესაში მოიძია.

მოგახსენებთ, რომ ბელგიური პრესა დიდად არ გვაინტერესებს და მაინც, გარწმუნებთ, რომ უეჭველად მივაკვლევთ იმ გაზეთის სახელწოდებას, რომლიდანაც თქვენმა ჟურნალისტმა შეუმოწმებელი ინფორმაცია მოიძია და „კიკერში“ გამოაქვეყნა. მეორე მხრივ, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ის, რაც ცნობილ, საქართველოში პოპულარულ და პატივცემულ ჟურნალ „კიკერში“ დაიბეჭდა.

ველით თქვენს პასუხს და ვრჩებით გულწრფელად თქვენი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ძვირფასო იოჰან!

გერმანულ გაზეთ „კიკერში“ (№ 13/6 10.02.2000) გამოქვეყნებულია ინტერვიუ, სადაც თქვენ ამბობთ, რომ შეგიძლიათ მთელი წიგნის დაწერა ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე. გთხოვთ კომენტარი გაუკეთოთ ამ სტატიას.

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ საპასუხო ფაქსი, სადაც უარყოფთ ან დაადასტურებთ აღნიშნული ფრაზის სისწორეს.

პატივისცემით,

ვალერი ჩოლარია, გენერალური მდივანი

ძვირფასო ბატონებო!

დღეს მივიღე თქვენი ფაქსი. უნდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ აღშფოთებული ვარ, რადგან უდიდესი სირცხვილია ასეთი რამის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც უკანასკნელ დრომდე ვმუშაობდი და კეთილგანწყობა მაკავშირებს.

მე და ბატონი დე იონგი სიამოვნებით ვიხსენებთ საქართველოში გატარებულ დროს.

სტატია, რომელსაც თქვენ იმოწმებთ, სიყალბეზეა აგებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის აბსურდული მტკიცება, რაც იქ წერია, ეყრდნობა „რასინგ მეხელენის“ წარმომადგენელთა ღვარძლიან განცხადებებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ჩემი საუკეთესო დამოკიდებულებების- დასტურია ისიც, რომ მე უკვე ვესაუბრე „გენკის“ ხელმძღვანელობას და შევთავაზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გამართვა.

ვიმედოვნებ, გაზეთებში გამოქვეყნებული ჭორების მიუხედავად, კვლავაც მეგობრად მიგულებთ.

სპორტში თქვენი იოჰან ბოსკამპი

„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე

იოჰან ბოსკამპი: მე?!..

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჯერჯერობით კრისტიან მარტელური დუმს და ფედერაციას არ ან ვერ ეუბნება, სად ამოიკითხა ბოსკამპის სიტყვები. ჟურნალისტის პასუხს ფედერაციაში დღეს ელიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით კი მერაბ ჟორდანიამ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

— მე და გენერალურმა მდივანმა ფირმა „ლოტოსთან“ კონტრაქტი გავაფორმეთ და ფრანკფურტის გავლით შინ ვბრუნდებოდით, როცა 10 თებერვლის „კიკერი“ მოგვაწოდეს, ჩვენი იმიჯის შემლახველი სტატიაც გერმანიაშივე წავიკითხეთ. იმ დღესვე დავუკავშირდით ფიფასა და უეფას შესაბამის კომიტეტებს და ვთხოვეთ, ერჩიათ, როგორ მოვქცეულიყავით. გვითხრეს, ჯერ თავად ბოსკამპს დაუკავშირდით, მერე ჟურნალს, რომელშიც წერილი იყო დაბეჭდილი, ყველაფერი, ტყუილ-მართალი გაარკვიეთ და მერე მოგვმართეთო. ასეც გავაკეთეთ. დავუკავშირდით ბოსკამპს, „კიკერში“ გამოქვეყნებულის უარყოფა ან დადასტურება მოვთხოვეთ. აგერ, მის მიერ გამოგაზვნილი ფაქსიც. გვეეჭვებოდა, ბოსკამპს ასეთი რამ ექთვა, ახლა დავრწმუნდით. ის მსგავსსაც არაფერს იტყოდა. ჩვენ „კიკერის“ გამომცემელ კარლ-ჰაინც ჰაიმანსაც გავუგზავნეთ ფაქსი და ქართული ფეხბურთის შეურაცხმყოფელი წერილის უარყოფა ვთხოვეთ. ახლა საქმეში ფიფა-უეფას ჩარევა ალბათ საჭირო აღარ იქნება.

ბოსკამპის ფაქსში სიტყვა „რასინგ მეხელენზეც“ იყო. ზუსტად ვერ გეტყვით, რას გულისხმობს მწვრთნელი, მგონი, იმას, რომ „მეხელენში“ თავის დროზე ქართველები თამაშობდნენ და მაშინ, ცოტა არ იყოს, სკანდალური ვითარებაც შეიქმნა.

ჩვენ ბოსკამპს კუთვნილი ხელფასი ბოლომდე გადავუხადეთ. თეთრი არ გვაქვს მისი ვალი. მწვრთნელი თბილისის „დინამოსაც“ გასტუმრებული ჰყავს. კლუბს დღეს მხოლოდ დონდტისთვის აქვს მისაცემი გასამრჯელოს ნაწილი.

პრესკონფერენცია მალე დამთავრდა. საკითხავიც რაღა იყო? ბოსკამპი ამბობს, თქვენზე ცუდი, აბა, როგორ დამცდებოდაო. ისე, საინტერესო კია, იმ ბელგიურ გაზეთში რა ეწერა. საიდან წინადადება — მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე...

გაგრძელება ალბათ იქნება...

კობა ინასარიძე

გლობალ-ური ხედვით

თბილისური „ვიტ ჯორჯია“ ორიოდ დღეა, თურქული შეკრებიდან დაბრუნდა. კლუბმა დაასრულა სამეორეწრეო სამზადისის მესამე ეტაპი. ახლა, ჩემპიონატის განახლებამდე, ვიტელები თბილისში ივარჯიშებენ.

ვეტერინართა თურქული ეოიაჟისა და მთლიანად საწვრთნელი პროცესის ავკარგიანობის შესახებ, ბუნებრივია, ამომწურავ პასუხს გუნდის მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე გასცემს. ბატონი სერგო შაბათს სპორტულ ჟურნალისტებს საპრესკონფერენციოდ იწვევს — ერთმანეთს ცივილიზებულად დაველაპარაკოთ, ყველა კითხვაზე პასუხს გაგცემთო.

მანამდე კი „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს მოვუსმინოთ:

— შეკრების მოსაწყობად ანთალია საგანგებოდ შევარჩიე. ამისთვის დიდი ხანი ვემზადებოდით. თურქულ მხარესთან ყველა წვრილმანი საკითხი ადრევე შევათანხმეთ.

„ვიტ ჯორჯია“ სპორტულ-დასასვენებელ კომპლექს „ბელიზში“ მოეწყო, რომელიც დაბა ბელექში, ანთალიიდან 30 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ბიჭები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში განთავსდენ — ზღვის სანაპირო, ირგვლივ ფიჭვნარი, სამჯერადი სპეციალიზებული კვება, საუნა, ტრენაჟორები, თურქული აბანო, სხვადასხვა კომპიუტერული და გასართობი სათამაშოები, მოკლედ, ყოველგვარი კომფორტი ნორმალური, თანამედროვე ფუნქციონირებისთვის.

ჩვენს განკარგულებაში, დროის შეუზღუდავად, იყო ორი სავარჯიშო მოედანი. წვრთნა დღეში სამჯერ მიმდინარეობდა. პირველი დილით 8 საათზე იწყებოდა და მთლიანად ფიზმომზადებას ეთმობოდა, დანარჩენი ორი ბურთების თანხლებით, სხვადასხვა სათამაშო სიტუაციების დამუშავებას უნდებოდა.

ანთალიაში, ჩვენთან ერთად, 30-მდე სხვადასხვა ქვეყნის გუნდი იმყოფებოდა. გერმანია, ავსტრია, რუმინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები, რუსეთი და თავად თურქეთიც. მოკლედ, საფეხბურთო ევროპა სოლიდურად იყო წარმოდგენილი.

ჩემი არჩევანიც სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. მინდოდა, გამეგო, რა დონეზეა „ვიტ ჯორჯია“ ევროპულ გუნდებთან შედარებით. არ დავმალავ იმას, რომ ანთალიიდან კმაყოფილი დავბრუნდი. ბიჭებს თამაში არ წაუგიათ. მართალია, ამხანაგურ მატჩებში წარმატებული ასპარეზობა დიდი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ გარკვეული გზა გამოჩნდა. დავრწმუნდი არჩეული გზის სისწორეშიც.

თავიდანვე ასე ჩავიფიქრე, მსურდა, გუნდი დროებით მაინც ყოველდღიური, ქართული პრობლემებისგან გამეთავისუფლებინა. მინდოდა, ყოფილიყვნენ უდარდელად, მხოლოდ ფეხბურთზე და დასვენებაზე ეფიქრათ. ჩემი ფეხბურთელები ჯერაც მზარდი, ახალგაზრდა ბიჭები არიან. ყოველგვარ უსიამოვნებებს მოცილებულებმა მუხლჩაუხრელად იშრომეს. ვერ გეტყვით, რა და როგორ აგვეწყობა ჩემპიონატში, მაგრამ მჯერა, მათი ზრდა ჯერაც არ დასრულებულა, ისინი კიდევ დაოსტატდებიან, კიდევ ორმაგად მოუმატებენ.

ანთალიურმა შეკრებამ ის თვრამეტი ფეხბურთელი წარმოაჩინა, რომლებიც ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

გადაწყდა, „ვიტ ჯორჯიაში“ სამი ახალწვეულია — თენგიზ კობიაშვილი, ლევან მელქაძე და ირაკლი ხაჭაპურიძე ვეტერინარები არიან. პირადად მე მათი გარჯით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით მელქაძეს გამოვყოფდი. ამ ბიჭს მეტოქეთა კარის აღების ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა. რამდენი მომენტიც შეექმნა, იმდენივე გოლად აქცია.

ანთალიაში ყოფნისას, კერძოდ, მაკედონიურ „სლოგასთან“ მატჩზე დასასწრებად ჩამოვიდა „გლობალ სპორტნეტის“ აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ტომ შუსტერი.

შუსტერს თან ჰქონდა უკვე გამზადებული კონტრაქტი, თუ „ვიტ ჯორჯია“ ევროპულ სარბიელზე მოხვდა, მაშინ სატელევიზიო კონტრაქტების მოწესრიგებას სწორედ „გლობალ სპორტნეტი“ იკისრებდა.

გავეცანი მათ მიერ მომზადებულ ხელშეკრულებას, 8 ცვლილება შევთავაზე თითოეულ პუნქტში. პრინციპში თანახმანი არიან და ალბათ საბუთებზე ხელმოწერაც შედგება. ჩვენ დღედღეზე ველოდებით მათ ზარს.

ბოლოს კი აქაურ ამბებს მოგახსენებთ. მცხეთაში გრძელდება სამუშაოები ორი სათადარიგო მინდვრის მოსაწყობად. ერთი, წიდისაფრაინი, ზომებით 70X55-ზე, აპრილისთვის მზად იქნება, ხოლო მერე, ბალახის საფარით, ზომებით 105X68-ზე, ოთხშრიანი დრენაჟით, სექტემბრისთვის დასრულდება.

ჯერჯერობით სულ ესაა. ვნახოთ, რა შეგვეძლება, თუმც ერთი ფაქტია, ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ, „ვიტ ჯორჯიას“ შენება და ზრდა გრძელდება.

მამუკა კვანტალიანი

დინამომ სპარტაკი იუკადრისა

თბილისის „დინამომ“ და „ლოკომოტივმა“ გუშინ კვიპროსზე თითოთითო ამხანაგური მატჩიც ითამაშეს. ორივემ წააგო.

„დინამომ“, რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკთან“ თამაში რომ ჰქონდა დაგეგმილი, დილით, მეტოქედ პოლონური „პოლონია“ ირჩია და შესვენებამდე გაშვებულ სამ გოლს მეორე ტაიმში არმაზ ჯელაძისა და გიორგი შენგელიას გოლებით უპასუხა.

„სპარტაკთან“ მატჩი კი, იმის გამო არ შედგა, რომ რუსებს კვიპროსზე ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავდათ ჩაყვანილი, „დინამოს“ მწვრთნელმა ოთარ კორლალიძემ კი დუბლებთან სათამაშოდ არა გვცალიაო და პოლონელების ძირითადთან გაჯიბრება ისურვა.

„პოლონიასთან“, რომელიც დღესდღეობით ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი (რუხაძე), დიდავა, ვაშაკიძე, ქემოკლიძე (შენგელია), დათუაძე, სიჭინავა, რ. არველაძე, ჯინჭარაძე, წიტაიშვილი, ა. ჯელაძე (ძოძუაშვილი).

„დინამომ“ ორი ფეხბურთელი „ლოკომოტივიდან“ რომ დაიმატა, ერთი გასასვისა. გიორგი ანჩაბაძე იქვე, სხვა სასტუმროში გადაბარგდა, ვლადიკავკაზის „ალანიას“ შეუერთდა და მასთან ერთად ვარჯიშობს. დარჩება თუ არა ანჩაბაძე ვლადიმერ გუცაევის გუნდში ეს უახლოეს მომავალში გადაწყდება.

რაც შეეხება „ლოკომოტივს“, ტოლიატის „ლადასთან“ 1:3 დამარცხდა, გოლი ცეზარ ხუროძემ გაიტანა. რევაზ ძოძუაშვილმა ბოლო კვიპროსულ მატჩში ყველა ის ფეხბურთელი გამოცადა, რომლებიც კუნძულზე იახლა, „ლადას“ 22 ფეხბურთელი დაუპირისპირა. თამაში კი ამათ დაიწყეს: ლომაია, ონიანი, ბალაშვილი, აბრამიძე, ჩიხრაძე, პარამონოვი, კაციაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ხიზანიშვილი, გოდერძიშვილი, ხუროძე.

ძოძუაშვილის თქმით, „ლოკომოტივის“ რამდენიმე ფეხბურთელით უცხოური კლუბები დაინტერესდნენ, თუმცა საქმე ამას იქით არ წასულა.

შინ ორივე გუნდი დღეს დაბრუნდება.

კობა ინასარიძე

ქართული ფეხბურთი: მე მიცავს ჩემი პოლიცია!

არა მგონია, ვლადიმერ მაიაკოვსკის წესრიგის დამცველთა შეკვეთით დაეწერა ეს ცნობილი ფრაზა. არც ნამეტნავად შეყვარებული იქნებოდა მილიციაზე... უბრალოდ, სურვილი გათქვა ხმამაღლა და ჩინოსნებს ძალოვანი სტრუქტურების არსებობის მთავარი პრინციპი და მოვალეობა შეახსენა.

სურვილი ერთია და შესაძლებლობა მეორე. ქაღალდზე დაწერილ ბრძანებას შესრულებაც უნდა.

დიდი სურვილი აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, განახლებული სეზონის დროს სტადიონებზე სრული წესრიგი სუფევდეს. ჰოდა, თადარიგიც ადრიანად დაიჭირა — 27 იანვარს ფედერაციის პრეზიდენტმა №36 წერილი აფრინა შინაგან საქმეთა სამინისტროში და ძალოსნებს სთხოვა, XI ეროვნული ჩემპიონატისა და თასის X გათამაშების მატჩებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უზრუნველყავითო.

როგორც ხდება ხოლმე, ადრესატმაც ოჯრატულად უპასუხა ფედერაციას და ბავით თეორზე დაწერილით ამცნო, თქვენი თხოვნა გათვალისწინებულია, მითითებები აჭარის შს სამინისტროს, ქალაქ თბილისისა და საშხარეო შს მთავარი სამმართველოების უფროსებს გავუგზავნეთ და ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ახლა პოლიციის შესაძლებობებზეც ვთქვათ. კრიმინალთა პარპაშისა და დემონტრაციათა აღკვეთის ფაქტებზე ლაპარაკი ჩვენი საქმე არ არის, მხოლოდ ორ მაგალითს გავიხსენებთ XI ეროვნულის პირველი ეტაპიდან.

7 ნოემბერი. მეთერთმეტე ტური. „მერანი“ — „ტორპედო“. შეხვედრის ბოლო წუთებზე სტუმართა მეკარე ჭანტურიასა და თბილისელ მაყურებლებს შორის გვარიანი გაწევ-გამოწევა მოხდა. ვერც მოთამაშის გაჩერება შეძლო ვინმემ და ვერც გულშემატკივართა ერთი ჯგუფისა. სულ უბრალო მიზეზით: „სინათლეზე“ პოლიციელის ჭაჭანება არ იყო...

28 ნოემბერი. მეთოთხმეტე ტური. „ხობი“ — „იბერია“. მატჩის შემდეგ მსაჯთა ბრიგადა პოლიციელების გარემოცვით ტოვებდა მოედანს და გაავებული ქომაგებისგან თავს იცავდა. ყველასთვის მოულოდნელად, მთავარ მსაჯს წესრიგის დამცველმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ეს ხაქმე დღემდე ძიებაშია.

იმედია, მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება და პოლიციაც თამამად ეტყვის ქართულ ფეხბურთს: „გიცავდი და კვლავ დაგიცავ!“

ხვიჩა სანიძიძე

იმედია, პოლიციელებს ყურადღება აწი აღარ გაეფანტებათ

გურამ დოლიძეს ფოტო

სუპერთასი თბილისში?!

ქუთაისელ ქომაგებს ვერც სამგურალის განადგურება ანუგეშებთ

სხვისი რა მოგახსენონ და ეს ცნობა „ტორპედოს“ ქომაგთა მრავალრიცხოვან არმიას კი მართლა დაამწუხრებს. არა, ისეთი არაფერი მომხდარა, მშვიდობაა, მაგრამ...

აგერ მესამე თვეა ქუთაისი სუპერფინალის მოლოდინშია. ხუმრობა საქმეა, 29 თებერვალს ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონისა და თასის მფლობელის ნამეტნავად გაჭიანურებული შერკინებაა დანიშნული, „დინამო“ — „ტორპედო“ ქუთაისში უნდა ჩატარდეს, სუპერფინალს თასის მფლობელი უმასპინძლებსო. „ტორპედოს“ ფანობა ხელებს იფშვნეტდა: გაახლებულ — გალამაზებულ სტადიონზე შავ დღეს ვაყრით მარად ჩემპიონსო.

ვინ იცის, ეგებ ასეც მოხდეს, ტორპედოელებმა მართლაც აჯობონ „დინამოს“, ოღონდ თავიანთი სიძლიერის დამტკიცება იმავე 29 თებერვალს არა საკუთარ სტადიონზე, არამედ დედაქალაქში, „ეროვნულზე“ მოუწევთ.

ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი. „ტორპედოს“ თავკაცმა დავით ყიფიანმა სუპერფინალის თბილისში გადატანის მიზეზი მოკლედ აგვიხსნა:

— ასე ვამჯობინეთ, სუპერფინალს დედაქალაქში ვითამაშებთ. ფედერაციას და „დინამოს“ უკვე შევუთანხმდით. რა თქმა უნდა, ჩვენთვის კარგი იქნებოდა მატჩი ქუთაისში რომ გამართულიყო, მაგრამ მინდვრის საფარს გავუფრთხილდით, წვიმა ან თოვლი რომ დაგვსწრებოდა, საქმე გაფუჭდებოდა, მინდორი არცთუ დიდი ხნის შეთესილია. გვსურს, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპის სასტარტო მატჩი საზეიმო ვითარებაში ჩატარდეს. „ტორპედოს“ მეპატრონეებიც ამ აზრისა გახლავან.

ერთი სიტყვით, ასეა — სუპერფინალი თბილისში ჩატარდება და იმასაც გეტყვით, რომ ქვეყნის თასის პირველ მერვედფინალურ მატჩსაც „აკადემიასთან“, რომელიც 25 თებერვალს ქუთაისში უნდა გამართულიყო, „ტორპედო“ სტუმრად ჩაატარებს, მასპინძლის როლში კი მხოლოდ 8 მარტს მოგვევლინება.

თურქულ — ბულგარულ ვოიაჟმოლეულმა „ტორპედომ“ გუშინ შინაური საკონტროლო მატჩიც გამართა. საღორიის ბაზაზე ქუთაისელები „სამგურალს“ გაეჯიბრნენ და, უნდა ითქვას, უშანსოდ დატოვეს მეტოქე.

თამაშის დასაწყისში გოგიაშვილის მიერ წყალტუბოელთა საჯარიმოში ჩაწოდებულს იონანიძემ ულამაზესი თავური მიაყოლა და ანგარიში გახსნა. მერე გოგიაშვილმა ჯარიმიდან ჩხეტიანს დაუგორა დასარტყმელად და მანაც ცაციათი დაახლოებით 30 მეტრიდან ცხრიანში გაჭედა ბურთი. ტორპედოელებმა მეორე ტაიმშიც წყვილი გაიტანეს. იმავე იონანიძემ და ვაჩიბერაძემ გამოიჩინეს თავი. სხვათა შორის, იონანიძე ჰეთ-თრიკთანაც ახლო იყო, მაგრამ მის. მიერ 11-მეტრიანიდან დარტყმულს წყალტუბოელთა სათადარიგო მეკარე ბოდოკია გადაეღობა. საბოლოოდ 4:0.

დავით ყიფიანმა ამ უკანასკნელ საკონტროლო შეხვედრაში ყველა ფეხბურთელს მისცა თამაშის საშუალება, მოედანზე მხოლოდ კახა კვეტენაძე და დავით ჯანაშია არ გამოჩენილან მიკროტრავმების გამო.

„სამგურალის“ თავკაცმა იასონ ბზიკაძემაც ყველა გამოსცადა. საქმე კურიოზამდეც კი მივიდა. შემცვლელი რომ არ ჰყავდა (ღონღაძე დაშავდა), „სამგურალმა“ მეორე ტაიმის ბოლო ოცი წუთი ათი კაცით ითამაშა.

წყალტუბოურ გუნდში სიახლეებიცაა. ერთი საათის განმავლობაში კარს ნიკა ხელაძე იცავდა. თუმცა ამ გამოცდილი გოლკიპერის „სამგურალში“ დარჩენის საკითხი დიდი კითხვის ქვეშაა. ხელაძე ბოლოს რუსეთში თამაშობდა და მისი ტრანსფერი გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული. დაცვის მარჯვენა ფლანგზე ექსლოკომოტიველი ბესიკ ბერაძე ვიხილეთ. „ბონა“ თავის ძველ გუნდში დაბრუნებას ფიქრობს, ოღონდ არც მისი საკითხია საბოლოოდ გადაწყვეტილი.

როგორც შევიტყვეთ, „სამგურალში“ თამაშზე ყაბულსაა სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივიდან“ წამოსული მამუკა ხუნდაძე, რომელიც უახლოეს დღეებში შეუერთდება წყალტუბოელებს.

სხვა სიახლეებიცაა მოსალოდნელი. ადვილი შესაძლებელია, „სამგურალს“ „ტორპედოს“ რამდენიმე ფარმკლუბელი დემატოს. საუბარია ზვიად სტურუას, კახა ვადაჭკორიას, რევაზ კვერნაძის და შოთა ბაბუნაშვილის წყალტუბოში მივლინებაზე, რის თაობაზეც „ტორპედოს“ და „სამგურალის“ თავკაცები გუშინ საღამოს აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.

იუზა კაციტაძე

ქუთაისიდან

1999 წლის 9 მაისი. „დინამოზე“ „ტორპედოს“ გამარჯვების დღე

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

ამას სასტუმრო, იმას განათება

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით მყოფმა უეფას სპორტულ ნაგებობათა კომიტეტის წევრებმა ფეხბურთის ფედერაციის თანმხლებ წარმომადგენლებს სტადიონებისა და ქალაქების დათვალიერების შემდეგ სანუგეშო ვერაფერი უთხრეს. როცა მშენებარე „მიხეილ მესხი“ ნახეს და პროექტს შეავლეს თვალი, ერთადერთი სასიამოვნო ეს განაცხადეს — თუ სტადიონი ზუსტად ამ პროექტის შესაბამისად ააშენეთ, ჩათვალეთ, რომ ხუთვარსკვლავიანი სარბიელი გექნებათ, ძალიან კარგი სტადიონი გამოვაო.

სტუმრებმა „მიხეილ მესხის“ გარდა თბილისში ეროვნული და „შევარდენის“ სტადიონებიც ნახეს. „შევარდენზე“ ანტისანიტარიაა, ამას თუ მოუვლით, პრობლემა არ არის, ახალგაზრდული ნაკრებების მატჩების აქ ჩატარების ნებას დაგრთავთო. ეროვნულის თაობაზე კი... განათება, სკამები... ეს სტადიონი კატასტროფულ მდგომარეობაშიაო.

უეფას დელეგაცია ქუთაისს, ფოთსა და ბათუმსაც ეწვია. იმერლებს მიუთითეს, რომ სასტუმროები არა აქვთ, ფოთელებსაც ერთი-ორი შენიშვნა მისცეს, ბათუმელებს მოკლედ უთხრეს, თუ განათებას მოაწესრიგებთ, ხვალვე შეგიძლიათ უეფას ეგიდით ჩატარებულ მატჩებს უმასპინძლოთო.

უეფას სტადიონების კომიტეტის წევრები ბათუმიდან თურქეთს გაემგზავრნენ. ისინი 19 მარტს თავიანთ შტაბბინაში შეიკრიბებიან და ითათბირებენ, მაისში კი „ტასკ ფორსის“ სხდომა გაიმართება, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდება, რომელი სტადიონი აკმაყოფილებს უეფას მოთხოვნებს.

უფრო დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში“ წაიკითხავთ, რა დაიბარეს უეფასაგან გამოგზავნილმა სტუმრებმა. ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია მოეწყობა.

კოგა ინასარიძე

მამუკა ქორიძე

ბადრი ჯეიელაძის ფოტო

ქორიძე გორდას და ფეხბურთს დაეთხოვა

გუშინ რუსთავის „გორდას“ ვარჯიშზე მისულს შეწუხებულმა მასპინძლებმა მაცნობეს, ეროვნული ჩემპიონატის განახლებას დიდი დანაკლისით ვხვდებით., მამუკა ქორიძემ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტაო...

მამუკა ქორიძე... ფეხბურთელი, რომელიც 14 წელია, ერთგულად ემსახურება მშობლიური ქალაქის გუნდს. ქორიძე თავიდანვე უნიჭიერეს მეკარედ ითვლებოდა, მან ჯერ კიდევ საბჭოთა პირველობაზე თამაშისას მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. საფეხბურთო ექსპერტები პერსპექტიულ რუსთაველ მეკარეს დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ და ქორიძეც ენერგიულად თამაშობდა, ბოლომდე იხარჯებოდა, ხშირად მარტოს შემოუტრიალებია და გადაუწყვეტია მატჩი ბედი, მერე კი... იყო შეცდომებიც, იმედგაცრუება, გაუთავებელი ტრავმები, მაგრამ ქორიძე მაინც იდგა კარში. ბოლოს ძველმა ტრავმამაც შეახსენა თავი და... უცებ გადაწყვიტა — მივდივარო, თქვა...

პირველ ეროვნულ ჩემპიონატს მამუკა ქორიძე „ქუთაისში“ შეხვდა. დებიუტიც არ ჰქონია ურიგო, მაგრამ მხოლოდ. სამი თამაში ჩაატარა ქუთაურთა რიგებში და რუსთაველი კაცი „გორდას“ დაუბრუნდა. იმ დღიდან თავისი გუნდის ერთგული დარჩა. ქორიძეს რუსთაველთა რიგებში 179 მატჩი დაგროვებია... ასმეოთხმოცესაც ითამაშებსო, რიხით მითხრეს გუშინდელმა მასპინძლებმა — „გორდა“ ღვაწლმოსილ მეკარეს ამაგს დაუფასებს. მალე „ფოლადზე“ მამუკა ქორიძის ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩი გაიმართება.

პაატა კვანტალიანი

ბათუმი და არსენალი მოიცდიან

25, 28 და 29 თებერვალს საქართველოს თასის მატჩებია დანიშნული, მაგრამ, როგორც ჩანს, მერვედფინალების პირველი ეტაპის თამაშებს დადგენილ ვადებში სრულად ჩატარება არ უწერია. საქმე ის გახლავთ, რომ რუსთავის „გორდას“ ორი ფეხბურთელი საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებშია გამოძახებული, რომელიც კილასონიებთან ერთად 26 თებერვალს ზაგრებს მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩების ჩასატარებლად. ამასთან დაკავშირებით რუსთაველებმა დებულება მოიშველიეს, რაც „გორდას“ უფლებას აძლევს, მატჩის გადავადება მოითხოვოს. კილასონიების ზაგრებში გამგზავრების გამო, ალბათ, მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩიც არ შედგება 5 მარტს. ამ დღეს, წესით და რიგით, რუსთაველები „არსენალს“ უნდა სწვეოდნენ. „გორდას“ უფლება აქვს, ამ მატჩის გადატანა მოითხოვოს, რადგან საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები სავარაუდოდ 6 მარტს დაბრუნდება ხორვატიიდან.

მოკლედ, რუსთაველები გუშინ სამზადისში იყვნენ, შესაბამის წერილს ამზადებდნენ საშეჯიბრო კომიტეტის სახელზე და დღეს თავიანთ მოთხოვნას ფედერაციაშიც წარადგენენ. სწორედ ამის შემდეგ დაადგენს აღნიშნული კომიტეტი რუსთაველთა სათასო და კალენდარული მატჩების ჩატარების ახალ თარიღებს.

პაატა კვანტალიანი

ბათუმში სჯერათ: მარტში ჩემპიონი გაირკვევა

ბაბრი კეთილაძის ფოტო

„ლოკომოტივიდან“ დათხოვილი პაატა ბარნოვის (ბურთით) შეფარება „ბათუმმაც“ იუარა

იტალიელი მწვრთნელები რომ „კატენაჩიოს“ მოყვარულნი არიან, არ ახალია. დაცვითი ფეხბურთის ახლებური სისტემა სწორედ მათი გამოგონილია და, რაღა თქმა უნდა, მას პირველად იტალიელი გამოიყენებს.

როგორც ჩანს, საფეხბურთო კლუბ „ბათუმის“ იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალეს გუნდის დაცვის ხაზის კიდევ უფრო გაძლიერება განუზრახავს და სასურველი ფეხბურთელის ძიებაშია.

— ორ დღეში ალბათ ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდება. ახალი ფეხბურთელი, ვინც „ბათუმში“ მოვა, ამპლუით მცველია. კარნევალემ გუნდიდან უკანა ხაზის მოთამაშე, პაატა ბარნოვი გაათავისუფლა. როგორც იცით, იგი პირველი ეტაპის შემდეგ თბილისის „ლოკომოტივიდან“ მოვიდა, ბარნოვი ჩვენთან გასინჯვაზე იმყოფებოდა. დაცვაში ვერ გაამართლა, ნაზევარდაცვის ხაზში კი ფეხბურთელები საკმაოდ გვყავს. ამიტომაც მწვრთნელმა თავად ისურვა ასე — გვითხრა „ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ ცინარიძემ გუშინდელი სატელეფონო საუბრისას.

ხორვატ ლეგიონერ ბოკიჩზეც ვკითხეთ, მან კი გვიპასუხა, ნორჩაში ბოკიჩმა მხოლოდ ორ მატჩში ითამაშა. არ მოგვეწონა და არ ავიყვანეთ, ამიტომაც ხორვატიაში გაბრუნება მოუხდაო.

„ბათუმში“ ახლა 22 ფეხბურთელი ვარჯიშობს, რომლებიც თავგამოდებით ემზადებიან რუსთავის „გორდასთან“ თასის მერვედფინალისთვის სათამაშოდ და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის. თამაზ ცინარიძე ოპტიმისტურადაა განწყობილი, ისეთი გუნდები შეიკრიბნენ, მწამს, ჩემპიონატი საინტერესოდ წარიმართებაო. მან მეორე ეტაპის საწყის ტურებში გუნდის მეტოქეთა ვინაობა რომ ჩამოთვალა, დაუფიქრებლად განაცხადა: „მარტში გადაწყდება, ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი.“

რა თქმა უნდა, ცინარიძეს ამის თქმის საბაბს „ბათუმის“ მიერ იტალიაში გავლილი საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება და ჩატარებული შვიდი ამხანაგურ-საკონტროლო მატჩი აძლევს: „ყველანი იმედიანად ვართ, გუნდი ჩინებულად მოემზადა, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვისაც და თასისთვისაც იბრძოლებს, უმთავრესი მიზანი კი უეფას საგზურის დაუფლებაა, კარნევალეც სწორედ ამ აზრზეა“ — დასძინა ცინარიძემ.

ზღვისპირელები ამხანაგურ მატჩთა ნუსხას ხვალ ერთსაც მიუმატებენ — გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე, 15 საათზე მეტოქედ თსუ ეყოლებათ.

გიორგი ვაშაძიძე

საშუალოზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანანია,ჩხაბერიძე(სამგურალი),ვ.მისურაძე(თბილისი)	გ.გოგოლაძე,თაგბერიძე,ვადაჭკორია,კვერნაძე,ბაბუნაშვილი(ინტერი),ქადაგიძე(ნორჩიდინამელი)	ქოიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინიკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტსპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი)3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი) 1:2,ყაზახეთი2:2,დუსტლიკი(უზბეკეთი)4:3,სპარტაკი(ვარნა,ბულგარეთი) 1:3,სამგურალი4:0
დინამო *თეიმურ ყორღანაძე*	აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი), ზირაქაშვილი(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ.კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ვ.გიგაძე,ს.გიგაძე(ანჟი,რუსეთი)	გოგიჩაიშვილი(ლოკომოტივი),კერძევაძე(ქიაფაზი,აზერბაიჯანი),ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი), რ.არველაძე(ობერჰაუზენი,გერმანია), გონჩაროვი(არსენალი),ჩხეიძე(არ თამამობდა)	ვიტ ჯორჯია 3:2,ლოკომოტივი 1:2, საქართველოU21 2:2,ცაგდინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარზობი(ტაჯიკეთი)3:5,ირბეშბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დუბრეკენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3
კოლხეთი *გია ტყემალაძე*	დ.გოგოლაძე(ვენტსპილსი,ლატვია),ქოხონელიძე(თსუ),მელაძე(გორდა),ბულუხია,გ.გიორგაძე(თამაშიმიატოვეს)	მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ.ჩხენკელი(ტრავმის გამო არ თამამობდნენ),დ.კვირკველია,კრასოვსკი(კოლხეთი 2),რ.ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი)	ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკი (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2,ობოლონ ჰპო(კიევი,უკრაინა)0:0
ბათუმი *ჯანი კარნევალე*	პაპიძე, გადელია(თბილისი),კანტიძე(თამაშიმიატოვა), უვაკვე (?)	ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი)	რეშიცა (რუმინეთი) 1:2,არეცო(იტალია)3:1,სტიაუა(რუმინეთი)3:4,არჯეში(რუმინეთი) 1:2, ზაგლუბიე(პოლონეთი) 4:1, ვისლა(პოლონეთი)3:2
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ.ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი(თსუ)	ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),თ.კობიაშვილი(დინამო)	ზოოვეტი5:0,დინამო2:3,თსუ6:4,დილა 1:0, მერანი 0:0,სიონი 1:0,საქართველოU21 1:0,არსენალი2:1,ფენდიქსფორი(თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1,სლოგა(მაკედონია) 3:0, ნოიდორფი(ავსტრია)0:0,პოგონი(პოლონეთი) 1:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,ი.ნადირაძე(არსენალი)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ.შენგელია(ივერია)	ვიტ ჯორჯია 0:1,არსენალი 1:1, 1:3,გორდა 1:1,0:0, ზოოვეტი 8:2
დილა *მერაბ კოჭლაშვილი*	გ.ჩიტაია(კოლხეთი),თაყაძე(შერიფი,მოლდოვა)	საყვარელიძე(დილასკოლა)	ვიტ ჯორჯია 0:1,ლოკომოტივი 3:1,თსუ 0:0,თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0,0:5,არსენალი 1:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ.მეტრეველი(დნეპრი,უკრაინა), ზ.მეტრეველი(ნივა,ტერნოპოლი,უკრაინა),დარსაძე(სამგურალი),ქველაძე(?)		

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	გოგიჩაიშვილი(დინამო),მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი), ლ.მეკალძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნიკნიკაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი,უკრაინა), კ.მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი),ნემსაძე,დოლაბერიძე, ბარნოვი(?)	ლომაია(დინამო),კვარაცხელია, აბრამიძე,ზ.ხიზანიშვილი(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია), ძოძუაშვილი(სამგურალი),დ.გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი2),ქოქვეიშვილი(ალანია, რუსეთი),თოლორდავა(მერანი),ა.ჯელაძე(ალიტიჰადი,საუდეთი),გ.გვაზავა(თსუ),ონიანი (ხობი), ნიკურაძე,გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დევდარიანი(ცხუმი),გამცემლიძე(არ თამამობდა)	დინამო 2:1,დილა 1:3,მერანი 2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი,რუსეთი) 2:1,აეკ(ლარნაკა,კვიპროსი) 1:0,შერიფი(მოლდოვა)0:2,ლადა 3ეზ(ტოლიატი,რუსეთი) 1:3
გორდა *ია სონ ალადაშვილი*	ინსარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (პოლონი, საბერძნეთი), თელაშვილი (?)	კ.ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ.ნიკლაური,სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი), ბურნაძე, გ.კიჭასონია, შ.მეტრეველი, თ.მეტრეველი(არ თამამობდნენ)	სიონი 1:1,0:0,ხალიბი 4:3,3:2,2:0
თსუ *თენგიზ კაკაია*	ნინუა(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),გ.გვაზავა(ლოკომოტივი),ჯოხაძე (არსენალი)	მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ებრალიძე(თბილისი),სულავა(ნორჩიდინამოელი),ქოხონელიძე(კოლხეთი)	ვიტ ჯორჯია 4:6,ლოკომოტივი 0:1,2:2,მერანი 1:0,ზოოვეტი 4:2, დილა 0:0, ზუგდიდი 6:1
მერანი *სერგო გაბელაია*	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი),ბ.ამბიძე,ლ.ამბიძე(დინამო,ასტრახანი,რუსეთი)	კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),გ.ილურიძე,აბულაძე(განთიადი), ბოლქვაძე(გურია),ა.ხორხელი (არ თამამობდა)	ვიტ ჯორჯია 0:0,ლოკომოტივი 2:2, 1:0,დინამო 0:0, ქაბუკიანი 1:1,ცხუმი 6:0,3:1,დილა 0:0,5:0,ლოკომოტივი 23:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0
თბილისი *რამაზ შუმლაძე*	ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე,ზ.ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია),ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ)	ვ.მისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი 2),კობრეიძე(სამგურალი),კ.მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა),გადელია (ბათუმი),ყუფარაძე,(არსენალი),გ.ლუდუშაური(არ თამამობდა)	დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,სა.იბერია 0:0,ქაბუკიანი 3:1, აკადემია 2:1
საგურამო *ია სონ ბზიკაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი),ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი (ბათუმი),კობრეიძე(თბილისი),კოპალიანი(XXსაუკუნე)	კ.ჯანანია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამამობდა),გიორგობიანი(ლეჩი,ვლადივოსტოკი,რუსეთი),დარსაძე(იბერია)	ინტერი 8:0,გაგრა 5:2,ტორპედო 0:4
ხობი *უმწვრთნელოდ*	ლ. გვაბავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიქაბერიძე, ბაბუაძე,გოგიტაძე, ზ.კვეკვესკირი,თორია (?)		
არსენალი *ჯონი ჯანელიძე*	ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(დინამო),დაუშვილი(სიონი),ყუფარაძე(თბილისი),მ.მისურაძე(?);მამუკა გეგეჭკორი(მწვრთნელი,დათხოვეს)	ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი),დ.ჯანელიძე,ნიკნიკაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი.კაპანაძე, ნ.მინდიაშვილი(სიონი),გ.ტულუში(ცხინვალი),ჯობავძე(თსუ),შუკაკიძე(ზოოვეტი);ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი 2:3:0,აკადემია 3:0, დილა 1:1,მეტალურგი 4:0,ლოკომოტივი 2:3:1

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

სამიდან ორმა

მალტაში შეკრებაზე მყოფმა სარატოვის „სოკოლმა“ საკონტროლო მატჩში დიდი ანგარიშით — 4:1 დაამარცხა გერმანულ ობერლიგაში მოასპარეზე „მანჰაიმი“. როგორც იცით რუსული კლუბის ღირსებას სამი ქართველი — მიხეილ ჯიშკარიანი, გიზო ჯელაძე და ირაკლი გემეზაშვილი იცავს.

„მანჰაიმთან“ შეხვედრაში ქართული სამეულიდან ორმა გამოიჩინა თავი. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა ანგარიში 1:1 გახლდათ, გიზო ჯელაძემ ცარევის ზუსტი პასი გამოიყენა და თავისიანები დაწინაურა. მატჩის მიწურულს კი ჯიშკარიანმაც იყოჩაღა. მის მიერ ზუსტად შესრულებულმა პენალტმა საბოლოო წერტილი დასვა — 4:1. ითამაშა თუ არა სარატოველთა ახალწვეულმა ირაკლი გემეზაშვილმა, ჩვენთვის უცნობია.

შეგახსენებთ, სარატოვის „სოკოლი“ რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გამოდის. გასულ სეზონში ეს კლუბი მესამე ადგილზე გავიდა და ელიტაში აღზევებამდე სულ ერთი ნაბიჯი დააკლდა.

ზვიად გაჩეჩილაძე

ბადრი კვეწელაძის ფოტო

მიხეილ ჯიშკარიანი

მაკაბიმ გახოკიძის შემცვლელი მოძებნა

ჩვენებურს მკაცრი სასჯელი ელის

ჰაიფას „მაკაბიდან“ გიორგი გახოკიძის დათხოვნის თაობაზე პარასკევის „სარბიელში“ გაცნობეთ. როგორც მოგეხსენებათ, ტოტოს თასის ფინალის 45-ე წუთზე გახოკიძე ფეთაჰ თიკვას „მაკაბის“ წევრს, ცაჰი შმარუაჰუს უკნიდან ეუხეშა, შემდეგ მისკენ წასულ შარონ ცოფინს თავური უთავაზა და ნოკდაუნში გაგზავნა, ბოლოს კი წაქცეულს თავზე დააფურთხა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ეპიზოდამდე, ძერე კი ჰაიფას კლუბიდანაც გაძევებული ფეხბურთელის მომავალ[illegible] სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს. ჩვენებურს გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია ელის. თუ სასწაული მო[illegible] და დისციპლინარებმა გახოკიძე [illegible]ბრალეს, მაშინ ჰაიფელები მას სასა გუნდში გაანთხოვრებენ.

ქართველი ნახევარმცველის მკაცრად დასჯას წინასწარ შეგუებული „მაკაბის“ პრეზიდენტი იაკობ შახარი გახოკიძის შემცვლელის ძიებაშია. ისრაელურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველის, ევგენი ხარლაჩევის ჰაიფაში შესაძლო გადაბარგების შესახებ. ეს გუნდები შარშან, თასების თასის ბოლო გათამაშებაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და „მაკაბის“ ხელმძღვანელობასაც ჯერ კიდევ მაშინ დაუდგამს თვალი ხარლაჩევისთვის. კლუბი „ლოკომოტივთან“ საბოლოო შეთანხმების შემდეგ ხარლაჩევი მომავალი სეზონიდან ჰაიფას „მაკაბის“ ღირსებას დაიცავს და გახოკიძის ადგილსაც დაიკავებს.

ხვიჩა სანიკიძე

ბადრი კვეწელაძის ფოტო

გიორგი გახოკიძეს შეიძლება ჰაიფადან გამგზავრებამ მოუწიოს

კობის კვირეულ

წინა კვირა ფრაიბურგელმა ლეგიონერებმა გადაგვირჩინეს. დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მებრძოლი ორივე ქართველი — კობიაშვილიც და იაშვილიც დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. იაშვილს მატჩის გადარჩენაც შეეძლო, მსაჯს კოლერის უხეშობა რომ დაენახა და ქართველის წაქცევისთვის პენალტი დაენიშნა. კობიაშვილმა კი ბოლო ათი ტურის განმავლობაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. იგი აქამდე არცთუ სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა, ბოლო ტურებში სოლიდური „კიკერისგან“ ძირითადად „3“-იანებს იღებდა, შემდეგ „3,5“, „4“ და „5“-იანიც კი გამოურია.

„ბორუსიასთან“ კი ფრაიბურგელთა ათიანის გარჯა, რომელიც გერმანულმა კლუბმა 3 მილიონ მარკად შეიძინა, 2,5 ქულით შეფასდა. ამდენივე ერგო კიდევ ორ ფრაიბურგელს (დიარასა და გოლცს) და ორ დორტმუნდელს (ბუტსა და როიტერს). მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი „კიკერმა“ 2 ქულით ვეტერანი იურგენ კოლერი დაასახელა.

ქართველების კარგი თამაშის მიუხედავად, „ფრაიბურგი“ ნელ-ნელა ეშვება მეორე ბუნდესლიგისკენ. ახლა გუნდს 24 ქულა აქვს და მხოლოდ 4 ქულა აშორებს გასავარდნი ზონისგან. მომავალ ტურში ჩვენებურთა გუნდს ძალიან მძიმე ბრძოლა ელის „ჰანზასთან“, რომელიც ასევე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

ამ უქმეებზე ინგლისში თასის მეოთხედფინალები შედგა. ყველა ქართველი ისვენებდა. ქინქლაძის „დერბი“ დიდი ხანია, ამ გათამაშებიდან გავარდნილია, ქეცბაია ბობი რობსონმა პირველდივიზიონელ „ტრანმერთანაც“ არ ათამაშა, თემური კვლავ სათადარიგოებში იჯდა. რატი ალექსიძეს კი „ჩელსი“ ჯერ სარეზერვო გუნდისთვის ამზადებს და „ჯილინგემთან“ მხოლოდ მაყურებელს წარუდგინა.

ჰოლანდიის მეორე დივიზიონში ბოლო ტურის შემდეგ ორი ლიდერი დარჩა — „გრონინგენი“ და არჩილ არველაძე. „ბრედა“ „ნოლლეთ“ ქულები დაკარგა და მათ 2-ით ჩამორჩა. შაბათს „ბრედამ“ საშუალო დონის „ტოპ ოსს“ უმასპინძლა, ბრაზილიელი სერჟიოს გოლით იმარჯვა. კიტ ზვანბონმა ცვლილებას მიმართა და არველაძე და სამხრეთაფრიკელი სალმანი (კლუბის ორი ბომბარდირი) მინდორზე მეორე ტაიმის ბოლოს შეუშვა, საქმეში კი ბრაზილიელები სერჟიო და გუდელი გამოსცადა. არველაძეს თავისი მე-12 გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ 86-ე წუთზე დარტყმა გაუცუდდა.

შოთა არველაძე კვლავ დაშავებულია. „აიაქსმა“ კი კვლავ წვალებით მოუგო „გრააფსხაპს“ და მეორე ადგილზე აინაცვლა.

ზედიზედ მეორე ტურია, „ლიერსის“ ძირითადში ვეღარ ხვდება გელა შეყილაძე. მისი კლუბი ამჯერად „გენტთან“ დამარცხდა და მე-6 ადგილზე ჩაინაცვლა. 1:3 წააგო ჯაკობიას „ვეზეტმა“ ლიდერთა შორის მყოფ „ლოუვიერთან“. ქართველს პერსონალურად დასდევდა მასპინძელთა კაპიტანი ტურაკი და თამაშიდანაც გამოთიშა.

საბერძნეთში ლევან ქებაძის „ირაკლისი“ მე-60 წუთისთვის 3:0-ს უგებდა მასპინძელ „ტრიკალას“, თუმცა ნახევარ საათში 3 გოლი გაუშვა. ქებაძეს არ უთამაშია. „პანაჰაიკმა“ კი მნიშვნელოვანი ქულა წაართვა ლიდერთა სამეულში დამკვიდრებულ კრეტის ოფი-ს — 2:2. ხატროშვილი მატჩის მიწურულს გამოცვალეს და ანგარიშის გათანაბრება სწორედ მისმა შემცვლელმა შეძლო.

ისრაელში ფრედ დასრულდა დერბი ჰაიფას „მაკაბისა“ და „ჰაპოელს“ შორის. გახოკიძე, მოგეხსენებათ, დისკვალიფიცირებულია და ელის განაჩენს, რომელსაც სადისციპლინო კომიტეტი დღეს გამოუტანს. დამარცხდა დარასელიას ქვარ სავა და ისიც აუტსაიდერებს მიუახლოვდა.

სიმონ მენაბდე

ლევან კობიაშვილმა „კიკერის“ მოწონება დაიმსახურა

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	ს	ტრანმერი 3:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
გიორგი ქინქლაძე	დერბი				გუნდი ისვენებდა
რატი ალექსიძე	ჩელსი	შ	ჯილინგემი 5:0	0	ახალწვეულია
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	ს	ჰადერსფილდი 1:1	0	ტრავმა
გერმანია					
ბუნდესლიგა					
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 1:1	28	შეცვლაზე ითამაშა
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 1:1	90	
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	დორტმუნდი 1:1	0	ტრავმა
ჰოლანდია					
პირველი დივიზიონი					
შოთა არველაძე	აიაქსი	შ	გრააფსხაპი 2:1	0	ტრავმა
მეორე დივიზიონი					
არჩილ არველაძე	ბრედა	შ	ტოპ ოსი 1:0	13	შეცვლაზე ითამაშა
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	ს	გენტი 0:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
მეორე დივიზიონი					
ლაშა ჯაკობია	ვეზეტი	ს	ლოუვიერი 1:3	90	
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	ოფი 2:2	78	შეცვალეს
ლევან ქებაძე	ირაკლისი	ს	ტრიკალა 3:3	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქფარ სავა)	ს	ჰაპოელი (ფ) 1:2	?	
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	ს	ჰაპოელი (ჰ) 0:0	0	დისკვალიფიცირებულია

ამხანაგური მატჩები

REUTERS ჟიუზენიდან

დღეს ლოთარ მათეუსი ეროვნულ გუნდში 144-ედ ითამაშებს

იტალია — შვედეთი

შვედების წინააღმდეგ მატჩში დინო ძოფი ახალწვეულთა გასინჯვას აპირებს. ამის მიზეზი მწვრთნელს ნამდვილად აქვს. აგერ უკვე ზედიზედ ოთხი თამაშია, რაც „სკუადრა აძურა“ მოგებას ვერ ახერხებს. იტალიური პრესა ეჭვს გამოთქვამს, ჩვენებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატების მიღწევა გაუჭირდებათო. მართლაც, ბოლო გამარჯვება იტალიელებმა გასული წლის ივნისში იზეიმეს, როდესაც საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსს 4:0 მოუგეს. შემდეგ იყო ფრე შვეიცარიასთან და ბელორუსთან, ასევე წაგება ბელგიასთან და დანიასთან. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ნაკრებს ახალი სისხლის გადასხმა სჭირდება.

დინო ძოფს უპირველესად ნახევარდაცვაში გასწენია პრობლემები. „სარბიელი“ უკვე წერდა და შეგახსენებთ, დინო ბაჯო ულირსი საქციელისთვის ნაკრებიდან ერთი მატჩით მოიკვეთა, ხოლო მილანელი დემეტრიო ალბერტინი ფორმაში არ არის. მათ ნაცვლად ძოფმა ნაკრებში უდინეზელი სტეფანო ფიორე და იუვენტუსელი ალესიო ტაკინარდი გამოიძახა. 24 წლის შემტევი ნახევარმცველი ფიორე წლეულს თავის საუკეთესო სეზონს ატარებს და კლუბში შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. ტაკინარდი კი „სკუადრა აძურაში“ მეორედ მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში მისი სადებიუტო მატჩის შემდეგ ოთხ წელზე მეტი გავიდა.

დინო ძოფი ამბობს: „მაინტერესებს, როგორ შეეწყობიან ფიორე და ტაკინარდი ერთმანეთს ოფენის შუაგულში. ამიტომაც გამოცდილ ფეხბურთელთა ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში მათ დაყენებას ვაპირებ“.

ნაკრებს არ ეყოლება თავისი კაპიტანი პაოლო მალდინი, რომელიც დაშავებულია. ძოფს მცველთაგან ჩირო ფერარა, ალესანდრო ნესტა და ფაბიო კანავარო შეურჩევია.

მწვრთნელს ერთი თავსატეხიც აქვს, ვინ გაამწესოს თავდასხმაში — ფილიპო ინძაგი თუ ვინჩენცო მონტელა. ორივე მათგანმა ამ უქმეებზე ჰეთ-თრიკი შეასრულა და ძოფიც რთული არჩევანის წინაშე დგას. ერთი რამ კი ცხადია, კრისტიან ვიერი უცილობლად ითამაშებს. უკან დაწეულ თავდამსხმელად ალესანდრო დელ პიეროს გამოჩენას უნდა ველოდეთ, თუმცა შესაძლოა ტურინელი ფრანჩესკო ტოტიმ შეცვალოს.

შვედებზეც ვთქვათ. ჰენრიკ ლარსენი და ფრედრიკ ლუნგბერგი მძიმედ არიან დაშავებულები და ნაკრებს ვერ დაეხმარებიან. შვედთა მწვრთნელ ტომი სოდერბერგს უპირველესად იტალიაში მოთამაშე თანამემამულეთა იმედი აქვს. ესენი არიან: ბარელი ისკელ ოსმანოვსკი და ვეტერანი ბოლონიელი კენეტ ანდერსონი.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაკრებთა ბოლო შეხვედრაში, რომელიც 1998 წელს გიოტებორგში გაიმართა და ასევე ამხანაგური იყო, ანდერსონმა ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდო.

აქვე დავამატოთ, რომ იტალია და შვედეთი ევრო 2000-ზე ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ და 19 ივნისს ეინდჰოვენში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

სავარაუდო შემადგენლობები
იტალია: ბუფონი, ფერარა, ნესტა, კანავარო, გატუზო, ფიორე, ტაკინარდი, პესოტო, დელ პიერო, ფ. ინძაგი (ან მონტელა), ვიერი
შვედეთი: ჰედმანი, ნილსონი, ბიორკლუნდი, პ. ანდერსონი, გუსტაფსონი, შვარცი, მიალბი, სვენსონი, ალექსანდერსონი, ოსმანოვსკი, კ. ანდერსონი

ინგლისი — არგენტინა

ინგლისი — არგენტინის მატჩის წინ შეუძლებელია, ის დრამატული შეხვედრა არ გაგახსენდეს, ამ გუნდებს შორის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში რომ გაიმართა. იმ მატჩის ანტიგმირები — დევიდ ბეკემი და დიეგო სიმეონე დღესაც ითამაშებენ. არ იქნება მაშინდელი დაუვიწყარი გოლის ავტორი მაიკლ ოუენი, იგი ტრავმირებულია. იგივე მიზეზის გამო ვერც რობი ფაულერი გამოვა მინდორზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეტევის ხაზზე კევინ კიგანმა ალან შირერი გაამწესა და მას ლესტერელი ემილ ჰესკი შეუწყვილა.

სამხრეთამერიკელთა ნაკრების ბირთვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე ფეხბურთელები შეადგენენ, თუმცა მწვრთნელი ახალი ჰყავთ. მარსელო ბიელსას ევროპაში წინა სტუმრობა წარმატებული გამოდგა. ნოემბერში არგენტინელებმა ესპანეთს 2:0 სძლიეს და ახლაც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ.

ბიელსა 3-4-3 ტაქტიკური სქემის აქტიური მხარდამჭერია. მისი მთავარი იმედი კი გაბრიელ ბატისტუტაა. გეხსომებათ, ფიორენტინელის ბრწყინვალე გოლი „უემბლიზე“ „არსენალის“ კარში და დამწუხრებული ინგლისელი გულშემატკივრები. არგენტინელებს კვლავაც ბატიგოლის ბომბარდირული თვისებების გამოვლენისა სწამთ.

დავამატოთ, რომ ამ გუდების დაპირისპირების ისტორია 1951 წლიდან იღებს სათავეს და მაშინ ინგლისმა 2:1 მოიგო.

სავარაუდო შემადგენლობები
ინგლისი: სიმენი, საუთგეიტი, ს. კემბელი, კიოუნი, დაიერი, უაიზი, ბექემი, სქოულზი, უილკოქსი, ჰესკი, შირერი
არგენტინა: ბურგოსი, რ. აიალა, სენსინი, პოჩეტინინო, სიმეონე, ხ. ძანეტი, კილი გონსალესი, ვერონი, ორტეგა, ბატისტუტა, კლაუდიო ლოპესი

ხორვატია — ესპანეთი

მიროსლავ ბლაჟევიჩს, კაცს, ვინც ხორვატიის ნაკრებს უდიდესი წარმატებები მოუტანა, ყველაფრის თავიდან დაწყება უხდება. ექვსი წლის წინ ბლაჟევიჩი სათავეში ჩაუდგა ნაკრებს და სადებიუტო მატჩში თავის დღევანდელ მეტოქეს, ესპანეთს შეხვდა. ის თამაში ხორვატიამ 2:0 მოიგო, რაც მაშინ სენსაციად მიიჩნიეს. როგორც ვთქვით, დღეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრილი ბლაჟევიჩი გუნდის აღორძინებას თავიდან იწყებს და ბედის ირონიით მეტოქედ კვლავ ესპანეთი ერგო.

ბლაჟევიჩი ამბობს: „ოთხშაბათს განსაკუთრებული მონდომებით ვითამაშებთ. შესარჩევი ეტაპის ჩაგდების შემდეგ უამრავი მწარე სიტყვა მოვისმინე. მომბეზრდა. დროა, ხალხმა დაინახოს, რომ ამ ნაკრებს არაფერი დაემართა და ისევ ის ძველი ხორვატიაა, რომელმაც ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენ ძალის დამტკიცება ესპანეთთან მოგვიხდება. ესპანეთი კი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია. ჰოდა, გამოჩნდება რად ვღირვართ.“

დღეს ხორვატებს აღარ ჰყავთ მრავალნაცადი მეკარე დრაჟენ ლადიჩი. ის ნარკებიდან წავიდა და მხოლოდ თავისი კლუბის, „ჰაიდუკის“ ღირსებას იცავს. ლადიჩის მემკვიდრე კი ახალგაზრდა სტიპ პლეტიკოსა გახდა. სამაგიეროდ, ნაკრებშია გამოცდილი ალიოშა ასანოვიჩი. ის გუნდის ახალი ლიდერი გახდა მას შემდეგ, რაც ზვონიმირ ბობანმა ასევე უარი თქვა ნაკრებში თამაშზე.

ნაკრების შეტევის ხაზზე კვლავაც ძველი სახეებია — არსენალელი დავორ შუკერი და ალენ ბოკშიჩი „ლაციოდან“. ლიბეროდ იგორ შტიმაცს გაამწესებენ. საეჭვოა დარიო სიმიჩის თამაში. ის ტრავმირებულია, თუმცა ბლაჟევიჩს ინტერელის მომჯობინების იმედი აქვს.

ესპანეთის ნაკრებში მთავარ მოვლენად რაულის და მორიენტესის ტრავმები იქცა. რეალელთა დაშავებამ სალვა ბალესტას ნაკრებში გზა გაუხსნა. ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გასულ თვეშიც გამოვიდა პოლონელთა წინააღმდეგ მატჩში, მაგრამ მაშინ კარტახენაში ის შეცვლაზე შევიდა, ახლა კი სასტარტო შემადგენლობაშია.

ესპანელებს ასევე არ ეყოლებათ გვარდიოლა. დაშავებულია მეორე ბარსელონელი ლუის ენრიკეც, მაგრამ ის ნაკრებს ზაგრებში გაჰყვა და შესაძლოა, ითამაშოს.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ნაკრების ამხანაგური მატჩი რამდენადმე ჩრდილშია მოქცეული. მიზეზი ნათელია — შაბათს „რეალი“ „ბარსელონას“ მასპინძლობს.

სავარაუდო შემადგენლობები
ხორვატია: პლეტიკოსა, სიმიჩი (ან ტომასი), რ. ჯოვაჩი, სოლდო, შტიმაცი, იარნი, სტანიჩი, ასანოვიჩი, ნ. კოვაჩი, შუკერი, ბოკშიჩი
ესპანეთი: მოლინა, რომერო, იერო, აბელარდო, ველასკო, მენდიეტა, ვალერონი, ლუის ენრიკე, ხ. ეჩებერია, ურსაისი, სალვა

ჰოლანდია — გერმანია

ნაკრების თავკაცად დანიშვნის შემდეგ ფრანკ რაიკარდს არ უმართლებს. მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა 12 მატჩი გამართა და მხოლოდ ერთი მოიგო. არადა, ნარინჯისფერები ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლები არიან და ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლებიან. თუმცა რაიკარდს ერთი გასამართლებელი მაინც აქვს — ვერა და ვერ მოახერხა 11 სასურველი ფეხბურთელის შეკრება. დღესაც ასეა, ნაკრებს ფრანკ დე ბური და მარკ ოვერმარსი აკლია. გუნდში არიან პატრიკ კლუივერტი და რონალდ დე ბური. მათ გასულ უქმეებზე „ვალიადოლიდის“ კარში ორი გოლი შეაგდეს. აღსანიშნავია, რომ რონალდ დე ბური უმეტესწილად „ბარსელონას“ სათადარიგოთა სკამზე ზის, მაგრამ ლუის ვან გაალმა კვირას გამთამაშებლად გაამწესა და მანაც ჩინებულად ითამაშა. კარგ ფორმაშია კლარენს ზეედორფიც, რომელიც ახლახან მადრიდის „რეალიდან“ „ინტერში“ გადაბარგდა.

რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი გერმანელებსაც ჰყავთ. ერიხ რიბეკი აღიარებს, ამ შეხვედრაში ფავორიტები ჰოლანდიელები არიანო. თუმც ეს არ ნიშნავს, თითქოს გერმანია უბრძოლველად წაგებას აპირებდეს, ანდა ფრის მიღწევას ლამობდეს. რიბეკს სამი თავდამსხმელის გამოყვანა განუზრახავს, რაც მოგებისთვის ბრძოლას უნდა ნიშნავდეს. სასტარტო შემადგენლობაში არ გვხვდება კრისტიან ვიორნსის, კარსტენ იანკერის და სებასტიან დაისლერის სახელები. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ შეცვლაზე ითამაშებს.

აქვე დავამატოთ, რომ უბერებელი ლოთარ მათეუსი ნაკრების მაისურას 144-ედ მოირგებს. ეროვნულ გუნდს კი ჰოლანდიაში 500-კაციანი დესანტი გაჰყვება საქომაგოდ.

გიორგი დარჯანია

სავარაუდო შემადგენლობები
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ბოგარდი, სტამი, რაიციგერი, ზენდენი, რ. დე ბური, ზეედორფი, დავიდსი, კოკუ, კლუივერტი, ვან ნისტელროი
გერმანია: კანი, ბაბელი, ლინკე, მათეუსი, ნოვოტნი, იერემისი, ჰამანი, ციგე, შოლი, ნოვილი, ბირჰოფი

საფრანგეთი — პოლონეთი

საფრანგეთი: ბარტეზი, ლიზარაზუ, ტურამი, ბლანი, დესაი, დეშამი, პეტი, ჯორკაეფი, ზიდანი, გივარში, ვილტორდი
პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, ვალდოხი, ჟევლიაკოვი, ზიელინსკი, რზასა, კრჟინოვეკი, სვიერჩევსკი, ივანი, რაისი, კრიჟალოვიჩი

მაკედონია — იუგოსლავია

მაკედონია: ნიკოლოვი, ნიკოლოვსკი, ბაბუნსკი, სტავრევსკი, სტოიანოვსკი, მიჩევსკი, საინოვსკი, შაკირი, გეორგიოსკი, ჩირიჩი, ხრისტოვი
იუგოსლავია: კიკოვიჩი, საკჩი, ბოლიჩი, მიხაილოვიჩი, ჯუკიჩი, იოკანოვიჩი, იუგოვიჩი, გროზდიჩი, დრულოვიჩი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი

ირლანდია — ჩეხეთი

ირლანდია: ა. კელი, გ. კელი, ჰარტი, ბატლერი, კანინგემი, კენედი, როი კინი, კინსელა, ქუინი, რობი კინი, კილბეინი
ჩეხეთი: მაიერი, რეპკა, რადა, ნედვედი, ლატალი, გაბრიელი, ნემეცი, პობორსკი, ბეიბლი, კოლერი, ბერგერი

ბელგია — პორტუგალია

ბელგია: დე ვილდე, ჟენო, ვალგაერენი, სტალენსი, ლეონარი, ვერჰეინი, ვანდერჰეიგი, ვილმოტსი, გოორი, შტრუპარი, დე ბილდე
პორტუგალია: ეშპინია, სეკრეტარიუ, ფერნანდო კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, პაულო ბენტუ, ვიდიგალი, რუი კოშტა, ფიგუ, ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში

ამხანაგური მატჩები

23 თებერვალი

მაკედონია — იუგოსლავია

მაკედონიის ნაკრების შემადგენლობა
მეკარეები: ოკა ნიკოლოვი (აინტრახტი, გერმანია), პეტარ მილოშევსკი (ტრაბზონსფორი, თურქეთი);
მცველები: იგორ ნიკოლოვსკი (ტრაბზონსფორი, თურქეთი), ბობან ბაბუნსკი (ლოგრონიესი, ესპანეთი), ნექსმედინ მემედი, საშო ზდრავევსკი (ორივე სლოგა იუგომაგნატი), მილან სტოიანოვსკი (პარტიზანი, იუგოსლავია), არტიმ შაკირი (ბერლინი, გერმანია), გორან ლაზარევსკი (პობედა), გორან სტავრევსკი (ზაგრები, ხორვატია), იგორ სტოიანოვი (ვარდარი);
ნახევარმცველები: ტონი მიჩევსკი (პელისტერ ბიტოლა), დეივდეტ საინოვსკი (ჰანოვერი, გერმანია), რადე კარანფილოვსკი, რობერტ პეტროვი (ორივე პობედა), მარიან გერასიმოვსკი (პარტიზანი, იუგოსლავია), ბლაგოიე გეორგიოსკი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ჟარკო სერაფიმოვსკი (სკოპიე);
თავდამსხმელები: საშა ჩირჩი (ბერლინი, გერმანია), გეორგი ხრისტოვი (ბარსლი, ინგლისი), არქსენტ ბექირი, ზორან მისევრდოვსკი (ორივე სლოგა იუგომაგნატი)

23 თებერვალი

მაკედონია — იუგოსლავია

იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობა
მეკარეები: ივიცა კრალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ჟელიკო კიკოვიჩი (ლას პალმასი, ესპანეთი);
მცველები: დრაჟენ ბოლიჩი (სალერნიტანა, იტალია), ნენად საკიჩი (სამპდორია, იტალია), მიროსლავ ჯუკიჩი (ვალენსია, ესპანეთი), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), ნიშა საველიჩი (ბორდო, საფრანგეთი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა), მლადენ კრსტაიჩი (პარტიზანი), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);
ნახევარმცველები: სლავიშა იოკანოვიჩი (დეპორტივო, ესპანეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ლუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), ნენად გროზდიჩი (ვიტესი, ჰოლანდია);
თავდამსხმელები: დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია) მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

23 თებერვალი

იტალია — შვედეთი

იტალიის ნაკრების შემადგენლობა
მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა);
მცველები: პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა, პაოლო ნეგრო (ორივე ლაციო), კრისტიან პანუჩი (ინტერი), ფაბიო კანავარო (პარმა), ჩირო ფერარა (იუვენტუსი);
ნახევარმცველები: დიეგო ფუზერი (პარმა), ჯანლუკა პესოტო, ანტონიო კონტე, ალესიო ტაკინარდი (ყველა იუვენტუსი), სტეფანო ფიორე, თომას ლოკატელი (ორივე უდინეზე), მასიმო ამბროზინი (მილანი), ფრანჩესკო ტოტი (რომა);
თავდამსხმელები: კრისტიან ვიერი (ინტერი), ფილიპო ინძაგი, ალესანდრო დელ პიერო (ორივე იუვენტუსი), ვინჩენცო მონტელა (რომა)

REUTERS პალერმოდან

კრისტიან ვიერი (მარცხნივ) და ვინჩენცო მონტელა პალერმოში შვედებთან მატჩის წინ

გენერალური რეპეტიცია

ახლოვდება ევრო 2000. ჩემპიონატისთვის მზადება სადაცაა დასრულდება. ნებისმიერი გრანდიოზული ტურნირის დაგეგმვა და ჩატარება ყოველთვის უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, მით უმეტეს, თუ საქმე ფეხბურთს ეხება.

უპირველეს ყოლისა, ალბათ, უსაფრთხოების საკითხებია მოსაგვარებელი — სტადიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების უმაღლეს დონეზე დაცვა და კონტროლი.

ბელგიის ქალაქ შარლურუაში დღეს ამხანაგური მატჩი ჩატარდება — ბელგიის ნაკრები პორტუგალიას უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებსაც თვითკონტროლის კარგი შანსი ეძლევათ. შარლერუას ალბათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან სწორედ ამ ქალაქში, ფინალური ეტაპის ჯგუფურ შეხვედრაში ხვდებიან ერთმანეთს ინგლისისა და გერმანიის ნაკრებები. შარლერუას მერმა ჟაკ ვან გაპელმა და პოლიციის შეფებმა განაცხადეს, რომ ოთხშაბათს გასამართი მატჩი მათი ბოლო გენერალური რეპეტიცია იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგურია და ინგლის — გერმანიასთან პრინციპულობით ახლოსაც ვერ მივა.

მატჩის დროს სტადიონის სხვადასხვა კუთხეში დაახლოებით 1000 პოლიციელი განლაგდება. ეს რაზმი საგანგებოდ მომზადებული ოფიცრებისგან დაკომპლექტდება, რომლებიც შეხვედრის დროს ტრიბუნებზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ბილეთების შემოწმების სისტემაც დასახვეწია. პირს, რომელიც სტადიონზე ბალში ბილეთით შეღწევას მოისურვებს, დაუყონებლივ დააპატიმრებენ. ქალაქის სამ სხვადასხვა უბანში განლაგდება ავტოსადგომები და მათ პოლიცია მკაცრად მიადევნებს თვალყურს, ხოლო მატჩის დროს ავტოსადგომებიდან უფასო ავტობუსები ივლიან და გულშემატკივრებს სტადიონამდე მიიყვანენ.

ორგანიზატორებმა ჰოლანდიის პარლამენტს ოფიციალური თხოვნით მიმართეს, რათა ჩემპიონატის დროს „შავ ბაზარზე" ბილეთებით ვაჭრობა აიკრძალოს.

ტურისტულ საგენტოებს ბილეთების გაყიდვის უფლება ჩამოერთმევათ. ორგანიზატორთა განცხადებით, უკონტროლო ბილეთებით ვაჭრობა სტადიონზე ხულიგანი ფანების მოხვედრის შანსს გაცილებით გაზრდის.

ჰოლანდიის პარლამენტი ხსენებულ საკითხს ხუთშაბათს, საგანგებო სხდომაზე განიხილავს. ბელგიის მთავრობამ კი მსგავსი კანონი კარგა ხნის წინ მიიღო.

ჩემპიონატის მიმდინარეობისას ქალაქში ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობა აიკრძალება, განსაკუთრებული ყურადღება კი იმაზე გამახვილდება, რომ სტადიონზე ნასვამი პირები არ შეუშვან.

ნიკა შუბლაძე

ისრაელის ჩემპიონატი. 25-ე ტური. ბეითარი — ჰაპოელი (თელ ავივი) 2:0; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (ქვარ საგა) 2:1; ირონი — ბნეი იეჰუდა 1:0; ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰაიფა) 0:0; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 1:1; აშდოდი — მაკაბი (ჰერცლია) 0:1; მაკაბი (ნეთანია) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) 0:1. ჩემპიონატს 57 ქულით თელ ავივის „ჰაპოელი" ლიდერობს, მეორეა ჰაიფას „მაკაბი" — 55 ქულა, მესამე — ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი", 51 ქულა.

ხორვატიის ჩემპიონატი. მე-17 ტური. ზაგრები — ჰაიდუკი 0:3; ოსიეკი — ციბალია 1:1; სლავენი — დრაგოვოლიაცი 0:1; ვუკოვარი — დინამო 0:0; ისტრა — ვარტექსი 0:2; რიეკა — შიბენიკი 3:1. ჩემპიონატს 42 ქულით სპლიტის „ჰაიდუკი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა ზაგრების „დინამო" — 40 ქულა, მესამეა — „ოსიეკი", 30 ქულა.

იუგოსლავიის ჩემპიონატი. 23-ე ტური. პარტიზანი — ჰაიდუკი (ბელგრადი) 4:2; სუტიესკა — პროლეტერი 3:1; რადნიჩკი (ნიში) — ვოივოდინა 2:1; სპარტაკი — ჰაიდუკი (კულა) 1:3; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ობილიჩი 0:0; ოფკ (ბელგრადი) — მოგრენი 3:1; რადი — სარტიდი 0:1; ბუდუჩნოსტი — მილიციონარი 2:1; ზემუნი — ბორაცი 2:1; ჟელეზნიკი — ცრვენა ზვეზდა 1:3; ჩემპიონატს ბელგრადული კლუბები ლიდერობენ, „ობილიჩი" — 58 ქულა, „პარტიზანი" — 57 ქულა, „ცრვენა ზვეზდა" — 53 ქულა.

იტალიურმა „პარმამ" 28 წლის ნახევარმცველი ჯამპიერო მაინი შესაძლოა „მიდლსბროში" გაანათხოვროს. ინგლისური კლუბის ერთ-ერთმა წამყვანმა ნახევარმცველმა პოლ გესქოინმა ერთი კვირის წინ ხელი მოიტეხა და დაახლოებით ორ თვეს ვეღარ ითამაშებს. გუნდის თავკაცი ბრაიან რობსონი კი მის შემცვლელს ეძებს. მაინი „პარმაში" ჩარიცხვამდე „მილანის", „ვენეციასა" და „რომას" ღირსებას იცავდა. „მიდლსბრო" მის გადაბირებას მინიმუმ სეზონის ბოლომდე აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მაინი სადებიუტო შეხვედრას 26 თებერვალს „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

არგენტინელმა ნახევარმცველმა მატიას ალმეიდამ ვარჯიშის დროს კუნთი დაიჭიმა და რომის „ლაციოს" დაახლოებით ერთი თვით დააკლდება. „მილანთან" შეხვედრა მან სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. არგენტინელი „უდინეზესთან", „ლეჩესთან" და „ინტერთანაც" ვერ ითამაშებს, ვერც ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ორ ტურს ჩაატარებს, თავის ეროვნულ ნაკრებს კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის საწყის მატჩებში ვერ დაეხმარება.

ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ნოელ ვილანმა „ქოვენთრისთან" კონტრაქტი არ გააგრძელა, რის გამოც კლუბი მას გაყიდვას უპირებს. 20 წლის ფორვარდის შემენის სურვილი „ასტონ ვილამ", „ლესტერმა" და „დერბიმ" გამოთქვეს. თუმცა ამჟამად ფეხბურთელი დაშავებულია და შესაძლო ტრანსფერზე არავის უსაუბრია. „ვილანთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ამიტომ მისი გაყიდვა მოგვიწევს" — განაცხადა „ქოვენთრის" თავკაცმა გორდონ სტრაჩანმა. თავდამსხმელი „ქოვენთრიში" 1995 წელს „ლიდს იუნაიტედიდან" 3,2 მილიონ დოლარად გადაბარგდა, გუნდში 143 შეხვედრა ჩაატარა და 38 გოლი გაიტანა.

ინგლისური „შეფილდ უენსდის" თავმჯდომარე დევიდ რიჩარდსი თანამდებობიდან გადადგა. გუნდი ამჟამად კრიზისშია, მან 25 შეხვედრიდან მხოლოდ 4 მოიგო, ცხრილის ფსკერზე იმყოფება და პრემიერლიგის დატოვება ემუქრება. „შეფილდის" ახალ თავმჯდომარედ ჰოვარდ კალი დაინიშნა, რომელიც მანამდე კლუბის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახლდათ.

ესპანეთის თასის მეოთხედფინალისტის, მეორე დივიზიონში მოთამაშე „კომპოსტელას" მთავარი მწვრთნელი დევიდ ვიდალი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ბოლო ტურში „კომპოსტელა" შინ „ოსასუნასთან" დამარცხდა 1:2 და გათამაშების ცხრილში მე-17 ადგილზე დაქვეითდა, გასავარდნ ზონასაც საკმაოდ მიუახლოვდა. მართალია, ესპანეთის თასის გათამაშების მეოთხედფინალში გუნდმა შინ პრიმერადივიზიონელ „ესპანიოლს" სძლია 1:0, თუმცა ორი მატჩის ჯამში 2:5 დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.

შოტლანდიური გლაზგოს „სელტიკის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ტომი ბერნსი კლუბის ამჟამინდელი თავკაცის, კენი დალგლიშის ასისტენტად დანიშნეს. შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ „სელტიკის" მწვრთნელი ჯონ ბარნსი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად სწორედ დალგლიში დანიშნეს. ტომი ბერნსი „სელტიკს" 1994-დან 1997 წლამდე წვრთნიდა, ამის შემდეგ ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედში" სწორედ დალგლიშის თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო ბოლო ხანს ინგლისის მეორედივიზიონელ „რედინგს" ავარჯიშებდა.

ინგლისური „ტოტენჰემი" 24 წლის მცველის, სოლ კემპბელის შენარჩუნებას აპირებს. ფეხბურთელის შემენის სურვილი უკვე მრავალმა ევროპულმა გრანდმა გამოთქვა. მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედმა", მადრიდის „რეალმა", „რომამ", „ლივერპულმა" და მილანის „ინტერმა". 2001 წლის ზაფხულში კემპბელს „ტოტენჰემთან" მიმდინარე კონტრაქტი უმთავრდება და ახალი კლუბის არჩევა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება. ლონდონურ კლუბს კი მცველის გაშვება არ სურს. ამიტომ შესაძლოა უახლოეს მომავალში მას კონტრაქტის გაგრძელება და საკმაოდ მაღალი ანაზღაურება — კვირაში 30 ათასი გირვანქა შესთავაზოს.

შოტლანდიურმა გლაზგოს „სელტიკმა" ლონდონის „ჩელსის" იტალიელი თავდამსხმელის, ჯანფრანკო ძოლას შეძენის სურვილი გამოთქვა. ძოლა ამჟამად 33 წლისაა და სეზონის ბოლოს პრემიერლიგის დატოვებას აპირებს, რადგან წლეულს აშკარად წარუმატებლად ასპარეზობს, შედეგიც საკმაოდ მოკრძალებული აქვს — სეზონში მხოლოდ სამი გოლი. მესამე ბურთი ძოლამ ბასულ კვირას ინგლისის თასის შეხვედრაში „ჯილინგემს" გაუტანა. შეგახსენებთ, რომ იტალიელი „ჩელსიში" „პარმადან" 1996 წელს 4,75 მილიონ გირვანქად გადავიდა.

იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რენე სიმოეში კონკაკაფის ოქროს თასზე წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან გადადგა. წარმოშობით ბრაზილიელი სიმოეში იამაიკაში 5 წელი მოღვაწეობდა და გუნდი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ათამაშა, რაც კუნძულელთა უდავო მიღწევა გახლდათ. ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, გუნდს კი ზაფხულში მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები ელის.

უნგრეთი ავსტრალიას მკვდარი თევზებით ემუქრება

ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე" თევზების წვიმას ელიან

დღეს ბებერ კონტინენტზე ამხანაგური მატჩები ჩატარდება. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ბუდაპეშტში, „ნეპშტადიონზე" შედგება უნგრეთისა და ავსტრალიის ეროვნულ ნაკრებებს შორის.

მოგეხსენებათ, უნგრეთი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მერვე ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მოხვდა.

დღეს ბუდაპეშტში ერთი შეხედვით უმნიშვნელო მატჩია, მაგრამ „სარბიელის" ყურადღება მაინც მიიქცია. და აი, რატომ:

უნგრელები ავსტრალიელებს ემუქრებიან... მკვდარი თევზებით გაგიმასპინძლდებითო, რომლებიც დუნაის ტბაში მოიწამლნენ. ეს იქნება შურისძიება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი იმ ეკოლოგიური კატასტროფის გამო, რომელიც რუმინულ-ავსტრალიური ოქროსმწარმოებელი კომპანიის ბრალიაო.

მივყვეთ თანმიმდევრობით: 30 იანვარს რუმინულ-ავსტალიურ ოქროსმწარმოებელ კომპანიის (AURUL) ტერიტორიაზე, რომელიც რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონულ ცენტრ ბაია-მარში მდებარეობს, მოხდა ავარია, რომელსაც ეკოლოგები ჩერნობილის შემდეგ ყველაზე დიდ კატასტროფად მიიჩნევენ.

ავარიის შედეგად ციანიდის შემცველი ნარჩენები, დაახლოებით 100 ათასი ტონა, დუნაის ტბასთან მდებარე მდინარე ტისში ჩაიღვარა. კატასტროფის ადგილიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის რადიუსში მდებარე წყალქვეშა სამყარო შხამისაგან მთლიანად განადგურდა. ის კი არა, მომწამლავი ნივთიერება მინდვრებსაც მოედო, მოიწამლა ოთხი ქვეყანა — რუმინეთი, იუგოსლავია, უკრაინა და უნგრეთი.

შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა კომპანიის ყოვლად უაზრო ქმედებამ — ორი კვირის მანძილზე მალავდნენ ამ ფაქტს, ხოლო როდესაც ყველაფერი ნათელი გახდა, კომპანია სასტიკ უარზე დადგა, ზარალი დიდია, მაგრამ მის კომპენსირებას არ ვაპირებთო.

უნგრული მხარე სწორედ ამ გადაწყვეტილებას აღუშფოთებია. მთაც გადაწყვიტეს, ჯავრი ყოვლად უდანაშაულო ხალხზე — ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელებზე იყარონ. რა ბედი ეწევათ მარკ ბოსნიჩსა და კომპანიას დღევანდელი მატჩი ცხადყოფს. ბალკანელთა ზიზღს კენგურუების ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი გამოუწვევია. ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფეხბურთელები მკაცრად გააფრთხილა, პროვოკაციას არ წამოეგონ, არ გაბედონ, გაავებულ მაყურებელს შეეპასუხონ და მათი მისამართით ნასროლი მკვდარი თევზები პატიოსნად ისევ ტრიბუნებზე დააბრუნონ. ავსტრალიელ დიპლომატებს უნგრეთის პოლიციისა ეიმედებათ, რომლებიც, როგორც წესრიგის დამცველნი, ალბათ გულშემატკივრებს მოწამლული თევზების სროლის ნებას არ მისცემენ.

ერთი სიტყვით, დღეს „ნეპშტადიონზე" არეულობას ელიან. ავსტრალიაში ეშინიათ, უნგრეთში კი შურისძიებისთვის ემზადებიან.

ალბათ იკითხავთ, რატომ მაინცდამაინც ავსტრალია, კომპანია ხომ რუმინელებსაც ეკუთვნითო. ასეა, მაგრამ უნგრელებმა ავსტრალია ადრევე შეიგულეს. ხოლო თუ გულში ჯავრი ჩარჩათ, აი, მაშინ იქნება თუ იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები რუმინეთსა და უნგრეთს შორის ვინძლო საყოველთაო ვნებათაღელვის საგნად იქცეს. ორივე მეტოქე — რუმინეთიცა და უნგრეთიც, საქართველოსთან ერთად, ხომ მერვეჯგუფელია.

გიორგი ვაშაკიძე

ბაბაიარო დაბრუნდა

გუშინდელ „სარბიელში" ნიგერიის ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" მცველ სელესტინ ბაბაიაროზე გაუწყებდით, გაუჩინარდაო.

წუხელ კი „ჩელსიმ" როგორც იქნა, ამოისუნთქა, ბაბაიარო „სტემფორდ ბრიჯზე" გამოცხადდა. არადა, ნიგერიელი კლუბში ჯერ კიდევ 9 (!) დღის წინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ...

„ჩელსის" მეორე მწვრთნელმა გევინ უილიამსმა ვერსიები დაასახელა. ზოგი ამბობდა, იგი ნიგერიაში საავადმყოფოში დაწვაო, ტრავმას იშუშებდაო. ზოგმა, კონკრეტულად ნაკრების ხელმძღვანელობამ თქვა, რა ხანია გუნდიდან დავითხოვეთო...

... 21 წლის ბაბაიარო დაბრუნდა. კლუბში დროულად გამოუცხადებლობის მიზეზი კი აეროპორტში ვიზასთან დაკავშირებული პრობლემა ყოფილა. წუხელვე, სანამ იგი ლონდონში დაბრუნდებოდა, ნიგერიის რადიომ გამოაცხადა, სელესტინ ბაბაიარო ახლაც ქვეყნის ჩრდილოეთში იმყოფება და ვერანაირად ახერხებს დედაქალაქში მოხვედრას, რათა ლონდონში გადაფრინდესო.



ძლიერნი იმა ქვეყნისა

იტალია

„ანჩელოტი ბედნიერი კაცია“ — ასეთი სათაურით შეეგება მკითხველს ორშაბათის „გაძეტა დელო სპორტი“. შემდეგ მილანში გამომავალ და სრულიად იტალიაში გავრცელებულ ვარდისფერფურცლიან გაზეთში საკუთრივ „იუვენტუსის“ თავკაცის სიტყვები იყო მოტანილი:

„ვშიშობ, რომ ვენეციაში 4:0 გამარჯვება ხალხმა შეიძლება იოლ გასეირნებად ჩაგვეთვალოს, მაგრამ სინამდვილეში „იუვემ“ დიდი შთაგონებით ითამაშა, იბრძოლა და გაიმარჯვა. დღეს ჩვენ კარგ ფორმაში ვართ, სეზონის ბოლომდე ცხრილის სათავეში დარჩენა გვსურს“.

ალბათ, მიხვდით, საუბარია სერია A-ს პირველობის ბოლო, 22-ე ტურზე, რომელშიც „ბებერმა ქალბატონმა“ „ვენეციასთან“ სტუმრად 4:0 მოიგო და ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა. ისიც გეხსომებათ, რომ ამ შეხვედრაში პირველი გოლი ალესანდრო დელ პიერომ ფილიპო ინძაგის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა, ხოლო დანარჩენი სამის შეყრა თავად ინძაგიმ იტვირთა.

„ძალიან მახარებს ჩემი ჰეთ თრიკი, მაგრამ უფრო მეტად „იუვს“ კარგი თამაშით ვარ კმაყოფილი“ — განუცხადა იმავე „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს ტურინელთა გუნდის ფორვარდმა.

„ტუტოსპორტმა“ — ეს თავად ტურინში გამომავალი და ასევე ერთობ გავრცელებული გაზეთი გახლავთ — პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა: „იუვეს ფესტივალი“. აქ ინძაგი უფრო სიტყვაუხვი გახლდათ:

„მეტისმეტად ბედნიერი გახლავართ, რადგან ეს შეხვედრა „სკუდეტოსთვის“ ბრძოლაში ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ“.

„ტუტოსპორტში“ ანჩელოტი დელ პიეროს თამაშის გამო გამოთქვამდა კმაყოფილებას. იგი ამბობდა, რომ ამ ფეხბურთელმა ძნელ დროებას უკვე სძლია.

რომაული „კორიერე დელო სპორტის“ აზრით კი „იუვენტუსმა“ ვენეციაში წინააღმდეგობის გარეშე გაიმარჯვა. გუნდს დღეს უკვე 18 წაუგებელი შეხვედრა დაუგროვდა და მომავალ ტურში ერთ-ერთ მდევარ „რომასთან“ მატჩს ჩინებულ ფორმაში ხვდება. გაზეთის რედაქტორის, მარიო სკონჩერტის აზრით: „ვენეციაში გატანილი ოთხი გოლი „იუვენტუსის“ თვითრწმენის მანიშნებელი გახლდათ. ტურინელები თავს ძლიერ გუნდად გრძნობენ. „ინტერმა“ და „ლაციომ“ ლიდერობის ჟამს გადამწყვეტ შეხვედრაში წააგეს, შავ-თეთრებმა კი ოთხი გაიტანეს და ერთიც არ გაუშვიათ“.

„იუვენტუსს“, როგორც ჩანს, „ლაციოსთან“ დუელის პერიოდი დაუსრულდა. აქამდე ხომ ტურინისა და რომის ფავორიტი კლუბები ტურგამოშვებით ლიდერობდნენ, ახლა კი „ლაციო“ სულაც მესამეზე ჩასრიალდა, მეორეზე კი „მილანმა“ ამოჰყო თავი. „მილანი“ „იუვეს“ სამი ქულით ჩამორჩება.

ისევ „გაძეტა დელო სპორტი“: „მილანი შეუჩერებელია“. ვარდისფერი გაზეთის აზრით, „ლაციოსთან“ შავ-წითელთა გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებული გახლდათ და ორი პენალტი, რომელიც რომაელთა კარში ხორვატმა ზვონიმირ ბობანმა გაიტანა სტუმართა დაცვის შეცდომებით იყო განპირობებული.

„თავს ჩინებულად ვგრძნობ, კარგ ფორმაში ვარ და ბუნებრივია, კარგადაც ვთამაშობ“ — ამბობს ბობანი.

„კორიერე დელო სპორტი“ ხორვატს კიდევ უფრო მეტად აქებს. მან გამოსახა ბობანი, რომელიც „იუვეს“ უთვლის: „იუვე, ჩვენთან დიდი ბრძოლა მოგიწევს“, ხოლო აქვე გამოქვეყნებულ ალბერტო ძაკერონის მოკლე ინტერვიუში წერია: „დინო ძოფს შეუძლია მშვიდად იყოს, დემეტრიო ალბერტინი ფიზიკურად საუცხოოდ არის მზად“.

საქმე ისაა, როგორ ფორმაში ეყოლება ნაკრების მწვრთნელს ალბერტინი ევროპის ჩემპიონატის დღეებში.

„გამარჯვებამ შედარებით დამშვიდების საშუალება მოგვცა. რაც შეეხება „სკუდეტოს“, მანამდე ჯერ შორი გზაა. მართალია, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ჩემპიონები გავხდეთ, მაგრამ დავაში კიდევ ბევრი გუნდი შეიძლება ჩაერთოს, მაგთალითად- „ინტერი“. სხვა რა ვთქვა, მეტისმეტად კარგად ვთამაშობთ, ფიზიკურად ძლიერად გახლავართ მომზადებული, ვინდომებთ და შედეგიც შესაბამისი გვაქვს“ — განაცხადა თავად ალბერტინიმ.

„კმაყოფილი გახლავართ, ასეთ ძლიერ მეტოქესთან ასე ძლიერ თამაშს არ ველოდი. „ლაციო“ ხომ სერია A-ში ყველაზე ტექნიკური გუნდია. მის თითოეულ მოთამაშეს რაღაც ორიგინალურის შექმნა შეუძლია. ახლა, მომავალ შეხვედრებს განსაკუთრებული ოპტიმიზმით შევყურებთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა შეტევაში მძლავრად და ლაღად ითამაშა. ლოგიკური გახლდათ ორი მეკარიდან უფრო დაკავებული მარკეჯანი რომ იყო“ — დასძინა ძაკერონიმ.

„მილანს“ ერთი ქულით „ლაციო“ ჩამორჩება, მაგრამ თუ მესამე ადგილზე ყოფნა ბევრისთვის მიღწევაა რომაელთათვის, მოგეხსენებათ, ერთობ უსიამოვნო დაქვეითება გახლავთ.

„ლაციო“ მართალია, ჯერ კიდევ „სკუდეტოს“ კონკურენტთა სიაშია, მაგრამ ბოლო ორი კვირის განმავლობაში მის თავს დატრიალებულმა ამბებმა მის პატრონებს დიდი შეშფოთების საბაბი მისცა. და მაინც, რომაელთა კლუბის პრეზიდენტმა, სერჯო კრანიოტიმ იხტიბარი არ გაიტეხა:

„ბოლო ტურში „მილანთან“ დამარცხება არაფერს ნიშნავს. ამან მხოლოდ და მხოლოდ ერთი წამით შეგვაყოვნა. ფეხქვეშ ნიადაგი ჯერ არ გამოგვცლია. სეზონის დამთავრებამდე მართლაც დიდი დროა, ხოლო კონკურენტებთან შეხვედრები წინ გვაქვს. თანაც, მხოლოდ ჩვენ როდი უნდა ვეთამაშოთ უძლიერეს გუნდებს. ამას დაამატეთ, რომ იტალიაში ერთადერთი „ლაციოა“ სამ ფრონტზე რომ იბრძვის: ჩემპიონთა ლიგაში, ქვეყნის პირველობასა და თასზე. ამიტომაც, ხალხმა უფრო მეტი პატივი უნდა გვცეს“.

შემდეგ, როდესაც კრანიოტის „მილანთან“, „სან სიროზე“, მათ კარში დანიშნულ ორ პენალტზე ჩამოუგდეს სიტყვა, დიპლომატიურად მიუგო:

„ზეწოლა წარმოუდგენელი გახლდათ. ორივე გუნდს მოგება სჭირდებოდა“.

პაპუნა კედია

მილანი — ლაციო 2:1. მილანელი მასიმო ამბროზინი (მარჯვნივ) და რომაელი მარსელო სალასი ბურთისთვის იბრძვიან

მსაჯებს ისტორია ჰყვარებიათ

„რომას“ თავკაცმა, ფაბიო კაპელომ, ორშაბათს განაცხადა, რომ იტალიელი მსაჯები ფსიქოლოგიური გავლენის გამო ზოგიერთი კლუბის უნებურ მხარდაჭერას განაგრძობენ.

„თუ ამ წლის მოვლენებს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ზოგი კლუბი მეტად წახალისდა, ზოგი კი დაისაჯა, რაც უთუოდ ფსიქოლოგიურ მომენტებზე მიგვითითებს. „იუვენტუსი“ წახალისებულია, რადგან იგი წლების განმავლობაში ცხრილში პირველ ადგილზე იყო. ამდენად, ვასკვნი, რომ მენტალური ზეწოლა არსებობს და ეს ბუნებრივია, რადგან იგი ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება“ — თქვა კაპელომ.

მიაქციეთ ყურადღება, ამ სიტყვებიდან ექვს დღეში ტურინში, „დელე ალპიზე“ „იუვენტუსი“ სწორედ „რომას“ უნდა შეხვდეს და მატჩის შედეგზე დიდად იქნება დამოკიდებული რომაელთა გუნდის სამომავლო პრეტენზია.

„ცხადია, რომ ნებისმიერ შეხვედრაში ისეთი ფაქტორები, როგორიც გახლავთ მოპოვებულ ტიტულთა რაოდენობა და კლუბის ისტორია მსაჯების გადაწყვეტილებას დაღს ასვამს. „რომას“ კლასის გუნდს უფრო მეტი ბრძოლა სჭირდება და არა მხოლოდ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, არამედ მსაჯთა პატივისცემის მოსაპოვებლადაც“.

კაპელოს ნათქვამს, ბუნებრივია, „იუვეს“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტიც გაეცნო, მაგრამ მისი პასუხი მშვიდი გახლდათ: „არა მგონია, ცეცხლზე ნავთის დასხმა სწორი იყოს. გარდა ამისა, საკუთარ თავს პირობა დავუდე, რომ იტალიელ მსაჯებთან დაკავშირებულ დებატებში არ ჩავერთვები.“

ყოველ ოთხშაბათს წარმოგიდგენთ გასულ უქმეების „სარბიელის“ რჩეულ ფეხბურთელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპო ინძაგი

რჩეული

დაბადება 1973 წლის 9 აგვისტოს, პიაჩენცაში
სიმაღლე: 181 სმ, წონა 74 კგ
დებიუტი სერია A-ში: 1995 წლის 27 აგვისტო. „ატალანტა“ — „პარმა“ 1:1
1996-97 წლების ჩემპიონატში „ატალანტას“ შემადგენლობაში 23 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა
იტალიის ჩემპიონი (1997/98) და სუპერ თასის მფლობელი (1997) „იუვენტუსის“ შემადგენლობაში
გატანილი აქვს 152 გოლი

ფილიპო ინძაგის იტალიაში სუპერპიპოს რომ უწოდებენ ცნობილი ამბავია. იმასაც ვხვდებოდით, რომ პიპო ფილიპოს კნინობითი ფორმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, აბა საიდან უნდა გვცოდნოდა, გასულ კვირას, სერია A-ს 22-ე ტურში, „ვენეციას“ კარში სამი გოლის შემგდებსა და კიდევ ერთი პენალტის მომნადირებელს ყველაზე მეტად დისნეის მულტფილმები რომ უყვარს. თურმე, ადრე ამბობდა, ჩემი საყვარელი პერსონაჟი მიკი მაუსიაო, ბოლო დროს კი აზრი შეუცვლია და ტელეეკრანზე ჩერჩეტი ძაღლის, პლუტოს გამოჩენას შეჰხარის. რატომ? იმიტომ, რომ პლუტო, თურმე, იტალიურად პიპოა.

რა გამოდის, „იუვენტუსს“ თავდასხმაში სუპერპლუტო ჰყავს?

„მისი მთავარი უნარი გოლების გატანა გახლავთ, მაგრამ ბოლო დროს თანაგუნდელებისთვის ხელსაყრელი მომენტების შექმნაშიც გამოიჩინა ფხა“ — ასე აფასებს ფორვარდს „ბებერი ქალბატონის“ ახალი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.

ჩვენგან რა შეიძლება ითქვას? ინძაგის ყველაზე კარგად მაინც საბოლოო დარტყმის შესრულება ეხერხება, ანუ უშუალოდ საჯარიმო მოედანზეა სახიფათო. საჯარიმოს გარეთ კი იგი ბურთის რომელიმე თანაგუნდელისთვის გადაცემას ცდილობს, რათა თავად წინ გაიქცეს და იქ ჩასაფრდეს. კაცმა რომ თქვას, არც ახოვანია, არც მძლავრი, მოკლედ, თუ არ გეზარება, დადექი და აკრიტიკე, მაგრამ შუა კრიტიკაში რომ ხარ, უცებ ფეხს მოიქნევს და ბურთს ბადეშიღა ჰკიდებ თვალს. ხო, მართლა, ხშირად სიზუსტესაც უწუნებენ, ბევრს აცილებსო, მაგრამ ბევრიც რომ გააქვს?

ინძაგის გარეგნობის კაცი ყმაწვილქალებს მოსწონთ, წარამარა იმის პასუხშია, უცოლო ვარო და რაღაც ასეთები. სად ატარებთ თავსიუფალ დროს? ვისთან იყავით წმინდა ვალენტინის დღეს?

წმინდა ვალენტინის დღეს გრიპიანი ვიწექი... თავისუფალ დროს მეგობრებთან ან ტელევიზორთან ვატარებ.

და ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი?

ჩემი ძმა სიმონე. ძალიან კარგად ვერთობით და ბევრსაც ვასწავლით ერთმანეთს.

მართლა მილანში ცხოვრობთ კრისტიან ვიერისთან ერთად?

არა, ვიერი ჩემი დიდი მეგობარია, მაგრამ მე ტურინში ვცხოვრობ.

რა კერძებს მიირთმევთ? რომელია თქვენი საყვარელი კერძი?

ვცდილობ, ჯანსაღად ვიკვებო. თუ კლუბში ვარ, იქაური ექიმები მირჩევენ რეჟიმს. საყვარელი კერძი კი დედაჩემის მომზადებული ტირამისურა.

რა მანქანით დადიხართ?

„ალფა რომეო 166“ მყავს.

კიდევ, სუპერპლუტო ამბობს, რომ „იუვენტუსში“ თამაშმა, სახელმა და დიდებამ მასზე არ იმოქმედა, გოლების გატანა მისი საქმეა, ხოლო სიმსუბუქე უფრო გენეტიკის შედეგია, ვიდრე ვარჯიშის.

და რატომ პასუხობს ყოველთვის, ყველა კითხვას მშვიდად და დიპლომატიურადაც კი?

იმიტომ, რომ ყველაფერი პიროვნულ თვისებებზე და ოჯახში მიღებულ აღზრდაზეა დამოკიდებული.

პაპუნა კედია

დევიდ, კაცი ხარ, თუ...

დაუწერელი კანონია, ვარსკვლავი თუ ხარ, ყურადღების ცენტრში უნდა იმყოფებოდე, მეუღლეც თუ ვარსკვლავი გყავს, მით უმეტეს. ბექემ-ადამსის წყვილზე მოგახსენებთ.

კვირას, „ლიდსი“ „მანჩესტერის“ მატჩში, დევიდ ბექემს არ უთამაშია. პრინციპული შეხვედრამდე ორი დღით ადრე, პარასკევს, ფეხბურთელი ვარჯიშზე არ გამოცხადდა. განრისხებულმა სერ ალექს ფერგიუსონმა ბექემი დასაჯა — „ლიდსის“ წინააღმდეგ მინდორზე არ გაიყვანა და 50 ათასი გირვანქის გადახდაც დააკისრა. 50 ათასი ბექემისთვის იქნებ ბევრი არც იყოს (ბოლოს და ბოლოს, როი კინის ერთი კვირის ხელფასია), მაგრამ საეჭვოა, მან ჯარიმა ხალისით გადაიხადოს. მაინც რა დააშავა ფერგიუსონის ფავორიტმა ასეთი, ანუ რატომ არ მივიდა ვარჯიშზე? მიზეზი მეტად გულისამაჩუყებელია. თურმე დევიდის და ვიქტორიას ერთადერთ პირმშოს, პატარა ვარსკვლავიჭუნა ბრუკლინს ხუთშაბათ საღამოს სიცხემ აუწია და შეუძლოდ შეიქნა. მამის გულმა ვერ მოითმინა და ავადმყოფი შვილის სასთუმალთან ღამე თვრად გაათია.

აფერუმ, შენს კაცობასო, იტყვიან მოსიყვარულე მამები (დედებიც, ბებიებიც და ბაბუებიც), შვილი თუ ავად ჰყავდა, რა ეფეხბურთებოდაო. ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პატარა ბრუკლინის საწოლთან შეკრებილ ექიმთა და მომვლელთა მრავალრიცხოვანი არმია ირწმუნება, დევიდი იქ იყო, აი, დედა კი არ შეგვინიშნავსო. ვერც ნახავდნენ. მის ვიქტორია ამ დროს ლონდონში მაღალი მოდის კვირეულს ესწრებოდა. მობილური ტელეფონი არ უმუშავებდა და ვერ შეატყობინეს, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტია, მომხიბვლელ „სპაიზ გოგონას“ შვილზე მეტად გარდერობის შევსების პრობლემა აღელვებდა.

ბექემ-ადამსის ვარსკვლავთოჯახში ფუნქციების გადანაწილების საკითხს ჩვენ, აბა, ვინ გვეკითხება, თუმცა სერ ალექსი სხვაგვარად ფიქრობს. მე მწვრთნელის და ფეხბურთელის საუბარი ასე წარმომიდგენია.

სერ ალექს ფერგიუსონი: „დევიდ, კარგია, შვილი რომ გიყვარს, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ვარჯიშზე მოსულიყავი, პატარასთან კი ვიქტორია დაგეტოვებინა“.

დევიდ ბექემი: „სერ, უნდა გამიგოთ, ვიქტორიას თავისი ვარსკვლავური იმიჯი აიძულებდა, მოდების ჩვენებას დასწრებოდა“.

სერ ალექსი: „კაცო, ნუ გამაგიჟებ, ვინ არის ბავშვის დედა, შენ თუ ვიქტორია? გაიგე, რომ შენი ცოლია მისის ვიქტორია ადამს-ბექემისა და არა შენ — დევიდ ბექემ-ადამსისა. ახლა დაგაჯარიმებ და ლიდსშიც ტრიბუნაზე დაგსვამ. დაე, შენთვის გაკვეთილი იყოს“.

აი, ასეთი, ან დაახლოებით ასეთი დიალოგი წარიმართა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის.

ბექემის დასჯამ საბუქმეიკერო კანტორებში მასზე დადებული ფსონებიც შეცვალა. კერძოდ, სახელგანთქმული „უილიამ ჰილი“ მოთამაშეებს ადრე ასე ენიძლავებოდა, თუ ფეხბურთელი მომდევნო სეზონში სხვა გუნდში გადავა, თქვენს მიერ დადებულ ყოველ გირვანქას ოთხმაგად აგინაზღაურებთო. ახლა, ფერგიუსონთან კონფლიქტის შემდეგ, ლონდონელი ბუქმეიკერები ბექემის წასვლის შანსს 6/4-ზე აფასებენ. „უილიამ ჰილში“ ბექემთან დაკავშირებით ასეთ ფსონსაც შეგიძლიათ ჩახვიდეთ — თუ მომდევნო შეხვედრაში მეტოქის ჩაწიხვლის მოყვარულ ფეხბურთელს მოედნიდან მიაბრძანებენ, ერთი გირვანქა ოცდახუთად გექცევათ. უცნაურია, მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდება, თუკი ვიტყვით, რომ შემდეგ მატჩში ბექემი ინგლისის ნაკრების მაისურას ჩაიცვამს და ამხანაგურ თამაშში არგენტინელებს გაეჯიბრება.

ინგლისი — არგენტინის დაპირისპირება ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომის შემდეგ განსაკუთრებულ მოვლენად აღიქმება. ამ ნაკრებთა ბოლო შეხვედრა გეხსომებათ. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისინი მერვედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ბექემმა დიეგო სიმეონე დაჩაგრა, დანიელმა მსაჯმა ნილსენმა — ბექემი, ხოლო საბოლოო ჯამში არგენტინამ — ინგლისი. ჰოდა, „უილიამ ჰილის“ მიერ შეთავაზებული ფსონი ბექემის შესაძლო გაძევებაზე სწორედ იმ მატჩის გამოძახილია.

გაჩნდა ეჭვიც, ფერგიუსონთან შეხლა-შემოხლის შემდეგ კევინ კიგანმა ფეხბურთელი ნაკრებში იქნებ არც მიიწვიოსო. მაგრამ ეჭვი ეჭვადვე დარჩა, კიგანს უბექემო ინგლისის ნაკრები ვერ წარმოუდგენია. მწვრთნელი ამბობს: „ორი ადამიანის პირად ურთიერთობაში ცხვირის ჩაყოფა არ მჩვევია. ფერგიუსონის და ბექემის შემთხვევაც კერძო ხასიათს ატარებს. ჩემთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ დევიდი ჩინებულ ფორმაშია. მას დაღლილობა არ ეტყობა და არგენტინის წინააღმდეგ სათამაშოდ მეტად მონდომებით ემზადება. დღეს დილით (კიგანმა ეს განცხადება ორშაბათს გააკეთა) ფეხბურთელის ვარჯიშითაც ფრიად კმაყოფილი დავრჩი“.

ვიქტორიას ქმრობა ადვილი არ არის

დაბოლოს, ინგლისში ერთი კაცი მეგულება, ვისაც ბექემის და ფერგიუსონის დაპირისპირება ეამა. ეს კაცი „არსენალის“ მენეჯერი არსენ ვენგერია. აკი ვენგერი და მის ვიქტორია შეხმატკბილებულად მუშაობენ ბექემის ლონდონურ კლუბში გადასაყვანად.

გიორგი დარჯანია

ვან ნისტელროი: ჩელსი თუ არსენალი?

ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, რუუდ ვან ნისტელროის შეძენის სურვილს ლონდონის „ჩელსი“ კარგა ხანია გამოთქვამს. ამის შესახებ უკვე გაუწყეთ. სულ ახლახან კი პსვ-ს პერსპექტიული თავდამსხმელის გადაბირებით კიდევ ერთი ლონდონური კლუბი — „არსენალი“ დაინტერესდა.

„მეთოფეთა“ რიგებში ორი ჰოლანდიელი ვარსკვლავი ირიცხება — მარკ ოვერმარსი და დენის ბერხკამპი, რომლებიც გუნდის ლიდერები არიან. მათმა თავკაცმა არსენ ვენგერმა კი, როგორც ჩანს, ვან ნისტელროის ყიდვაც მოისურვა.

ბერხკამპი — ვან ნისტელროის წყვილი დღეს ამსტერდამში გასამართ ჰოლანდიისა და გერმანიის ამხანაგურ მატჩში, ალბათ, მოსინჯავს ძალას. „ვფიქრობ, ნაკრებში ერთად თამაში კარგად გამოგვივა, ოთხშაბათს ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებთ და გულშემატკივარსაც ვასიამოვნებთ“ — განუცხადა ვან ნისტელროომ „სქაი სპორტს“. აღსანიშნავია, რომ თუ შემტევ დუეტს თამაში მართლაც წაუვა, „არსენალი“ პსვ-ს თავდამსხმელით, ალბათ, ერთიორად დაინტერესდება.

ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ 23 წლის ვან ნისტელროის შეძენას „მეთოფეები“ მართლაც აპირებენ. პსვ-ს პრესატაშემ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „არსენალმა“ ვან ნისტელროის გადაბირების სურვილი მართლაც გამოთქვა, თუმცა აღვნიშნავ, რომ ფეხბურთელი პსვ-ში კონტრაქტით კიდევ სამი წელი უნდა დარჩეს. მის გაყიდვას კი არ ვჩქარობთ, რადგან სერიოზული წინადადებები არ ჩანს“.

გავრცელდა ხმები, თითქოს ვან ნისტელროის გაყიდვის შემთხვევაში პსვ დაახლოებით 20 მილიონ გირვანქას მოითხოვს. ამის შესახებ პრესატაშე ამბობს: „ფეხბურთელის ფასი ჯერჯერობით არ დაგვისახელებია, „არსენალს“ ვთხოვეთ, შესაძლო თანხა შემოეთავაზებინა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ამიტომ ალბათ დავიცდით“.

თავად ვან ნისტელროომ დაახლოებით ერთი კვირის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ თუ ჰოლანდიას დატოვებს, კარიერას ინგლისში გააგრძელებს. „ალბათ, უფრო ინგლისში გადავალ, მაგრამ ახალ კლუბში ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს და გუნდთან კარგი ურთიერთობა მქონდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში დავთანხმდები წინადადებას“ — გამოუტყდა ფეხბურთელი ჟურნალისტებს.

თუმცა მაშინ მან უარყო მოსაზრება ლონდონის „ჩელსისთან“ მოლაპარაკების შესახებ. „ჩემთვის ცნობილია, რომ პსვ-სა და „აიაქსს“ შორის გამართულ შეხვედრას „ჩელსის“ რამდენიმე ოფიციალური წარმომადგენელი, მათ შორის, მთავარი მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი დაესწრო. მაშინ არავისთან მილაპარაკია, ამიტომ ჯერჯერობით სერიოზული საუბარი ნაადრევია“.

რუუდ ვან ნისტელროი

ნიკა შუბლაძე

ეროვნულ ფეხბურთში ინტერნაციონალიზაცია

მოგეხსენებათ, საერთაშორისო ფეხბურთში საერთაშორისო ამბები ხდება, ეროვნულში კი ანტიეროვნული. ამიტომაც გადავწყვიტეთ მკითხველს მოკლედ შევახსენოთ ბოლოხანს მომხდარი უმნიშვნელოვანესი და უმნიშვნელო ამბები, რითაც სპორტის ამ სახეობის ბუნდოვან პერსპექტივაზე მკაფიო შთაბეჭდილებას შევიქმნით. მაშ ასე:

ამბავი პირველი: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილმა სერმა, ალექს ფერგიუსონმა თვალი დაადგა მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს, ალექსი სმერტინს და მის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ცნობილმა ქართველმა აგენტმა, ბონდო დამალულმა წამოიწყო მოძრაობა თბილისის „სიხარული 1901 წლის 14 მარტის შუადღის ოთხის ნახევრის“ ნახევარმცველის, საშა სიკვდილაშვილის იმავე ინგლისურ გუნდში გადასაყვანად. წარმატებული ტრანსფერის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სმერტინი ერთ ფრთაზე ითამაშებს, ხოლო სიკვდილაშვილი მეორეზე.

ამბავი მეორე: ევროკავშირის საფეხბურთო კომისიის ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მშობლიურ ბელგიაში დაბრუნებული ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი საქართველოში გატარებულმა პერიოდმა მენტალურად გაამდიდრა. კერძოდ, მას აშკარად ეტყობა თბილისელი ტაქტიკოსის, აწგარდაცვლილი ენგელბერტ პონტელავას გავლენა, რაც ბოსკამპის ახალი გუნდის, გენკის „გენკის“ პირველივე შეხვედრის ანგარიშზე აისახა. პონტელავას მეთოდების დანერგვისა და საყოველთაო გავრცელების შემთხვევაში ევროპის საფეხბურთო აზროვნებაში დიდი რევოლუციაა მოსალოდნელი.

ამბავი მესამე: თბილისის ერთ-ერთ უბანში, საკუთარ ბინაში, ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა „ფ.კ. მაგრების“ მწვრთნელი, ცნობილი მოღვაწე ენგელბერტ (ენგო) პონტელავა. გარდაცვლილის სასთუმალთან იპოვნეს ორი ერთჯერადი შპრიცი და სამი ამპულა სიყვარული. პონტელავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი დედმამიშვილის სლიშკომას და აღზრდილის, ნიკუშკი ჩემიდედავას გულებში.

ამბავი მეოთხე: ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი 2003 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადში ოთხჯერ ჩატარებას გეგმავს. მისი აზრით საგაზაფხულო ჩემპიონატი ევროპაში უნდა გაიმართოს, საზაფხულო სამხრეთ ამერიკაში, საშემოდგომოს აზია უმასპინძლებს, ხოლო საზამთრო აფრიკაში მოვა. ამასთან, ბლატერი თვლის, რომ ყოველ პირველობაზე უნდა გაიმარჯვოს მასპინძელი კონტინენტის წარმომადგენელმა (ანბანის მიხედვით), რაც სტადიონზე დასწრებასა და შემოსავალს გაზრდის. იდეა ძალიან მოეწონათ ფიფას ტრადიციულ სპონსორებს „კოკა-რ-ბოქსილაზას“, „სონი კორლეონესა“ და „დიმიტრი კოპიერზს“, თუმცა მათი პრეზიდენტის მეისონ შაქარაშვილის (იგივე სახაროვი ანუ სახარევიჩი, ესე იგი ცუკერმანი) განცხადებით უმჯობესი იქნება თუ სტადიონზე განთავსებული რეკლამების სანახავად მისული ხალხი ფეხბურთის ცქერით არ მოცდება.

ამბავი მეხუთე: გერმანიის ნაკრები გამალებით ემზადება ევრო 2000-ისთვის, მაგრამ მისი მწვრთნელი, ერიხ რიბეკი დიდი პრობლემის წინაშე დგას — ყველა ფეხბურთელი გამოუცდელი ახალგაზრდაა, გამოცდილები კი არსად ჩანან. საერთოდ, ასაკოვან მოთამაშეთა ნაკლებობა გერმანული ფეხბურთის აქილევსის ქუსლია. ამ პრობლემასთან საბრძოლველად ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა გახსნა „ვეტერანთა აღზრდის სკოლა“, რომლის პირველ კურსდამთავრებულს, გიუნტერ ნეცერს ნაკრების ბანაკში აპრილის ბოლოსთვის ელიან.

ამბავი მეექვსე: ესპანური „სალახუნას“ იუგოსლავიელმა თავკაცმა, ზლობომირ აგრესოვიჩმა წაიკითხა სამი წიგნი: „ფეხბურთელთა თორმეტგოჯა ნაწლავის ფუნქცია და მისი მნიშვნელობა მარცხენა ფრთიდან სამკაციანი შეტევის განვითარებაში“, „ფსიქოთერაპევტის როლი სტუმრად გამართული შეხვედრის მეორე ტაიმის 24-ე წუთზე, როდესაც ანგარიშია 3:2 მასპინძელთა სასარგებლოდ“ და „M.S.P.R.Q.F.H“, რის შემდეგ პირველსავე საწვრთნელ შეკრებაზე მოთამაშეები ჩაამწკრივა და უთხრა: — თქვე ახვრებო, მეტი საქმე არა მაქვს თქვენს ნანლავებზე ფიქრით შევიწუხო თავი. ფსიქოთერაპევტი არა, კიდევ, გინეკოლოგი. გადით ეხლა მოედანზე და ოცდაათი წრე შემოურბინეთ, თორემ წიხლქვეშ გაგიდებთ, თქვენი...“

ამბავი მეშვიდე: შაბათს, ესპანეთის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩის „რეალ“ — „ბარსელონას“ დამთავრების შემდეგ ნახალოვკაში, კიკვიძის პარკში ერომანეთს დაჭრიან „რეალისა“ და „ბარსელონას“ თბილისელი გულშემატკივრები. ესპანეთში ექსცესები არ მოხდება.

კაკუნა კედია

ავტორს აინტერესებს რატომ სხდებიან თბილისელი ბიჭები მარშრუტკაში მძღოლის გვერდით, როდესაც იქ ვიღაც უკვე ზის.

ბეეე

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ

ზაზა ფაჩულიამ დიდ კალათბურთში შეაბიჯა. სტამბოლის „ულქერის“ მწვრთნელმა მურათ დიდინმა საბოლოოდ ირწმუნა თექვსმეტი წლის ქართველის შესაძლებლობები და გასულ კვირას ჩვენებური ძირითად გუნდში მიიწვია. მიიწვია და ათამაშა კიდეც...

თურქეთის ჩემპიონატის ოცდამეერთე ტურში „ულქერი“ კონიას „ქომბასანს“ ხვდებოდა. სწორედ ამ შეხვედრაში შედგა ზაზა ფაჩულიას დებიუტი. მატჩის ბოლო წუთებზე დიდანმა მოედანზე შეუშვა ჩვენებური, ნაღდ კალათბურთს აზიარა...

უპირველესად ფაჩულია ამაყობს ამით, უფრო სწორად, ბავშვურად უხარია — შრომა დაუფასდა, მის ნიჭს ფრთები შეესხა...

ფაჩულიას შინ, სტამბოლში დავუკავშირდით და აი, რა გვითხრა:

ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲣᲚᲥᲔᲠᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ

— თავადაც არ მეგონა, ასე სწრაფად თუ მოხდებოდა ყველაფერი. მწვრთნელი მომავალი სეზონისთვის მამზადებდა, მეც შეგუებული ვიყავი იმას, რომ წლეულს არ მოვხვდებოდი „ულქერის“ ძირითადში, ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ვარჯიშს და ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი.

— ვინ შეგატყობინათ, რომ დიდ „ულქერში“ იყავით გამოძახებული?

— „ქომბასანთან“ შეხვედრის წინა დღეს დიდინი ახალგაზრდული „ულქერის“ ვარჯიშს დაესწრო. შემდეგ გამაფრთხილა, კარგად დაისვენეო და საღამოს დიდებთან მიმიწვია სავარჯიშოდ. მაშინვე არ უთქვამს, მერეღა გავიგე, რომ უკვე განაცხადშიც შევყვანე და „ქომბასანთან“ სათამაშოდ მამზადებდა.

— ცნობილია, რომ თქვენ „ულქერთან“ კონტრაქტი არ გაყავშირებთ. უამისოდ თამაშის უფლება გქონდათ?

— კონტრაქტი დროის ამბავია. სრულწლოვანი რომ გავხდები, მერე ოფიციალურ ხელშეკრულებას გავაფორმებ გუნდთან, მანამდე კი საგანგებო ლიცენზია გაიცა ჩემს სახელზე, რაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მაძლევს.

— ახლა ის თქვით, მოედანზე შესვლისას თუ ნერვიულობდით.

— უბრალოდ, ვღელავდი. ფერი არ დამკარგვია და არ ავკანკალებულვარ.

— რაიმე დაგავალათ დიდინმა?

— მითხრა, ახლა იწყებ კარიერას და აბა, შენ იცი. მერე კონკრეტული მითითებაც მომცა, ფარზე იმუშავე და პირველ შეტევაში გაიქეცი.

— ცოტა ხანში რა უნდა მოგესწროთ?

— დრო მართლაც ცოტა იყო. მხოლოდ ერთი ჩაჭრა გავახერხე.

— „ულქერის“ ქომაგებმა კარგად მიგიღეს?

— არც კი ველოდი, ისე თბილად შემხვდნენ. ყველა ფეხზე ადგა და იყო ერთი ტაშისკვრა, ოვაციები. აქ სხვანაირი გულშემატკივრობა იციან...

— როგორ ფიქრობთ, „ულქერის“ ლიდერის, ჰარუნ ერდენაის ტრავმამ ხომ არ დააჩქარა თქვენი ძირითადში მოხვედრა?

— არა მგონია, ასე იყოს. ერდენაი უკანახაზელია, მე კი ხან ცენტრად მთამაშებენ, ხანაც თავდამსხმელად. ერდენაის შეცვლა რომ სდომებოდა დიდინს, მაშინ ახალგაზრდული გუნდიდან უკანახაზელს აიყვანდა.

— რა მიზნებს ისახავს წლეულს „ულქერი“?

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობას. ამისთვის ჯერ ოთხეულში უნდა მოვხვდეთ. სადღეისოდ მეხუთეზე ვართ, თუმც მესამეადგილსან „ბეშიქთაშს“, მეოთხეზე მყოფ „ქარშიაქასა“ და ჩვენ თანაბარი ქულები გვაქვს. მთავარია, პლეი ოფში გავაღწიოთ და მერე მხოლოდ ჩემპიონობაზე ვიფიქრებთ.

— ევროლიგა?

— ევროლიგაში სულ ცოტა ნახევარფინალში გასვლას გეგმავენ. ვნახოთ, რა გამოვა.

— ევროლიგის წლევანდელ გათამაშებებში, ალბათ, მონაწილეობას არ მიიღებთ.

— რატომ, ვინ იცის. 29-ში ესპანეთში „ბარსელონასთან“ შეხვედრა გველის და დიდი შანსია, მეც გავემგზავრო. გადაჭრით არაფერი უთქვამს მწვრთნელს, უბრალოდ, ყური მოვკარი საუბარს ესპანეთში ჩემი წაყვანის შესახებ. ვნახოთ, ყველაფერი მაინც დიდინის გადასაწყვეტია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲯᲐᲮᲕᲘᲚᲘ

XXII ტური

ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 91:84, ითუ — თოფაში 77:87, ქარშიაქა — ტელეკომი 81:77, ოიაქი — გალათასარაი 68:87, დარუშაფაკა — ეფესი 58:73, ქომბასანი — ტროი 59:64, მიდონოსე — ულქერი 59:84

ეფესი	22	18	4	1706:1547	40
თოფაში	22	17	5	1625:1462	39
ბეშიქთაში	22	15	7	1636:1572	37
ქარშიაქა	22	15	7	1652:1577	37
ულქერი	22	15	7	1656:1538	37
ტელეკომი	22	13	9	1667:1602	35
გალათასარაი	22	12	10	1672:1603	34
დარუშაფაკა	22	12	10	1622:1636	34
ფენერბაჰჩე	22	11	11	1720:1675	33
ტროი	22	8	14	1706:1762	30
მიდონოსე	22	6	16	1696:1822	28
ქომბასანი	22	6	16	1514:1574	28
ითუ	22	5	17	1495:1701	27
ოიაქი	22	1	21	1425:1721	23



ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ᲠᲝᲢᲕᲔᲘᲚᲔᲠᲘᲡ
ᲚᲔᲙᲕᲔᲑᲘ
☎ 39 42 65
დარეკეთ 12-დან 17 საათამდე

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ

ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲑᲐ

XXII ტური

კრკა — ოლიმპია 59:66, მარიბორი — ჰელიოსი 79:94, როგლა ატრასი — ლოკა კავა 77:82, ზაგორიე — პივოვარნა 64:88, კრაშკი ზიდარი — საინსკი 82:75

ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ 68:63 ᲢᲠᲘᲒᲚᲐᲕᲘ

სლოვანი: ნოვაკი (7), ლაკოვიჩი (12), ჟაკელი (2), ჯურკოვიჩი (11), კოვაჩი (7), პავიჩი (5), ბოშისა (10), მარავიჩი (14), შუშტარშიჩი

ტრიგლავი: ლოიკი, იანკოვიჩი, სტავროვი (6), ერჟენი (4), კრეიჩი (3), პრიმეცი (8), შვარცი (2), პეტრანოვიჩი (28), ზაგორაცი (6), ტროპანი (6)

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში ყველაფერი ისე აეწყო, ქართველების გუნდი, ლიუბლიანის „სლოვანი“ უკეთესს რომ ვერ ინატრებდა. „სლოვანმა“ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „ტრიგლავს“, „ზაგორიე“, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა „პივოვარნასთან“, ხოლო „საინსკიმ“ მოულოდნელად დამო შეხვედრა „კრაშკი ზიდართან“. აქედან გამომდინარე, „სლოვანი“ ექვსეულში მოხვდა. მეტიც, ამჟამად მეოთხე ადგილზე (თანაბარქულიან „ტრიგლავთან“ ურთიერთშეხვედრებში მოგებების გამო) და ერთი ქულით უსწრებს ექვსეულის ბოლო გუნდს „საინსკის“. თავის მხრივ, „საინსკი“ ურთიერთშეხვედრებში უკეთ ასპარეზობის წყალობით უსწრებს „ზაგორიეს“, რომელიც ექვსეულს მიღმა დარჩა.

„სლოვანმა“ შინ, „კოდელიევოს“ დარბაზში უმასპინძლა უშუალო კონკურენტს კრანის „ტრიგლავს“. შეხვედრა ძალზე დაძაბული და ხისტი გამოდგა. სხვაგვარად არც იქნებოდა, რადგან „ტრიგლავს“ სლოვენიის ჩემპიონატში ყველაზე უხეში გუნდის სახელი აქვს. ამ მატჩშიც მისმა მოთამაშეებმა 30 პერსონალური მიიღეს, სლოვანელებმა — 21. „ტრიგლავი“ მატჩის უმეტეს ნაწილს იგებდა. ეს ერთადერთი კაცის, იუგოსლავიელი ვეტერანი ფორვარდის ველკო პეტრანოვიჩის დამსახურება იყო. ამ ორმოც წელს მიტანებულმა კაცმა ხუთი სამქულიანი (შვიდი ნასროლიდან), ოთხი ორქულიანი (რვა ნასროლიდან) და ხუთი საჯარიმო (ხუთი ნასროლიდან) ჩაგდო და უზრუნველყო კრანელთა მიერ ტაიმის 25:24 მოგება. ეს კიდევ არაფერი: პეტრანოვიჩი მეორე ტაიმში მთლად გადაირია და დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „ტრიგლავი“ 14 ქულით იგებდა. პეტრანოვიჩს მორიგეობით მეურვეობდნენ სმილიან პავიჩი და პაველ ჯურკოვიჩი, თუმცა მათ გარჯას ბევრი არაფერი მოჰყოლია.

სლოვანელთა ბედად, პეტრანოვიჩი დაიღალა და კრანელთა მწვრთნელმა იგი ცოტა ხნით დაასვენა. ლიუბლიანელთათვის ეს ცოტა ხანიც საკმარისი აღმოჩნდა — მათ ზედიზედ სამი სწრაფი გარღვევა გააკეთეს და ამით დაბნეულ „ტრიგლავს“ სათამაშო ინიციატივა წაჰგვარეს. პეტრანოვიჩი რომ დაბრუნდა, ანგარიში თანაბარი იყო, ოღონდ „სლოვანს“ მეტი ჯანი შემორჩენოდა. მეტოქეზე საკმაოდ ახალგაზრდა ლიუბლიანელებმა მეტად მძიმე, მაგრამ საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

„სლოვანის“ ოთხი ქართველიდან მხოლოდ ერთმა, ვლადიმერ ბოისამ ითამაშა. მან 22 წუთი დაჰყო მოედანზე, ხუთი ნასროლი ორქულიანიდან სამი ჩაგდო, ხოლო ოთხი საჯარიმოდან ყველა გამოიყენა. ბოისამ ოთხი მოხსნა, ერთი ჩაჭრა და ერთი დაფარებაც მიითვალა. იგი „ტრიგლავის“ ფორვარდს ჟელკო ზაგორაცს მეურვეობდა და მისი გაუვნებლება ოთხ პერსონალურად დაუჯდა. სხვათა შორის, ზაგორაცმა ოთხიდან ორი ორქულიანი ჩააგდო და ისიც მაშინ, როცა ბოისა ისვენებდა.

ნიკა ცქიტიშვილმა მატჩის წინა დღეს ფეხი იტკინა და მხოლოდ სათადარიგოებში ყოფნას დასჯერდა. ირაკლი კეიდიას ასეთ დაძაბულ შეხვედრაში ჩართვა „სლოვანის“ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ვერ გარისკა. დავით უგრეხელიძე, რომელიც გრიპისგან ახლახან განიკურნა, განაცხადში არ ყოფილა.

სენსაცია მწიფდებოდა ნოვო მესტოში, სადაც მესამეადგილოსანი „კრკა“ ლიდერს, ლიუბლიანის „ოლიმპიას“ მასპინძლობდა. ნოვომესტოელებმა შესანიშნავად დაიწყეს და მეთერთმეტე წუთზე 23:9 იგებდნენ. წაგებას მიუჩვეველ „ოლიმპიას“ ძალიან გაუჭირდა, თუმცა დახმარების ხელი „კრკას“ მწვრთნელმა გაუწოდა: ხორვატმა ივო სუნარამ (სლოვენიის „ოლ სტარზე“ უცხოელი კალათბურთელების ნაკრებს თავკაცობდა) რამდენიმე გაუმართლებელი შეცვლა გააკეთა. კერძოდ, მოედანზე შეუშვა 34 წლის ივო ნაკიჩი და „ოლიმპიას“ 21 წლის უკანახაზელის სტიპე მოდრიჩის მეურვეობა დაიკისრა. ფეხმარდმა მოდრიჩმა სისწრაფით დარაგრა ნოვომესტოელი ოპონენტი, „ოლიმპიამ“ კი ერთი მონაკვეთი 12:0 მოიგო. 24-ე წუთზე „ოლიმპია“ წინ გავიდა და გააფრთრებით მებრძოლ „კრკას“ დაწინაურების საშუალება არ ცერთხელ აღარ მისცა.

ამით სლოვენიის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. ექვსეულის მატჩები 4 მარტს დაიწყება. ამავე დღეს ჩაებმებიან ბრძოლაში ექვსეულს მიღმა დარჩენილი გუნდები — მათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ პაექრობა. მანამდე კი სლოვენიის ნაკრები ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ორ შესარჩევ მატჩს გამართავს უკრაინისა და ბელგიის წინააღმდეგ. „სლოვანიდან“ ნაკრების კანდიდატია მარკო მარავიჩი, თუმცა საბოლოო შემადგენლობაში მისი მოხვედრა ერთობ საეჭვოა.

ოლიმპია	22	21	1	1921:1331	43
პივოვარნა	22	20	2	1957:1561	42
კრკა	22	16	6	1734:1547	38
სლოვანი	22	12	10	1598:1531	34
ტრიგლავი	22	12	10	1573:1670	34
საინსკი	22	11	11	1745:1718	33
ზაგორიე	22	11	11	1592:1710	33
ლოკა კავა	22	7	15	1550:1719	29
როგლა ატრასი	22	6	16	1596:1777	28
ჰელიოსი	22	6	16	1661:1869	28
მარიბორი	22	6	16	1567:1874	28
კრაშკი ზიდარი	22	4	18	1568:1755	26

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

XXIV ტური

პამპლა — კასერესი 79:81, ხირონა — უნიკახა 70:68, რეალი — ლეონი 95:65, ფუენლაბრადა — ხიხონი 71:57, ბადალონა — კანტაბრია 95:74, კახა სან ფერნანდო — ბრეოგანი 69:77, ტაუ — ესტუდიანტესი 72:63, ბარსელონა — ტდკ 74:52, კანარიასი — ფორუმი 70:51

სან ფერნანდო	24	18	6	1775:1623	42
პამპლა	24	17	7	1957:1778	41
ბარსელონა	24	16	8	1768:1607	40
ტაუ	24	16	8	1919:1759	40
ესტუდიანტესი	24	16	8	1752:1650	40
რეალი	24	14	10	1800:1680	38
კანარიასი	24	14	10	1784:1784	38
უნიკახა	24	13	11	1679:1663	37
ბადალონა	24	12	12	1889:1890	36
ხირონა	24	11	13	1773:1736	35
კასერესი	24	11	13	1739:1789	35
ფორუმი	24	10	14	1616:1694	34
ბრეოგანი	24	10	14	1727:1793	34
ფუენლაბრადა	24	9	15	1770:1792	33
ტდკ	24	8	16	1609:1717	32
ხიხონი	24	8	16	1598:1788	32
კანტაბრია	24	7	17	1657:1893	31
ლეონი	24	6	18	1585:1761	30

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

XXI ტური

ირაკლიონი — მარუსი 86:76, ირაკლისი — პაოკ 75:71, პანათინაიკოსი — სპორტინგი 84:59, ოლიმპიაკოსი — ესპეროსი 80:61, არისი — დაფნი 76:69, ნიარ ისტი — პანიონიოსი 95:78, პერისტერი — აეკ 79:81

ოლიმპიაკოსი	21	17	4	1513:1307	38
აეკ	21	17	4	1591:1393	38
პანათინაიკოსი	21	17	4	1594:1339	38
პაოკ	21	13	8	1550:1462	34
პერისტერი	21	11	10	1537:1529	32
ირაკლისი	21	11	10	1477:1433	32
პანიონიოსი	21	11	10	1558:1544	32
ირაკლიონი	21	10	11	1585:1555	31
არისი	21	9	12	1476:1497	30
მარუსი	21	9	12	1455:1494	30
ნიარ ისტი	21	9	12	1559:1689	30
დაფნი	21	7	14	1480:1631	28
სპორტინგი	21	3	18	1395:1625	24
ესპეროსი	21	3	18	1400:1672	24

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

XXII ტური

ადეკო — პეპსი 71:56, ვიოლა — რეჯანა 75:71, ძუკეტი — მიულერი 80:81, კანტუ — სკავოლინი 80:77, იმოლა — ტრიესტი 96:92, აეროპორტი — სიენა 72:70

ᲑᲔᲜᲔᲢᲝᲜᲘ 69:67 ᲤᲝᲠᲢᲘᲢᲣᲓᲝ

ბენეტონი: ედნი (7), სანტოსი (5), პიტისი (4), ნიკოლა (32), მარკონატო (9); ბულერი, ტრაინა (12), ნეესი

ფორტიტუდო: ბაზილე (5), იარიჩი (10), კარნიშვასი (10), ფუჩა (4), ვრანკოვიჩი (8); პილუტი (5), მაიერსი (17), გალანდა (8)

ᲙᲘᲜᲓᲔᲠᲘ 80:71 ᲕᲐᲠᲔᲖᲔ

კინდერი: რიგოდო (18), სკონოჩინი (3), დანილოვიჩი (28), ეკონომუ (13), ფროზინი (8); დ. ანდერსენი (3), შტომბერგასი (2), აბიო (5), მ. ანდერსენი

ვარეზე: პოცეკო (7), მენეგინი (16), ვესკოვი (15), კისურინი (4), სანტიაგო (19); ვუხერერი (4), დავოლიო (6), ზანუს-ფორტესი, ფოიერა

ბოლონიის „ფორტიტუდომ“ და ტრევიზოს „ბენეტონმა“ წარმატებით გაიარეს ევროლიგის ჯგუფური ეტაპები და მერვედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მათი პირველი საევროლიგო მატჩი 29 თებერვალს გაიმართება ბოლონიაში. იქამდე ათი დღით ადრე კი გუნდებმა იტალიის ჩემპიონატში მოუსინჯეს ერთმანეთს ძალა, ოღონდ ტრევიზოში.

„ფორტიტუდო“ ერთპიროვნული ლიდერია და, როგორც ჩანს, რეგულარული ჩემპიონატის მოგებას არავის დაანებებს. „ბენეტონი“ და ბოლონიის „კინდერი“ მას გვარიანად ჩამორჩებიან, მაგრამ ბედს არ ეგუებიან და ლიდერის დაწევას თუ არა, სხვაობის შენარჩუნებას მაინც ცდილობენ.

„ბენეტონს“ აკლდა გრიპშეყრილი ამერიკელი ჯეფ შეპარდი. „ფორტიტუდომ“ თავიდანვე დაიპყრო ფარი და იქ უპირატესობას მატჩის ბოლომდე ფლობდა. ბოლონიელებმა საიმედოდ ამოკეტეს „ბენეტონის“ გამთამაშებელი ტაიუს ედნი. მიუხედავად ამისა, „ბენეტონმა“ მაინც მოიგო.

მოიგო უპირველესად იმიტომ, რომ თითქმის უშეცდომოდ ითამაშა შეტევაში. არგენტინელმა მარსელო ნიკოლამ და ამერიკელმა ბრედ ტრაინამ „ბენეტონის“ ქულათა მესამედი გააკეთეს, ხოლო ერთმა ნიკოლამ — ლამის ნახევარი. ტრევიზოელთა ფორვარდმა ცხრა ნასროლი ორქულიანიდან ექვსი ჩააგდო, ამდენიმე ზუსტი სამქულიანი კი ათი ცდიდან მოუგროვდა. მატჩის ბედიც ნიკოლამ გადაწყვიტა: დამთავრებამდე ორი წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და გაწბილებულ „ფორტიტუდოს“ შეტევისთვის დროც აღარ დაუტოვა. ერთი სიტყვით, „ბენეტონმა“ საკმაოდ გამომწვევად ესროლა ხელთათმანი „ფორტიტუდოს“ ევროლიგის მატჩების წინ. შეგახსენებთ, რომ ევროლიგის მერვედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობა „ფორტიტუდოს“ აქვს.

„ფორტიტუდოს“ ერთი მოგებით მიუახლოვდა და მეორე ადგილი შეინარჩუნა თანაქალაქელმა „კინდერმა“, ვინც ევროლიგიდან უკვე გამოვარდნილი „ვარეზე“ დაიფრინა. ბოლონიელთა გამარჯვება, აგგრ უკვე მერამდენედ, განაპირობა იუგოსლავიელმა პრედრაგ დანილოვიჩის კარგმა თამაშმა. „კინდერის“ ლიდერს ფეხი აუწყვეს ბერძენმა ნიკოს ეკონომუმ და ფრანგმა ანტუან რიგოდომ. ლიტველმა საულიუს შტომბერგასმა კი მორიგი მატჩი ჩაფლავა. „ვარეზეს“ ღირებული არაფერი გაუკეთებია. იტალიის ჩემპიონი აუტსაიდერებში გარეულა და ძალიან ცოტა აშორებს სახიფათო ზონას.

ფორტიტუდო	22	20	2	1741:1505	42
კინდერი	22	16	6	1691:1480	38
ბენეტონი	22	16	6	1667:1550	38
აეროპორტი	22	15	7	1622:1592	37
სკავოლინი	22	13	9	1695:1636	37
ვიოლა	22	13	9	1632:1672	35
სიენა	22	12	10	1528:1500	34
ძუკეტი	22	12	10	1665:1639	34
იმოლა	22	11	11	1788:1785	33
ვარეზე	22	8	14	1596:1620	30
ადეკო	22	8	14	1553:1668	30
ტრიესტი	22	7	15	1593:1603	29
მიულერი	22	7	15	1543:1648	29
პეპსი	22	7	15	1523:1654	29
კანტუ	22	7	15	1553:1697	29
რეჯანა	22	4	18	1633:1774	26

FFBB საფრანგეთი

AFP ფოტო

ვილერბანი — პო ორტეზი 74:65. ვილერბანელი ჯიმ ბილბა პოელ ახალწვეულებს, ხალიდ რივზსა (მარცხნივ) და ჯეიმს ბრაისონს შორის

ჯოხი უცხოელებზე გადატყდა

XXIV ტური

საონი — ბეზანსონი 74:63, სტრასბური — დიჟონი 63:62, ლიმოჟი — შამპანი 87:69, პარი სენ ჟერმენი — მონპელიე 82:69, გრაველინი — ნანსი 74:70, ევრე — ანტიბი 70:58, შოლე — ლე მანი 77:63

ვილერბანი 74:65 პო ორტეზი

ვილერბანი: სონჯო (9), ლარანიაგა (9), პლუვი (7), სილსი (16), ბლომი (9), მაქსი (10), ლოვერნი (4), ბილბა (10)

პო ორტეზი: ფატუ (8), ტრუვიონი (6), რიზაშე (3), რივზი (16), დ. გადუ (3), მაზინგი (6), ბრაისონი (17), ჩილოემბა (3), პიეტრუსი (3)

საფრანგეთის ჩემპიონატის 24-ე ტურში ყველა მასპინძელმა მოიგო. „ლიმოჟმა“ საკუთარ დარბაზ „ბობლანში“ „შამპანს“ უმასპინძლა და 3800 გულშემატკივრის თვალწინ სეზონის მე-17 გამარჯვება მოიპოვა. ივანოვიჩის გაწვრთნილებმა თამაში კარგად დაიწყეს და მე-5 წუთისთვის 10:4 დაწინაურდნენ. სტუმრებმა მეტოქის შეტევას ზონური დაცვა დაუპირისპირეს, მაგრამ ამაოდ. ვილიამსისა და დიუმას აქტიურობის შედეგად „ლიმოჟის“ თამაში მეტად სწრაფი და დალაგებული იყო და „შამპანსაც“, ავოჟობის 22 ქულისა და 10 მოხსნის მიუხედავად, კაპიტულაცია მოუხდა.

ლიმოჟელთა მდევარმა „პარი სენ ჟერმენმაც“ მორიგი ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. დედაქალაქელებმა საკმაოდ სუსტ „მონპელიეს“ უმასპინძლეს და ზედიზედ მეშვიდედ მოიგეს. „კუბერტენში“ პსჟ-ს წინააღმდეგ მხოლოდ ორი კალათბურთელი იბრძოდა. კრეიდი (16 ქულა) და მინლანმა (29 ქულა) თავისი გუნდის მიერ აღებული ქულების ლამის ორი მესამედი მიითვალეს, თუმცა სკიარასა და კომპანიას მაინც ვერაფერი დააკლეს. დიდიე დობეს შეგირდები, საპორტას თასიდან გამოვარდნის მიუხედავად, მშვენიერ ფორმაში არიან და ჩემპიონობის კანდიდატთა სიაშიც თამამად შეიძლება მათი ჩაწერა.

სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადრებმაც გაიხარეს. „გრაველინმა“ ზედიზედ მესამედ მოიგო. ამჯერად მან „ნანსის“ აჯობა, რომელიც ნელ-ნელა სახიფათო ზონასაც უახლოვდება. „ევრემ“ როგორც იქნა, შეწყვიტა ექვსმატჩიანი წაგებების სერია და წინა ტურში „ვილერბანის“ მძლეველი „ანტიბი“ დაამარცხა. ტურის ორი თამაში კვირას გაიმართა. „შოლე“ „ლე მანს“ მასპინძლობდა, „ვილერბანი“ კი „პო ორტეზს“.

ამ ბოლო დროს „შოლე“ თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა და გამარჯვებები ამრავლა შინაც და გარეთაც (ევროლიგაში). თუ ევროპულ სარბიელზე ეს გამოფხიზლება უკვე დაგვიანებული იყო და გუნდი მაინც მერვედფინალს მიღმა დარჩა, სამაგიეროდ, საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფში მოხვედრა აღარ უნდა გაუჭირდეთ შოლელებს. შეხვედრის დასაწყისი სტუმრებისა იყო, რომლებიც კუდრავჯის (26 ქულა) წყალობით მე-6 წუთისთვის 11:4 დაწინაურდნენ. ამ დროს ერიკ ჟირარმა წუთშესვენება მოითხოვა. „შოლეზე“ მწვრთნელის დარიგებამ მშვენივრად იმოქმედა და უპირატესობაც ნელ-ნელა მის ხელში გადავიდა. ტაიმი 33:29 დასრულდა მასპინძლების სასარგებლოდ. მათ „მეირეს“ დარბაზში თავმოყრილი 5000 ქომაგი არც მეორე ტაიმში გაუწბილებიათ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს. „ლე მანი“ ამ წაგებით მერვე ადგილამდე ჩაქვეითდა და პლეი ოფში მოხვედრა თუ უნდა, უფრო ქვევით აღარ უნდა წავიდეს.

„ვილერბანი“ თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდა და მერე უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. „პო ორტეზში“ ამ ტურის წინ დიდი ცვლილებები მოხდა — ლეგიონერები შეიცვალნენ. ზედიზედ „მოგროვებული“ წაგებები კლუბის ხელმძღვანელობამ სვინსონსა და გულიაშს გადააბრალა და მათ მაგივრად გუნდში ამერიკელები — ხალიდ რივზი და ჯეიმს ბრაისონი მიიწვია. „ძალიან გვეჩქარება. ჩვენ ვინმეს ჩამოყალიბებისთვის არ გვცალია“ — თქვა „პო ორტეზის“ პრეზიდენტმა სეიანმა უნგრელი ლეგიონერის გულიაშის მისამართით. არადა, გულიაში, ეს მორცხვი და ზრდილობიანი გოლიათი, გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო (14,6 ქულა, 5,6 მოხსნა საშუალოდ 27 წუთში). თუმცა, განტევების ვაცი ხომ ყველაზე ხშირად ყველგან უცხოტომელია.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. სტუმრებმა აქცენტი თავიანთი ახალწვეულების ახლო მანძილებიდან სროლებზე გააკეთეს, მასპინძლები კი სონკოს გამთამაშებლურ ნიჭს დაენდნენ. მე-7 წუთისთვის 10:11 იყო. ორიოდ წუთში კი „პო ორტეზმა“ საკმაოდ დიდი დანაკლისი განიცადა — სტეფან რიზაშე მეტოქის ფარიდან ასხლეტილი ბურთის დასაუფლებლად ახტა, უხერხულად დაეცა და მარჯვენა ქუსლი დაიზიანა. მალე კი დიდიე გადუსაც მოუხდა მოედნის დატოვება, იგი სახიფათო თამაშისთვის მსაჯებმა გაძევეს. ბრაისონსა და რივზს კი ახალგაზრდებმა მხარი კარგად ვერ აუბეს და პოელებმა პირველი ოცწუთიული 30:41 დათმეს.

შესვენების მერეც ვერ მოახერხა „პო ორტეზმა“ თამაშში გარდატეხის შეტანა და მორიგი მარცხი იწვნია, რომლის შემდეგაც სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაქვეითდა. თუმცა იგი პლეი ოფში მაინც ნაღდად მოხვდება, მერე კი რონი სმიტს, ტიერი გადუს და სტეფან რიზაშეს ტრავმებიც მოუშუშდებათ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა მაინც შესაძლებელი იქნება.

ვილერბანი	24	19	5	1836:1626	43
ლიმოჟი	24	17	7	1805:1852	41
პსჟ	24	16	8	1789:1552	40
პო ორტეზი	24	16	8	1831:1769	40
საონი	24	15	9	1797:1653	39
შოლე	24	15	9	1783:1716	39
დიჟონი	24	13	11	1823:1733	37
ლე მანი	24	13	11	1779:1764	37
სტრასბური	24	13	11	1722:1735	37
ბეზანსონი	24	9	15	1738:1774	33
ნანსი	24	9	15	1660:1723	33
ევრე	24	9	15	1664:1755	33
ანტიბი	24	8	16	1610:1802	32
მონპელიე	24	7	17	1654:1835	31
გრაველინი	24	7	17	1682:1923	31
შამპანი	24	6	18	1655:1816	30

NBA რეგულარული ჩემპიონატი

დანკანს მუცელი ატკივდა

21 თებერვალი

პორტლენდი 105:92 ბოსტონი

პორტლენდი: საბონისი (19)
ბოსტონი: უოლკერი (24)

იუტა 96:94 ატლანტა

იუტა: მელოუნი (25 ქულა, 9 მოხსნა), ჰორნაჩეკი (21)
ატლანტა: რაიდერი (22)

დენვერი 123:117 საკრამენტო

(ძირითადი დრო 108:108)

დენვერი: მაკდაიესი (29 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), ვან ექსელი (27 ქულა, 15 პასი), გეტლინგი (21), სტიტი (21)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (30), ვებერი (25 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიო 89:98 ფინიქსი

სან ანტონიო: რობინსონი (31 ქულა, 18 მოხსნა)
ფინიქსი: როჯერსი (22), გულიოტა (21 ქულა, 11 მოხსნა)

დეტროიტი 95:87 მაიამი

დეტროიტი: ჰილი (26), სტეჰაუზი (22), ჰანტერი (22)
მაიამი: მურნინგი

კლივლენდი 109:108 ვანკუვერი

(ძირითადი დრო 102:102)

კლივლენდი: კემპი (26 ქულა, 11 მოხსნა), მიურეი (25)
ვანკუვერი: ბიბი (27 ქულა, 11 პასი, 8 ჩაჭრა), დიკერსონი (27)

ინდიანა 94:93 დალასი

ინდიანა: როუზი (28)
დალასი: ნოვიცკი (23), ფინლი (22)

ნიუ იორკი 87:76 კლიპერსი

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24)
კლიპერსი: ოდომი (14)

21 თებერვალი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მასპინძელთა დღე იყო — რვა მატჩიდან შვიდში იმარჯვეს და ალბათ, მერვე წყვილშიც სტუმრები გაწბილდებოდნენ, მათთვის ბედს რომ არ გაეღიმა. წაგებით კი ჩემპონმა „სან ანტონიომ“ წაადო. ისიც იმიტომ, რომ ლიდერ ტიმ დანკანს მუცლის კუნთი დაეჭიმა და „სან ანტონიო“ „ფინიქსის“ წინააღმდეგ წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩა. გაუჭირდა უდანკანოდ „სფურზს“. ჩემპიონებს ცუდად დაებედათ უმისობა და კიდეც დამარცხდნენ „ფინიქსთან“. „ტიმის არყოფნამ ჩვენზე ძალიან იმოქმედა — ამბობდა ამ ამბით შეწუხებული გუნდის თავკაცი გრეგ პოპოვიჩი — ძალიან გაგვიჭირდა მის გარეშე. ბიჭები პროფესიონალები არიან და ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ მაინც წავაგეთ. ჩვენ ხომ პირველად გვაკლდა ტიმი“. მართლაც, დანკანი მესამე სეზონს ატარებს გუნდში და ჯერ თამაშიც არ გამოუტოვებია, ახლა კი მუცლის კუნთის გამო „დეზეებს“ რამდენიმე მეტოქესთან ორთაბრძოლაში ვერ დაეხმარება. თუმც საშიში არაფერია — დანკანი ათიოდე დღით დაისვენებს, რაც ამ ბოლო ხანს გვარიანად მოღლილს სასიკეთოდ წაადგება. მისმა გუნდმა იკითხოს, თორემ...

მატჩი მძიმედ დაიწყო დანკანმა. ჩანდა, რაღაც აწუხებდა, მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლომდე შეუცვლელად ითამაშა. დაიწყო თუ არა მეორე თორმეტწუთეული, აუტანელმა ტკივილმა ტიმს მეტი არ აცალა (13 წუთში 4 ქულა) და საბოლოოდ დაატოვებინა თამაში. პოპოვიჩმა მის ნაცვლად მალიქ როუზი შეუშვა მოედანზე. როუზს იმ დღეს არა უშავდა, 17 ქულა გაახერხა, მაგრამ სად როუზი და სად დანკანი... „ფინიქსმაც“, გამარჯვება რომ იყოსა, უფრო გაალმასებით შეუტია მასპინძელს. თავდაპირველად „სან ანტონიო“ მაინც მყარად იდგა ფეხზე. ჩემპიონებს გვარიანად შებერებული დევიდ რობინსონი წაუძღვა და კარგადაც უსარდლა. „ეს ყველას ემართება და არც ტიმია გამონაკლისი, ტრავმები სეზონის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც მან (დანკანმა) ტრავმა რომ მიიღო, დევიდთან მივედი და ვუთხარი, აბა, შენ იცი, ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, ერთი ორმოცი ქულა უნდა გაახერხო-მეთქი“ — „სფურზის“ ხუთეულის წევრი მარიო ელი შეეცადა, რობინსონი გაემხნევებინა, მაგრამ ეს საჭირო არ იყო, „ადმირალი“ ისედაც შემართული იყო და ისე, როგორც ახალგაზრდობაში სჩვეოდა, მეტოქეთ რისხვად მოევლინა. მისი ძალისხმევით მასპინძლები თითქმის მთელი დარჩენილი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ და ბოლო მეოთხედშიც ექვსქულიანი უპირატესობით დაიწყეს. აი, აქ კი უმტყუნა ძალამ რობინსონს, ასაკმა თავისი გაიტანა და გადამწყვეტ მეოთხედში მანამდე ლამის შეუსვენებლად მოთამაშეს დაღლა დაეტყო. მას ფარზეც ვერავინ შეეშველა და „ფინიქსის“ თავდამსხმელებმა ტომ გულიოტამ მისმა შემცვლელმა როდნი როჯერსმა გაიღაღეს. მათ რექს ჩეპმენმა ორი სამქულიანი შეაშველა და „სან ანტონიოც“ მეხუთედ დამარცხდა შინ.

უდანკანო „სფურზს“ მომდევნო მატჩი 23 თებერვალს შარლოტში უწევს და საეჭვოა, იქ რაიმე მოახერხოს.

როგორც უკვე ითქვა, დანარჩენ შეხვედრებში შინაურებმა იმარჯვეს. თუმც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სტუმრები ხელებჩამოშვებულნი შესცქეროდნენ მასპინძლებს. „ნიუ იორკმა“ დაამარცხა იოლად საცოდავი „კლიპერსი“, არვიდას საბონისის „პორტლენდი“ კი ვიტალი პოტაპენკოს „ბოსტონს“ გაუსწორდა. თვითონ ამ ორი ყოფილი მომძე რესპუბლიკელ ცენტრების პირადი დუელში გამარჯვება გამოცდილ ლიტველს დარჩა. არვიდასმა რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა უმცროს უკრაინელს. პოტაპენკომ ოც წუთში ექვსი ქულა და ოთხი-ჯარიმა მოაგროვა. იგი გაიყვანეს, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველა. საბონისს ვოლესი (16 ქულა) და სმიტი (15 ქულა) წამოეხმარნენ და „ბოსტონი“ შინ ნაწყენი გაუშვეს. სტივ სმიტმა პირველ მეოთხედში სამქულიანი ჩააგდო და კარიერაში 10 000 ქულას გადააბიჯა.

დანარჩენ ხუთ შეხვედრაში მატჩის ბედი ბოლო წუთებმა გადაწყვიტა, ორი შეხვედრა სულაც ოვერტაიმში გადავიდა.

„დენვერთან“ შეხვედრაში „საკრამენტომ“ ძირითადი მსროელი ნიკ ანდერსონი მოისაკლისა. სასტარტო ხუთეულში მისი ადგილი თავდამსხმელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა დაიკავა. მწვრთნელი რიკ ადელმანი იმედოვნებდა, ჩემი ბიჭები სიმაღლეში დენვერელებს აჯობებენო. პრედრაგმა გაამართლა. იუგოსლავიელმა, რომელიც თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებს სეზონის რეკორდებს, 30 ქულა გააკეთა და არამარტო სეზონის, არამედ კარიერის რეკორდიც დაიმყარა, მაგრამ მისმა ბრწყინვალე თამაშმა „მეფეებს“ ვერ უშველა. სტოიაკოვიჩმა ისღა შეძლო, ბოლო მეოთხედში 11 ქულა შეეწია გუნდისთვის, რისი წყალობითაც „საკრამენტო“ ოდნავ დაწინაურდა, თუმც ძირითადი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე მსროელმა სტიტმა ზუსტად ისროლა სამიანი და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. ადელმანი ჩიოდა, ბოლო წუთებში ყველა მნიშვნელოვანი ქულა ჩაგვიგდეს და რაღა გასაკვირია, რომ წავაგეთო. ოვერტაიმში „საკრამენტოს“ დაეტყო ანდერსონის არყოფნა. „დენვერის“ სწრაფმა უკანახაზელებმა — იგივე სტიტმა და ნიკ ვან ექსელმა სულ აიკლეს სტუმართა კალათი და მეტოქეს მნიშვნელოვანი სხვაობით მიიუგეს.

ყველამ კარგად უწყის, რომ „იუტა ჯაზი“ შინ ძველებურად ვეღარ ბურთაობს, ამიტომაც ძლიერიც და სუსტი გუნდიც მოსაგებად შემართული ჩადის სოლტ ლეიკ სიტიში. ახლაც „იუტას“ თითქოს მორიგი მარცხი უნდა ეჭამა საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ, მაგრამ 38 წლის ჯონ სტოქტონმა იხსნა. „ჯაზი“ მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა, სულ ეს იყო და უცბად ორი ქულის სხვაობით მოიგო. მართალია, ჯონ სტოქტონი (10 ქულა, 10 პასი) გვარიანად დაბერდა და სისწრაფე და მოქნილობა მოაკლდა, მაგრამ იგი ნამდვილად პასების მეფეა და ამ შეხვედრაშიც სწორედ მისმა შედეგიანმა გადაცემამ იხსნა მასპინძლები. ანგარიში 94:94 იყო, ბოლო წამებზე იგი დრიბლინგით შეიჭრა ფარქვეშ და როცა ყველა ფიქრობდა, ბურთს ან თავის საუკეთესო პარტნიორ კარლ მელოუნს მისცემს, ანაც კალათს თავად შეუტევსო, სტრიქტონმა მელოუნის საპირისპირო მხარეს ფარქვეშ არმენ გილიამი მოძებნა. და ისეთი დაღეჭილი პასი მისცა, მას ჩაგდების მეტი არაფერი დარჩენოდა. დარჩენილ 2,2 წამში „იუტამ“ ვერაფერი მოახერხა. ეს გამარჯვება „იუტას“ მწვრთნელ ჯერი სლოუნისთვის კარიერაში 708-ე იყო, რითაც მან გაუსწრო მეთერთმეტე ადგილზე მყოფ ჯონ მაკლეოდს. სხვათა შორის, ამ პრესტიჟული სიის პირველ საფეხურზე სწორედ „ატლანტას“ მწვრთნელი ლენი ვილკენსი იმყოფება.

ირაკლი ფირაფვილი



REUTERS ფოტო

დენვერი — საკრამენტო. დენვერელმა რიფ ლაფრენცმა (№45) საკრამენტოელ ვლადე დივაცს ჩაუტენა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. II დივიზიონი			
24 თებერვალი			
006 კაენი-სოშო	1,9	2,9	3,6
შოტლანდია			
23 თებერვალი			
011 დანდი-აბერდინი	2,2	2,9	3,0
ამხანაგური მატჩები			
23 თებერვალი			
501 საბერძნეთი-ავსტრია (17⁰⁰)	1,7	3,1	4,4
502 ყატარი-უელსი	4,4	3,4	1,6
503 ისრაელი-რუსეთი	2,8	2,9	2,3
504 უნგრეთი-ავსტრალია	1,7	3,3	4,0
505 თურქეთი-ნორვეგია	2,3	2,9	2,8
506 ლუქსემბურგი-ჩრდ.ირლანდია	5,6	3,4	1,5
507 ხორვატია-ესპანეთი	2,5	2,9	2,5
508 ჰოლანდია-გერმანია	2,3	2,9	2,8
509 იტალია-შვედეთი	1,5	3,3	6,0
510 ბელგია-პორტუგალია	2,2	2,9	3,0
511 საფრანგეთი-პოლონეთი	1,3	4,0	7,5
512 ინგლისი-არგენტინა	2,2	2,9	3,0
513 ირლანდია-ჩეხეთი	2,5	2,8	2,6
კალათბურთი			
23 თებერვალი			
808 ნიუ იორკი-ტორონტო	1,25	12,0	3,1
809 ფილადელფია-კლიპერსი	1,05	12,0	7,5
810 მაიამი-ნიუ ჯერსი	1,1	12,0	5,0
811 კლივლენდი-ლეიკერსი	2,8	12,0	1,3
812 დეტროიტი-ინდიანა	1,7	12,0	1,7
813 მილუოკი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5
814 საკრამენტო-ატლანტა	1,1	12,0	5,0
24 თებერვალი			
815 ვაშინგტონი-ფინიქსი	2,3	12,0	1,4
816 შარლოტი-სან ანტონიო	1,7	12,0	1,7
817 ინდიანა-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
818 მინესოტა-კლიპერსი	1,05	12,0	7,5
819 დალასი-იუტა	2,0	12,0	1,5
820 ჰიუსტონი-დენვერი	1,5	12,0	2,0
821 პორტლენდი-ორლანდო	1,15	12,0	4,0
822 ვანკუვერი-ბოსტონი	1,7	12,0	1,7
კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი			
23 თებერვალი			
823 სლოვაკეთი-ლატვია	2,3	12,0	1,4
824 შვეიცარია-უნგრეთი	2,3	12,0	1,4
825 ინგლისი-ხორვატია	3,1	12,0	1,25
826 ბელარუსი-ესტონეთი	2,8	12,0	1,3
827 ავსტრია-საბერძნეთი	5,0	12,0	1,1
828 პოლონეთი-ჩეხეთი	1,7	12,0	1,7
829 ჰოლანდია-ბულგარეთი	1,7	12,0	1,7
830 ფინეთი-ბოსნია	1,7	12,0	1,7
831 შვედეთი-ისრაელი	3,5	12,0	1,2
832 პორტუგალია-ბელგია	2,3	12,0	1,4
833 ისლანდია-მაკედონია	3,1	12,0	1,25
834 უკრაინა-სლოვენია	2,0	12,0	1,5
ჰოკეი			
23 თებერვალი			
839 ვაშინგტონი-ფლორიდა	1,8	4,0	2,2
840 ტორონტო-ფინიქსი	1,8	4,0	2,2
841 დეტროიტი-დალასი	1,7	4,0	2,4
842 ჩიკაგო-ნეშვილი	1,8	4,0	2,2
843 კალგარი-ლოს ანჯელესი	1,9	4,0	2,1
844 ედმონტონი-ბოსტონი	1,7	4,0	2,4
845 სან ხოსე-სენტ ლუისი	2,1	4,0	1,9
846 ანაჰაიმი-ვანკუვერი	1,8	4,0	2,2
24 თებერვალი			
847 მონრეალი-ნიუ ჯერსი	2,2	4,0	1,8
848 ფილადელფია-პიტსბურგი	1,5	4,0	3,0
849 კაროლინა-ფლორიდა	2,1	4,0	1,9
850 ტამპა ბეი-ოტავა	2,7	4,0	1,6

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ...



ᲡᲢᲔᲘᲡᲘ ᲓᲠᲐᲒᲘᲚᲐ

...ᲐᲘᲓᲐᲰᲝᲡ შტატის პოკატელოს სამძლეოსნო დარბაზში სტეისი დრაგილა ახტა, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი და დახტა, როგორც რეკორდმენი. პოკატელოში „ოქროს ქაცვის“ რიგითი ტურნირი გაიმართა და იგი უპირველესად ამერიკელი მეჭოკე ქალბატონის სწორედ ამ რეკორდით შერჩება ისტორიას. დრაგილა 4 მეტრსა და 61 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაეცლო და გერმანელი ნიკოლ რიგერ-ჰუმბერტის რეკორდი მთელი 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ეს გუშინწინ, ამერიკაში მოხდა...

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲛᲔᲙᲝᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ



მარკო პანტანი

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ იტალიელი ველომრბოლი, „მეკობრედ“ წოდებული მარკო პანტანი ბრუნდება. ამ კაცმა 1998 წელს „ტურ დე ფრანსი“ მოიგო და შარშან „ჯიროო დიტალიას“ ლიდერობდა, როცა სისხლში დოპინგის კვალი უპოვეს და მოკვეთეს. იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ თანამემამულე გაამართლა და „მეკობრემაც“ კვლავ გაიხედა მოგზაურობისკენ. უახლოესი გეგმა მსოფლიოს ჩემპიონატზე რბოლას ითვალისწინებდა, მაგრამ ისიც ჩაიფუშა, რადგან პანტანი ავარიაში მოჰყვა და კინაღამ კისერი მოიტეხა. ეს ამბავი სექტემბერში მოხდა, მანამდე იტალიელი ჩუმად იყო, ახლა კი, ეტყობა, უკვე გამოჯანმრთელდა და კვლავ შეახსენა თავი ველომსოფლიოს. პანტანი მეტად წარმომადგენლობით „ვალენსიის ტურში“ ჩაება და ამბიციებს არც მალავს, თუმცა ძალიან ცნობილ და მრისხანე მეტოქეებს უნდა გაეჯიბროს. ვინ გინდათ, ესპანეთში რომ არ იყოს: „ვალენსიის ტური“ დიდი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად აურჩევიათ ლანს არმსტრონგს, იან ულრიხს, აბრაამ ოლანოსა და ოსკარ ფრიერს... ამ სახელიანი ხალხის ძლევა რთული საქმეა, მაგრამ „მეკობრე“ მაინც მხნედაა. „ჩემი ცხოვრების გადამწყვეტი მომენტი დადგა“ — აცხადებს იგი შეუპოვრად — „დღეგაღამ „ტურსა“ და „ჯიროზე“ ვფიქრობ, მთელი ჩემი ყურადღება მათკენაა მიპყრობილი“. იმულებითი დასვენების მერე, პირველ გამოცდას პანტანი დღეს ჩაბარებს, როცა საგუნტოს ირგვლივ 154 კილომეტრზე დაატრიალებს პედლებს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲝᲙᲘᲩᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩოგბურთის სამყაროს ყველაზე შერეკილ-დოკიჩების ოჯახზე გამუდმებით წერა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა, მით უმეტეს, თუ ამჯერად არც ერთი მათგანი არ გამომთვრალა, ქუჩაში არ გაწოლილა ან თუნდაც ვინმე არ ულანძღ-უგინებია.

ელენა დოკიჩი ერთი ტუტრუცანა, 16 წლის გოგოა, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩოგბურთის ნიჭი აღმოაჩნდა, შარშან უიმბლდონზე თვით მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს მოუგო და მეოთხედფინალშიც გავიდა.

მას შემდეგ იუგოსლავიიდან მწვანე კონტინენტზე გადაბარგებულ ჩოგბურთელს ღირებული აღარაფერი გაუკეთებია, ბევრი, შარშანდელ უიმბლდონზე დოკიჩის წარმატებულ თამაშს, უკვე ნეხვის ერთხელ აყვავებადაც თვლის, თუმცა ელენა ყურადღების ცენტრში ყოფნას მაინც ახერხებს.

ერთი თვის წინ, ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში დამარცხებულმა ელენამ თავის მეტოქეს, რიტა კუტი კისს ჩოგბურთის უცოდინარი უწოდა (კუტი კისმა გასულ კვირაში კარიერის პირველი ტიტული მოიგო სან პაულოში), მერე კი უცხოელ ტურნირის ორგანიზატორებს მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობასა და განზრახ ძნელი მეტოქეების შერჩევაში დასდო ბრალი.

მოგვიანებით დოკიჩმა გაზეთი „ჰერალდ სანი“ ამ ამბის გაზვიადებაში დაადანაშაულა, შეთქმულებაზე არაფერი მითქვამსო, და სრული ინტერვიუს გამოქვეყნება მოითხოვა. ელენა ამის შემდეგ [illegible]იმაზე განაწყენდა, ჩოგბურთის ფედერაციამ მძიმე წ[illegible] მხარი რად არ დამიჭირაო და შურისძიების მიზნით [illegible]აიდნეის ოლიმპიადის გამოტოვებით დაიმუქრა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი იმის გამო, რაც ამ ზაფხულს (ჩვენებურად ზამთარს) გადამხდა, ოლიმპიადაზე არ ვიასპარეზებ. ეს ჩემი შურისძიება იქნება“ — განუცხადა ჩოგბურთელმა ჟურნალ „ნიუ აიდიას“.

თანამემამულეები, ეროვნული ფედერაცია და თავად დოკიჩის აგენტი ელენას მორიგი გამოხტომით სახტად დარჩნენ. საპასუხო, აღშფოთებულმა რეაქციამ კი იუგოსლავიური კლანი საკუთარ შეცდომაში დაარწმუნა და გუშინ ჩოგბურთელმა ყველაფრის გამოსწორება სცადა.

„რა თქმა უნდა, „ჰერალდ სანზე“ ისევ ნაწყენი ვარ, მაგრამ ჩემი ბრაზი ოლიმპიადისკენ არ უნდა მიმემართა. ამაში არც ფედერაცია და არც თამაშები არ არის დამნაშავე“ — ნათქვამია ელენას განცხადებაში, რომელიც ჩოგბურთის ფედერაციამ გაავრცელა.

ამრიგად, დოკიჩებს უკან დახევა და სიდნეიში თამაშზე დათანხმება მოუხდათ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲚᲘ

ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲗᲐ ერთ-ერთი ბოლოდროინდელი იდეა ორიგინალური არ გახლავთ. 1996 წელს, პირველად ფზიანმა ამერიკელებმა მოიფიქრეს, ოლიმპიური ჩირაღდანი კოსმოსშიც გაეტანათ და ახლა იგივეს გაკეთება სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებსაც მოსურვებიათ. ჩანაფიქრი მშვენიერია — გარდა იმისა, რომ ჩირაღდანი გაივლის ზღვებს, მთებს, ველებს და უდაბნოებს, იგი კოსმოსშიც ამაღლდება და თანამგზავრული ტელევიზიის ხელშეწყობით უწონობის მდგომარეობაში დაენახვება პლანეტის მოსახლეობას. იდეას ამერიკის კოსმოსის კვლევის სააგენტოს (ნასა) ავსტრალიური წარმოშობის ასტრონავტი, ენდი თომასი ასხამს ხორცს. გაზეთ „სიდნეი მორნინგ ჰერალდის“ ცნობით, იგი ჩირაღდანსა და ავსტრალიის დროშას „შატლის“ ასტრონავტებს გადასცემს, ისინი კი კოსმოსში 8 აპრილს გაემგზავრებიან. ოლიმპიადის ორგანიზატორებს ისიც უნდოდათ, ჩირაღდანი ანთებული სახით გამოჩენილიყო დედამიწიდან, მაგრამ ამერიკელი ასტრონავტები გაჯიუტდნენ, ეს უსაფრთხოების წესებს არღვევსო, ამიტომაც ოლიმპიური ჩირაღდანი კოსმოსში მხოლოდ სიმბოლურად იბრდღვიალებს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲐᲕᲢᲝᲡᲠᲑᲝᲚᲐ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ჩემპიონატის ერთ-ერთ მაჩანჩალას „მინარდის“, ახალი სეზონის დაწყებამდე ფინანსური პრობლემები ჰქონდა გადასაჭრელი. საბოლოოდ გუნდი ესპანურმა კომპანია „ტელეფონიკამ“ შეიძინა და როგორც ამბობენ, სამომავლოდ ბაზაც ესპანეთში ექნება.

ახალი ბოლიდი, ახალი სპონსორის ყვითელ ფერშია გაწყობილი და როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, „ტელეფონიკას“ ფინანსური დახმარების წყალობით მრავალი აგრეგატია გაუმჯობესებული. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური მდგომარეობა გამოუკეთდა, „მინარდიმ“ ვერ შეძლო შარშანდელზე უკეთესი, „რენოს“ ან ფორდ-CR-1 ძრავის ხელში ჩაგდება. წლეულს გუნდი „ფონდმეტალის“ ძრავით იასპარეზებს. ეს იტალიური კომპანია „მინარდის“ ერთ-ერთი მფლობელიც გახლავთ და მისმა ხელმძღვანელმა გაბრიელ რუმიმ „კოსურთისგან“ შეისყიდა „ფორდ-ცეტეკ-R“-ის გაუმჯობესებული პროექტის შექმნის და წარმოების, ინგლისელი სპეციალისტებისა და მოწყობილობების გამოყენების უფლება. ასეა თუ ისე, ეს ძრავი უკვე საკმაოდ მოძველებული გახლავთ და მეტად საეჭვოა, თანამედროვე მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

მრბოლთა ვინაობაც ახალმა სპონსორმა გადაწყვიტა. პირველ პილოტად მარკ ჟენე დარჩა. მის გვერდით კი არგენტინელი (სამხრეთ ამერიკაში „ტელეფონიკას“ საკმაოდ მძლავრი ქსელი აქვს შექმნილი და მას გუნდის პილოტად სწორედ ამ კონტინენტის წარმომადგენლის ხილვა სურდა) გასტონ მაცაკანე იასპარეზებს.

შედარებით სუსტი ძრავი და პილოტთა ეს ტანდემი გვაფიქრებინებს, რომ „მინარდი“ წლეულსაც აუტსაიდერთა შორის იქნება, თუნდაც 1 მოპოვებული ქულა გუნდს დიდ წარმატებად ჩაეთვლება.

ᲐᲚᲔᲥᲙ ᲨᲐᲑᲣᲙᲘᲐᲜᲘ

ᲛᲘᲜᲐᲠᲓᲘ-ᲤᲝᲜᲓᲛᲔᲢᲐᲚᲘ

ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 1972 წელს
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ჯანკარლო მინარდი
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: გუსტავ ბრუნერი
ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1-ᲨᲘ: 1985, ბრაზილიის დიდი პრიზი
237 რბოლა, 28 ქულა
1999 — მე-10 ადგილი, 1 ქულა
ᲨᲐᲡᲘ მინარდი M02
ᲫᲠᲐᲕᲘ — ფონდმეტალი (ფორდ-ცეტეკ-R) V-10

მარკ ჟენე

ესპანეთი
დაიბადა 1974 წლის 29 მარტს, ბარსელონაში
სიმაღლე 173 სმ, წონა 69 კგ
უცოლო, ცხოვრობს ბარსელონაში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1999, ავსტრალიის დიდი პრიზი (მინარდი)
16 რბოლა, 1 ქულა
1999 — მე-18 ადგილი, 1 ქულა



გასტონ მაცაკანე

არგენტინა
დაიბადა 1975 წლის 8 მაისს
ჩემპიონატის დებიუტანტი



გასტონ მაცაკანე და მარკ ჟენე ერთმანეთსაც ეცნობიან და ბოლიდსაც

თბილისი — ბაქო — თბილისი

გვასალიასა და ადამაშვილისთვის აღმოსავლური ზღაპარი არ დასრულდა

ბადრი კვირელაძის ფოტო

დავით ადამაშვილი

ამასწინათ შევიტყვეთ, ქართველი მოკრივეების პაატა გვასალიასა (63,5 კგ) და დავით ადამაშვილის (51 კგ) გადაბირება აზერბაიჯანელებმა მოიწადინესო. სიმართლის დადგენა ფედერაციაში ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. მისი პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი გადაჭრით ვერაფერს ამბობდნენ. ამ გაურკვევლობაში ლამის თებერვალიც მიილია და ამასობაში ადამაშვილი თბილისში გამოჩნდა. შინ დაბრუნებულს უმალ შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ, დავით ადამაშვილიც არ დაგვზარდა, ყველაფერზე დაწვრილებით გვესაუბრა:

— ვიცოდით, რომ თქვენ და გვასალია აზერბაიჯანში იყავით, მოუღოდნელად კი თბილისში გამოჩნდით. რას მივაწეროთ თქვენი ჩამოსვლა?

— მართლაც ჩავედით აზერბაიჯანში, იქ კვარჯიშობდით და გულმოდგინედაც ვეძზადებოდით, მაგრამ უკან დაგვაბრუნეს. აქედან გაიგზავნა საბუთი, რომ ქართული მხარე არ დაგვრთავდა ოლიმპიადაზე აზერბაიჯანის სახელით გამოსვლის ნებას. ამიტომ ისევ უკან ჩამოგვიყვანეს, თან შეკრების მოწყობასაც დავეპირდნენ და ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად ყველანაირ ხელშეწყობასაც.

— აზერბაიჯანში როგორ მოხვდით?

— ჩვენ ვიყავით ბაქოს კლუბ „ნეფთჩში". მის ხელმძღვანელებს თურქეთის ტურნირისას მოეწონებივართ და მოლაპარაკებაც იქვე დაუწყიათ. ეს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ფალიანმა გვითხრა, ასეა საქმე და აზერბაიჯანში თუ წახვალთო. ჩვენც დავთანხმდით, რადგან წელიწადია, შეკრება არ გაგვივლია, ტურნირებზეც იშვიათად დავდივართ და არც სათანადო პირობებია. ბაქოში ერთი თვე დავყავით.

— კლუბი თქვენ მოგელაპარაკათ თუ ფედერაციას?

— ფედერაციას. როგორც ვიცი, ისინი ფალიანს და გუნიას ესაუბრნენ.

— აბა, წინააღმდეგობა ვინ გაგიწიათ?

— ზუსტად არ ვიცი. მგონი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტიდან დარეკეს. მერე ფალიანმაც გაუგზავნა წერილი ევროპის კრივის ფედერაციას, ჩვენი სპორტსმენები ოლიმპიადაზე არ დაუშვათო. რომ ჩამოვედით, თავი გაიმართლა, ოლიმპიური კომიტეტის ნებართვის გარეშე ვერაფერს გადავწყვეტ და წერილიც ამიტომ გავგზავნეო. ფედერაციაში ისიც გვითხრეს, ამ ოლიმპიადისთვის ვერსად გაგიშვებთ და მერე სადაც გინდათ, იქ წადით, წინააღმდეგი არ ვართო.

— ახლა ოლიმპიადისთვის ემზადებით?

— დიახ, შევხვდით სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს და ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს. ისინი დაგვპირდნენ, რომ შეკრებასაც მოგვიწყობენ და სალიცენზიო ტურნირებზეც გაგვიშვებენ. ასეთი კი სულ ორი დაგვრჩა — გერმანიასა და იტალიაში. 4 მარტს გერმანიაში მივდივართ, იტალიაზე კი ჯერ ლაპარაკიც არაა.

— როგორი პირობები დაგახვედრეს აზერბაიჯანელებმა?

— ჩვენთან შედარებით იქ ჩინებული პირობებია. ყოველნაირად გვეხმარებოდნენ, ხელფასებს დროულად არიგებდნენ, ფორმით უზრუნველყოფილნი ვიყავით. თუ ტურნირზე მედალს მოიგებდი, პრემიას გაძლევდნენ. მათ ჰყავთ ლიცენზირებული მოკრივეები, რომლებსაც მანქანები და ბინები აჩუქეს. ხომ წარმოგიდგენიათ, ოლიმპიადაზე წარმატება როგორ დაფასდება. იქ სპორტსმენს სტიმული აქვს, თანაც დიდი.

— ცხადია, აზერბაიჯანელები კონტრაქტზეც დაგელაპარაკებოდნენ. თუ საიდუმლო არაა, რა პირობები შემოგთავაზეს?

— ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში თვეში 900 დოლარს ხელფასად გვინიშნავდნენ, ხოლო პრემიის სახით 4000 დოლარს და მანქანას გვაძლევდნენ. ეს მხოლოდ ლიცენზიისთვის, თუ ოლიმპიადაზეც ვიყოჩაღებდით, ამ პრემიებს მაშინ ბინაც დამატებოდა. ისე, ბინას მსოფლიოს პირველობის მესამე ადგილისთვისაც იძლეოდნენ. მანამ კი საცხოვრებელ ოთახს თავისი ხარჯით გვიქირავებდნენ. ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ეს ყველაფერი მათი იყო. ჩვენ მხოლოდ ვარჯიში გვეკალებოდა და იმ 900 დოლარსაც მთლიანად ჩაგვითვლიდნენ.

— საოცარია, ოლიმპიური კომიტეტის თანხმობის გარეშე რომ გაგიშვათ ფედერაციამ, მაგრამ თქვენიც არანაკლებ გამკვირვებია. ოლიმპიური კომიტეტის უნებართვოდ რომ ვერსად წახვიდოდით, არ იცოდით?

— კი ვიცოდით, მაგრამ ბაქოში კარგი სავარჯიშო პირობები იყო და ამიტომაც, გადავწყვიტეთ, ბედი გვეცადა, იქნებ ოლიმპიური კომიტეტიც დაგვეყოლიებინა. აქ მაინც დაკარგულები ვიყავით. ჩვენი მშობლები ყოველდღე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.

— გამოდის, ის ერთთვიანი შეკრება მაინც შეგრჩათ. რა მოგცათ მან?

— აზერბაიჯანში რომ ჩავედი, ფორმა საერთოდ დაკარგული მქონდა. აქ ძნელია დღეში ორჯერ ვარჯიში. ახლა კი სრულიად მზად ვარ და ველოდები მზადების მეორე ეტაპს — ახალ შეკრებას.

ირაკლი თავაძე



ბადრი კვირელაძის ფოტო

დავით ადამაშვილი ისევ ზურაბ გუნიას დაუბრუნდა

არ გვინდა კრივი!

დანიურ ქალაქ ოდენსეს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, სიკვდილს ებრძვის 27 წლის მექსიკელი მოკრივე ეფრენ გონსალესი. იქ გამართული ბრძოლის შემდეგ გონსალესი ექიმთა ხელში მოხვდა. თავ-პირში მოხვედრილი მუშტების გამოისობით, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

აქამდე გონსალესს ცხრამეტჯერ ეჩხუბა, ერთი შეხვედრა ფრედ დაესრულებინა, დანარჩენის ნახევარი მოეგო, ნახევარი კი წაეგო. ევროპაში ჩასვლამდე ერთ წელიწადს არ ეკრივა.

მექსიკელის ტრავმამ კვლავ ააფორიაქა პროფესიული კრივის აკრძალვის მომხრენი. ყველას გაახსენდა, რომ წლეულს ატლანტიკ-სიტის რინგზე ამერიკელი სტივენ ჯონსონი დაიღუპა.

დანიის მეზობელ შვეციასა და ნორვეგიაში პროფესიული კრივი აკრძალულია, დანიელები კი უფრო ლიბერალურად უყურებენ ამ საქმეს. პროფესიონალი მოკრივე დანიაში არასოდეს დაღუპულა. ორი მოყვარული კი მეორე მსოფლიო ომამდე ემსხვერპლა კრივს. ერთი წლის წინ, პროფესიონალმა დანიელმა ბრიან ნელსენმა რინგზე გონება დაკარგა და ანტისაკრივო კამპანიის პირველი ტალღაც მაშინ აზვირთდა.

დანიელ ექიმთა ასოციაცია კრივის აკრძალვას მოითხოვს. სპორტის სიჯანსაღისთვის მებრძოლნი სპორტის ამ სახეობას ჯალათობად მიიჩნევენ. თუმც, კრივის მომხრენი ამბობენ, რომ არავინ აიძულებს მოკრივეებს რინგზე გასვლას და აქ რისკი ბევრად ნაკლებია, ვიდრე ალპინიზმსა და მოტორბოლებშიო.

გონსალესის ჩხუბის მომწყობი ანდრეს ვესტერი ამბობს: „თუ დანიაში პროფესიულ კრივს აკრძალავენ, ჩვენი მოკრივენი უცხო ქვეყნებში გადაიხვეწებიან, სადაც შეჯიბრის უსაფრთხოების გარანტიები უარესია, ვიდრე დანიაში".

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერუნ პიკეტი

პიკეტმა რუსებს პიკეტი მოუწყო

ინტერნეტით გამართული პირველი საჭადრაკო სუპერტურნირი მოიგო კაცმა, ვისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. მან ფინალში თვით კასპაროვი დაამარცხა, რითაც შეწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონის წაუგებელ პარტიათა სერია, რომელიც ერთ წელიწადზე დიდხანს გრძელდებოდა. და მაინც ეს ყველაფერი უნდა აღვიქვათ არა რევოლუციურ, არამედ ევოლუციურ მოვლენად. ჰოლანდიელი იერუნ პიკეტი ეს ერთი ხანია, მსოფლიოს საჭადრაკო ელიტაში მოხვედრას ცდილობს და ახლა ეს სურვილი ალბათ აიხდინა. საჭადრაკო მიმომხილველებმა უკვე დააფიქსირეს მისი ერთი თვისება — შეუპოვრობა, რომელმაც პიკეტის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ტურნირის მიმდინარეობისას პიკეტს ბარე სამჯერ მოუწია ბეწვის ხიდზე გავლამ და ყოველთვის წარმატებით. კიდევ რა იქცა ჰოლანდიელის წარმატების მიზეზად? ალბათ ის, რომ ტურნირი ინტერნეტში გაიმართა, პიკეტი თავის როტერდამულ მყუდრო სახლში ოჯახის წევრებისგან ყველანაირ მხარდაჭერას გრძნობდა. ბავშვებს სირბილი და ხმაური აეკრძალათ, რადგან ახლობლებმა მათ მამიკოს ყოველი პარტიის წინ თითოსაათიანი ძილი გამოუწერეს, ძმა და მეგობარი — მარსელ პიკეტი და იან ვან დე მორტელი მოჭადრაკის წარბის მოძრაობას მიჰყვებოდნენ, ხოლო ყოველი პარტიის შემდეგ ტვინდაქანცულ ჰოლანდიელს დედის მომზადებული და ცოლის მორთმეული გემრიელი სადილი ელოდა. ყველაფერთან ერთად, მას ინტერნეტით ჭადრაკის თამაშის იდეაც მოსწონს, რადგან თურმე ტურნირებზე მოჭადრაკე ასე თავისუფლად ვერ იქნება. მაგალითად, მე რომ კასპაროვთან პირველ პარტიაში შევცდი, თქვა პიკეტმა, ისე საფუძვლიანად გამოვიყენე ჰოლანდიური ლანძღვითი ფოლკლორი, წამში გულზე მომეშვა. მსგავსი რაღაცის გაკეთება, ვთქვათ, სატურნირო დარბაზში, თავის მოსაჭრელი ამბავი იქნებოდაო. ტრადიციული ჭადრაკი პიკეტს მაინც არ ეთმობა და ლინარესის ან ვიიკ-აან-ზეეს მსგავსი დიდებული თავყრილობების მნიშვნელობასაც არ აკნინებს, ანუ ორივე ტიპის შეჯიბრებათა ჰარმონიული თანაცხოვრების მომხრეა.

რატომ ვილაპარაკეთ ახლა ამდენი მასზე? იმიტომ, რომ დღეს იგი მსოფლიოს ჭადრაკში ახალი კაცია და ამის შემდეგ ბევრი მოერიდება. ეს კი იოლად არ მოსულა. მერვედფინალში სეირავანის დამარცხების შემდეგ პიკეტს რჩეული რუსების წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. მეოთხედფინალში ჰოლანდიელს ალექსანდრ მოროზევიჩი ემსხვერპლა. ამაზე უკვე გამცნეთ და ახლა გავიმეორებთ, რომ მაშინ ორის ნაცვლად ექვსი პარტია გათამაშდა. ჰოლანდიელი 1:2-ს აგებდა და ზედიზედ 3 პარტია მოიგო. შემდეგ იყო პიოტრ სვიდლერი, რომელმაც პირველ პარტიაში ვეფხვივით შეუტია, მოიგო პაიკი, მიიღო სრული პოზიციური უპირატესობა და პიკეტის ადგილზე ნებისმიერი უეჭველად დანებების ნიშანს გაგზავნიდა როტერდამიდან სანკტ პეტერბურგში. პიკეტმა კი გააგრძელა და რაღაც სასწაულით ყაიმი გაახერხა. მეორე პარტიაში ვეფხვს ახლა ჰოლანდიელი წააგავდა და სვიდლერს 23-ე სვლაზე ააწევინა ხელები. შამპანურის რამდენიმე საცობის გასროლის შემდეგ პიკეტი თავის მომდევნო მეტოქეს დაელოდა. მალე მას მსოფლიოს ჩემპიონის გვარი ამცნეს. კასპაროვმა არცთუ უზრუნველად ნახევარფინალიდან მაიკლ ადამსი გამოაგდო. ყველაფერი პირველ პარტიაში გადაწყდა, სადაც ინგლისელმა 77-ე სვლამდე იქნია ხელფეხი უმიდო პოზიციაში და მხოლოდ მაშინ დაშომინდა, როცა მისი საცოდავი კუსა და ორი პაიკის წინაშე კასპაროვის ჯანმრთელი ლაზიერი აღიმართა. მეორე პარტიაში ადამსი ბევრს ეცადა თეორებით თამაშის უპირატესობა გამოეყენებინა, მაგრამ 64-ე სვლამდე მიმდინარე სისხლისღვრამ მას მხოლოდ ყაიმი და საბოლოო მარცხი მოუტანა.

ფინალი. კასპაროვი-პიკეტი. პირველ პარტიაში თეორები ჩემპიონს ერგო და მან თავის განკარგულებაში არსებული დახურული დებიუტების მდიდარი არსენალის გამოყენებას ესპანური პარტიის ცხარე ლაბირინთებში სიარული ამჯობინა. 36-ე სვლაზე პიკეტი შეცდა (მაშინ იყო, სამსართულიანი ჰოლანდიური რომ შესძახა), კასპაროვმაც მაშინვე მიაჩეჩა მეტოქეს მხედარი და ცენტრში ორი გამსვლელი პაიკი მიიღო. პიკეტი თითქოს აქაც განწირული ჩანდა, მაგრამ მისმა სასწაულებრივმა სვლებმა ხალხი კინაღამ გადარია. შედეგი კი — ყაიმი. მეორე პარტიაში ჰოლანდიელმა ინგლისური დასწყისის რუბინშტეინის ვარიანტი ითამაშა და ზედმეტპაიკიანი ეტლების ენდშპილი მიიღო. პოზიცია მაინც საყაიმო ჩანდა და შედეგიც ვითომ ამგვარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთხელ მღვდელიც შეცდებაო და კასპაროვი შეცდა. იხილა თუ არა თავისი შანსი, პიკეტი მას ქორივით დაეცხრა და ხელიდან აღარ გაუშვა. 50-ე სვლაზე ყველაფერს წერტილი დესვა, კასპაროვმა მარცხის სიმწარე იგემა, პიკეტმა კი მსოფლიოს ჩემპიონზე გამარჯვებას გაუგო გემო და სხვა სიკეთესთან ერთად ცხოვრებაში ყველაზე მაღალი ანაზღაურებაც შეიფერა. ერთხელ ტილბურგში, ხეირიანი თამაშისთვის მას 25 000 მშობლიური გულდენი დაუმსახურება, მაგრამ ახლა მიღებული 20 000 ამერიკული მწვანე კურსით, გულდენებზე მეტია და რა გასაკვირია, რომ კმაყოფილია არამარტო მოჭადრაკე, არამედ ოჯახიც.

თავად პიკეტი პრესასთან საუბარში თავშეკავებული იყო და აღნიშნა, რომ ფინალის წინ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთი მოეხსნა. „მე უბრალოდ ბედნიერი ვიყავი ფინალში გასვლით და იმით, რომ მეტოქედ კასპაროვი მერგო. ჩემს თავს ვუთხარი: „წადი, ვაგებ? დიდი ამბავი! მოვიგე და ესეც ძალიან კარგი. კასპაროვისთვის აქამდე მხოლოდ ერთხელ მომიგია, ამსტერდამში, 1995 წელს" — თქვა პიკეტმა და შემდეგ დასძინა, კარგი იქნება, თუ ამგვარი ტურნირები წელიწადში ოთხჯერ მაინც გაიმართებაო. უნდა გითხრათ, რომ ამგვარი პროექტები უკვე არსებობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბრძენთა თამაში განვითარების ახალ სტადიაში შედის.

დავით გულუა

ჩოხიანი რუსი და რუსი ქართველი

ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე ვახტანგ მურვანიძე და ევგენია ფილონენკო — ალექსანდრ ჩისნიხის სპორტული წყვილი ფინალში კი გავიდნენ, მაგრამ იქ, შესაბამისად, მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე ადგილები დაიკავეს. თუმცა, მურვანიძისა და ახლად შექმნილი დუეტისთვის ეს შედეგიც წარმატებად ჩაითვალა, ვენაში ჩვენთვის საინტერესო სხვა ამბებიც მოხდა. საქმე ისაა, რომ ვენის ყინულზე ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ჩემპიონიც ვიხილეთ და რაც მთავარია, ქართველი ჩემპიონიც. რუსეთის სახელით მოსპარეზე ანტონ სიხარულიძე ელენე ბერეჟნაიასთან წყვილში ევროპის ჩემპიონი გახდა, რუს ევგენი პლუშენკოსაც კარგად დაებედა ქართული ეროვნული სამოსის მორგება.

ავსტრიის დედაქალაქში საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ჯაფარიძეც იმყოფებოდა და აბა, მასზე უკეთ იქაურ ამბებზე ვინ გვიამბობდა.

— ავსტრიაში მურვანიძე დაშავებული ჩამოვიდა. მან მოსკოვში, ერთ-ერთ ვარჯიშზე ქუსლი იტკინა. სამწუხაროდ, გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, თუმც პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მერე თავის 18-კაციან ჯგუფში მეხუთე იყო. მერე ტრავმა გაუმიზეზდა, თუმცა ორი დღის მერე ფინალში მეჩვიდმეტე შედეგით მაინც შევიდა. აი, ფინალში კი საერთოდ არ გვინდოდა მისი გამოყვანა, იმდენად აწუხებდა ტკივილი, მაგრამ უკრაინელი და რუსი ექიმების დახმარებით ვახტანგმა მაინც ისრიალა. ტყუილად დაიჟინა — თავის შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად იასპარეზა.

ჩისნიხის და ფილონენკოს სპორტული წყვილი პირველად გამოვიდა ამ დონის შეჯიბრში. ეს დუეტი ერთი წლისაც არაა. სწორედ გამოუცდელობის გამო ვერ დაიკავეს მათ მეჩვიდმეტეზე მაღალი ადგილი. მაგრამ, აქვე ერთსაც გეტყვით, ფილონენკოს ჯერ კიდევ ზაფხულში მივუთითე, წონაში უნდა დაიკლო-მეთქი. ისიც დამპირდა, მაგრამ არ შეასრულა და ხელიც შეეშალა, თუმცა ჩვენ მაინც წინ ვიყურებით, ოლიმპიადისკენ, იქ წასასვლელად კი ოცეულში მოხვედრა საკმარისია. მურვანიძესთან ერთად ეს დუეტიც თუ მოიპოვებს ლიცენზიას, მთლად უკეთესი.

— როგორ გგონიათ, ღირს მათზე ფულის ხარჯვა? ხომ არ სჯობს, ეს თანხა მომავალი თაობის აღზრდას მოვახმაროთ?

— როცა ჩისნიხმა და ფილონენკომ ჩვენი სახელით გამოსვლა ისურვეს, შევთანხმდით, რომ არანაირ ფულს ჩვენგან არ მოითხოვდნენ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წასასვლელი გზის ხარჯის გარდა. 24 საუკეთესოში მოხვედრილ სპორტსმენს საერთაშორისო ფედერაცია ფინანსურად ეხმარება, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე მათი გზის ფული. ეს თანხა სწორედ მომავალი თაობის აღზრდას მოხმარდება.

— კაცებში გამარჯვებულ რუს ევგენი პლუშენკოზე გვითხარით, რომელმაც ქართული ჩოხით ისრიალა.

— ამ თემაზე საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ. 1969 წელს ტამარა მოსკვინასა და ალექსეი მიშინის სპორტული წყვილი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი. მათი პროგრამა იმხანად სანკტ პეტერბურგში მოღვაწე გოგი ალექსიძემ შეადგინა და იგი ქართულ მუსიკასა და ცეკვას ეფუძნებოდა, მიშინი კი ქართული ჩოხით გამოდიოდა. მაყურებელმა გულთბილად მიიღო სიახლე, თუმცა მსაჯებს მაინც უკვირდათ, მუშტებს რატომ გვიღერებენ, ვერ გავიგეთო. დღეს მოსკვინა ანტონ სიხარულიძისა და ელენა ბერეჟნაიას მწვრთნელია, ხოლო მიშინი — პლუშენკოსი. მიშინს ძალიან მოსწონს ქართული ცეკვა, ქართული ჩოხა. ეტყობა, ეს მისთვის ერთგვარი თილისმაცაა და ამიტომ შეუდგინა თავის მოსწავლეს ასეთი პროგრამა. მისდა გასახარად, პლუშენკომაც კარგად ისრიალა და გარდა იმისა, რომ ჩემპიონობა მოიპოვა, მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა.



ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე

— სპორტულ წყვილებში ელენე ბერეჟნაიასთან ერთად ჩემპიონი მოსკოველი ანტონ სიხარულიძე გახდა.

— ამ დუეტმა დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. პირველი დღის მერე ისინი მეორეები იყვნენ, მაგრამ ფინალში ისე კარგად ისრიალეს, ყველა მსაჯმა ერთხმად მიანიჭა გამარჯვება. ვენაში წასვლამდე ჩემთან მოვედა ლეონ სიხარულიძე და გადმომცა საგვარეულო დროშა, სურათები და ძალიან თბილი წერილი ანტონისადმი, რომელშიც მოთხრობილი იყო მათი გვარის მთელი ისტორია. მე მართლაც წავიღე ესენი, მაგრამ მწვრთნელთან შეთანხმებით თავიდან არ გამოვაჩინე, ანტონი რომ არ ამეღელვებინა. მოსკვინა კარგი პედაგოგი და ფსიქოლოგია. მეორე დღეს, შეჯიბრების დაწყებამდე, როცა წყვილი მეორე ადგილზე იყო, მან თვითონ მომთხოვა ეს ნივთები. არ დამავიწყდება ანტონის გაბრწყინებული თვალები... სიხარულიძეებმა ის საქართველოშიც მიიწვიეს, რაზეც ანტონი და მოსკვინაც სიხარულით დათანხმდნენ. მათი ჩამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატის მერეა მოსალოდნელი. იმასაც გეტყვით, რომ ანტონი ამაყობს თავისი გვარით, ქართველობით. ყოველ ტურნირზე გვხვდება და ქართულადაც ვსაუბრობთ.

— ვენაში საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობასაც შეხვდით. მათთან რაზე ისაუბრეთ?

— საერთაშორისო ფედერაცია ძალიანაა დაინტერესებული ფიგურული სრიალის პოპულარიზაციით. ამ მიზნით შეიქმნა რეგიონალური ფედერაციები. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, უკრაინა და რუსეთი ერთ ჯგუფში მოხვდნენ. საერთაშორისო ფედერაცია ამ ქვეყნების პერსპექტიული მოზარდებისთვის თავისი ხარჯით მოაწყობს შეკრებებს. ამ ჯგუფს კოორდინაციას გაუწევს რუსეთი ან უკრაინა. ამ სახეობის განვითარებისთვის იუნიორთა დიდი პრიზის ერთ-ერთი ეტაპი ერევანში გაიმართება. ჩვენთანაც რომ სტანდარტული მოედანი იყოს, მსგავსი შეჯიბრებები ან ტურნირები აქაც ჩატარდებოდა. დავიწყეთ ზრუნვა დიდი მოედნის აშენებაზე, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება — სპონსორებს ვეძებთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

ირაკლი თავაძე

ბარაქა, ლარაქ!



REUTERS ედმონტონიდან

ედმონტონელთა ზანგ ფორვარდს ჟორჟ ლარაქს რაც ცხოვრებაში შაიბა გაეტანა, იმდენი ლოსანჯელესელებს ერთ თამაშში შეუგდო

21 თებერვალი

კაროლინა — ვაშინგტონი 1:1

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 ფრენსისი 7'43 (18); 1:1 კლი 51'31 (5)

ფლორიდა — ოტავა 2:4

2:2 0:1 0:1

1:0 შპაჩეკი 9'18 (10); 1:1 იორკი 9'58 (6); 2:1 ბ. ბურე 10'34 (42); 2:2 დაინინი 11'38 (2); 2:3 პროსპალი 25'58 (17); 2:4 ჰოსა 47'31 (12)

აილენდერსი — დეტროიტი 0:2

0:1 0:1 0:0

0:1 ჰოლმსტრიომი 17'48 (10); 0:2 ბუცაევი 26'30 (4)

ბუფალო — ნიუ ჯერსი 3:2

0:0 1:1 2:1

0:1 გომესი 24'13 (16); 1:1 უორდი 39'41 (7); 2:1 შატანი 49'38 (29); 2:2 რაფალსკი 50'52 (4); 3:2 სანდერსონი 56'01 (11)

ტამპა — პიტსბურგი 2:1

1:1 1:0 0:0

0:1 ფალუნი 10'15 (6); 1:1 გარდინერი 11'49 (3); 2:1 კუბინა 34'14 (6)

ნეშვილი — დალასი 5:2

2:0 2:1 1:1

1:0 რონინგი 0'26 (21); 2:0 იაჩმენევი 8'49 (12); 2:1 მოროუ 24'10 (11); 3:1 ტიმონენი 24'43 (8); 4:1 პელტონენი 34'53 (5); 4:2 კარბონო 41'53 (8); 5:2 ჩელბერგი 58'59 (21)

ედმონტონი — ლოს ანჯელესი 6:3

1:0 2:1 3:2

1:0 ლარაქი 7'34 (4); 1:1 რობიტაილი 23'51 (31); 2:1 ლარაქი 34'58 (5); 3:1 მორო 38'59 (13); 3:2 ჯონსონი 46'01 (7); 4:2 უეიტი 56'26 (12); 4:3 გელი 58'24 (8); 5:3 ნიინიმაა 59'31 (8); 6:3 ლარაქი 59'44 (6)

ანაჰაიმი — სენტ ლუისი 2:4

0:0 2:1 0:3

1:0 დონატო 22'34 (9); 2:0 სალეი 23'19 (4); 2:1 რიზონერი 28'28 (6); 2:2 ჰანდზუსი 48'43 (17); 2:3 მაკინისი 58'11 (8); 2:4 ჰენტი 59'06 (8)

ვანკუვერი — ბოსტონი 5:2

4:0 1:1 0:1

1:0 ნესლუნდი 1'30 (18); 2:0 ჰოუგუდი 2'29 (5); 3:0 კუჯი 4'48 (2); 4:0 ბერტუცი 8'21 (14); 4:1 სამსონოვი 22'03 (13); 5:1 ბერტუცი 30'45 (15); 5:2 ბურკი 56'32 (9)

ერთი კვირის წინ აშშ-ში ჩასულმა ივან ჭლინკამ, კვირას ქვეყანაში მუშაობის უფლება მიიღო და ორშაბათს ჰერბ ბრუქსთან ერთად გაუძღვა პიტსბურგს. ამრიგად, ლიგის ისტორიაში პირველად გაიყვანა გუნდი საასპარეზოდ არაამერიკელმა მწვრთნელმა. თუმცა, ამ ერთობ მნიშვნელოვან დღეს ვერ ითამაშეს ჭლინკას შეგირდებმა ისე, როგორც მას სურდა. პიტსბურგმა აუტსაიდერ ტამპასთან წააგო. პირველი პერიოდის მცირე მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, უპირატესობას მთლიანად მასპინძლები ფლობდნენ და მათ მეტიც შეეძლოთ გაეტანათ. აღსანიშნავია, რომ ბოლო 17 მატჩში ტამპამ მეორედ გაიმარჯვა. ჩვეულად ვერ გაისარჯა იაროშირ იაგრი. პიტსბურგელთა ლიდერი უქულოდ დარჩა, რადგან თანამემამულე პეტრ სვობოდამ იგი სავსებით გააუნებლა.

„პინგვინთათვის“ ესოდენ სამწუხარო დღე, იაგრის ტრავმამ დააგვირგვინა. მეორე პერიოდის ბოლოს ჩეხს ხელის კუნთი დაეჭიმა და, როგორც გაირკვა, შეიძლება ერთ თვეს ველარ ითამაშოს. ეს კი გაამძაფრებს ბომბარდირთა დავას, რადგან იაგრის არყოფნაში მის მდევრებს შეუძლიათ დღესდღეობით არსებული ქულათა სხვაობის შემცირება (იაგრის 85 (37+48) ქულა აქვს, მის უშუალო მდევარ ანაჰაიმელ პოლ კარიას — 69 (35+34). ამჯერად ბურემაც იყოჩაღა და მორიგი, 42-ე გოლით გაზარდა თავისი მარაგი. თუმც გუნდს ვერ უშველა. „პანტერების“ მეტოქე ოტავა გახარებული იყო — პრეზიდენტმა როდ ბრაიდენმა განაცხადა, რომ გუნდი კიდევ ერთი წლით რჩება ქალაქში, რადგან მისმა ჩანფიქრმა შედეგი გამოიღო, მიუხედავად ფასების მომატებისა, ქომაგთა 87,3 პროცენტმა და ბილეთების შეძენაზე თანხმობა განაცხადა. თანაც თავად ჰოკეისტებმა 1.100 000 დოლარის ღირებულების 50 სეზონური აბონემენტი შეისყიდეს. საერთო ძალისხმევით ოტავა გადარჩა და ეს სასიხარულო ამბავი გუნდმა დამაჯერებელი მოგებით აღნიშნა.

წლეულს კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის მოწმენი ვხდებით — რაც ლიგამ უხეშობასთან ბრძოლა გაამკაცრა, სულ უფრო მეტმა ტაფგაიმ, ანუ აგრესორმა შეიცვალა კვალიფიკაცია და გამტან, ძალისმიერ ფორვარდად იქცა. უმეტესობას ეს ჩინებულად გამოსდის. ყველაზე გამორჩეული ვაშინგტონელი კრის საიმონია, რომელმაც უქმეებზე თავისი მარაგი 21 გოლამდე გაზარდა. ამ ტურში კი ედმონტონელმა ჟორჟ ლარაქმა ისახელა თავი. „ძნელია, ამას ოცნების ასრულება ვუწოდო, რადგან ვერასოდეს წარმოვიდგენდი“ — თქვა გაოცებულმა შავკანიანმა ფორვარდმა მატჩის შემდეგ მან, პირველად კარიერაში, ჰეთ თრიქი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ლარექს აქამდე 56 თამაშში მხოლოდ სამი გოლი გაეტანა.

ლოსანჯელესელმა ლუკ რობიტაილმა კი გოლით და პასით ქულიანი სერია ათამდე გაზარდა და 30-შაიბიან ზღვარს კარიერაში მეათედ გადააბიჯა. რაკი სიტყვა მიღწევებზე ჩამოვარდა, იმასაც გაიხსენებთ, რომ სეზონის აბსოლუტური რეკორდის დამყარების შანსი ორმა მოთამაშემ გაუშვა ხელიდან — აილენდერსელ მარიუშ ჩერკავსკის (7 გოლი და 13 პასი) და ანაჰაიმელ ტეემუ სელიანეს ქულიანი სერია უიღბლო 13 ნიშნულზე შეუწყდათ. თუმც პირველის გუნდს ისედაც არანაირი შანსი არ ჰქონდა დეტროიტთან შეხვედრაში, რომელმაც წინა მატჩისგან განსხვავებით, ერთობ ფრთხილად ითამაშა დაცვაში. სელიანეს კი აშკარად დაეტყო მუდმივი პარტნიორის, პოლ კარიას ტრავმა. „იხვებმა“ ორშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს და სენტ ლუისს საშუალება მისცეს, ზედიზედ მერვე მოგებით და სეზონში 38-ე გამარჯვებით საკლუბო რეკორდები განეახლებინათ. ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა სენტლუისელმა ახალბედამ, იოჰენ ჰენტმა კი ზედიზედ მეორედ გაიტანა.

ზედიზედ ექვსი მარცხის შემდეგ ნეშვილმა ჩემპიონი დალასი გაანადგურა და ამით მოიფხანა გული, ხოლო ბუფალომ, მის მწვრთნელ ლინდი რაფის თქმისა არ იყოს, სეზონში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. „ჯერ ჩემპიონატის ლიდერ ნიუ ჯერსის ვაჯობეთ, თუმცა თავიდან გაგვიჭირდა, მერე სპალეიოფო ოქტეტში შევაბიჯეთ“ — თქვა რაფმა, რომლის შეგირდებმაც დომინიკ ჰაშეკის დაბრუნების შემდეგ თავიანთი ძალების ირწმუნეს და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

სამველ ღარიბიანი

AP ლეიკ პლესიდიდან

ლეიკ პლესიდის ცეკვაზე

ამერიკის ოლიმპიურ ქალაქ ლეიკ პლესიდში ზამთრის კეთილ ნების თამაშები მიმდინარეობს. ფიგურულად მოსრიალეთა შეჯიბრი მხიარული და ამოდ საცქერი გამოდგა, ქალთა შეჯიბრი, აი, ამ სურია ბონალიმ მოიგო. ნახეთ მალაყი და ეფექტი. კაცთა შორის მედალი ვერ აიღო ფრანგმა ფილიპ კანდელერომ, მაგრამ იგი ყოველთვის ითვლებოდა დ ითვლება ბატონ სიმპატიად. ახლაც მეტად ორიგინალური კოსტუმი და ცეკვა გამოუგონია — განთქმულ „ბრეივ ჰართის“ მუსიკაზე ცეკვას და სქოთურ კოსტუმს დიდი ტაში ხვდა წილად.

XX საუკუნის ფოტომატიანე

ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის ბობი ბიმონის 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (8,90 მ) 23 წელი ხელშეუხებელი იყო. უმრავლესობის აზრით, ბიმონის რეკორდის დამხობა მხოლოდ მაღალმთიან მეხიკოში, ისიც მხოლოდ მომავალ საუკუნეში იყო შესაძლებელი, თუმცა 1991 წლის 30 აგვისტოს, ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელი მაიკ პაუელი 8 მეტრსა და 95 სანტიმეტრზე გაფრინდა. აი, რას წერდა მაშინ „სარბიელი“.

— ... ეს იყო ორი დიდი სპორტსმენის (დღეს პაუელი სავსებით იმსახურებს ამ ეპითეტს) დიდი დუელი. ფინალში მათი შედეგები ყოველი ნახტომის შემდეგ სულ უფრო იზრდებოდა, რასაც ტრიბუნები აღტაცებაში მოჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტის ისტორიაში შვიდიდან ხუთი ყველაზე შორი ნახტომი სწორედ ტოკიოში შედგა. მესამე ცდაში ლუისმა 8 მ. და 88 სმ „იფრინა“ და ალბათ ბევრმაც გაიფიქრა, რომ ეს უკვე ჩემპიონის ნახტომი იყო. როგორც ჩანს, თვით სპორტსმენი არ დასჯერდა ამ შედეგს. მას სარეკორდო ნახტომი სწყუროდა და ოცნებობდა გაეკეთებინა ის, რაც სპრინტში შესძლო: ზედიზედ მესამედ მოეგო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და მან თითქმის შესძლო კიდეც ამის გაკეთება: როცა მეოთხე ნახტომის შემდეგ იგი დაეშვა ქვიშაზე, ტრიბუნებმა იფეთქეს — ელექტროტაბლოზე 8 მ და 91 სმ აინთო! მაგრამ ეიფორია დიდხანს არ გაგრძელდა. ელექტრონულმა ტექნიკამ ხტომის დროს დააფიქსირა, რომ ქარის სიჩქარე აღემატებოდა დაშვებულ ნორმას (2,9 მ/წმ.) და კარლს რეკორდი არ ჩაეთვალა.

რაც შეეხება პაუელს, იგი აჩრდილივით მისდევდა ლუისს, მისი რამდენიმე ცდა საკმაოდ კარგი გამოდგა, ოღონდ იმდენად არა, რომ მას ლუისისთვის გაესწრო. მაგრამ კულმინაციურ მომენტში მაიკმა გამოავლინა საუცხოო ნებისყოფა და მთელი თავისი ძალა ჩააქსოვა მეხუთე ნახტომში. ეს იყო ფანტასტიკური გაელვება, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი მოუტანა სპორტულ სამყაროს — 8 მ და 95 სმ!!! პაუელმა დაამხო მძლეოსნობაში ამ დღისთვის ყველაზე „ხანდაზმული“ მსოფლიო რეკორდი, გაუსწრო დროს და თვით ბიმონსაც დაახრევინა თავი...

ქალთა ყვანჯოსნობა

მალე ონტარიოს პროვინციის ქალაქ მისისაგუაში, ჰოკეისტ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. ფავორიტად, რა თქმა უნდა, კანადის ერთგული გუნდია. კანადელები ჩემპიონობას აპირებენ და ამ აზრის განსამტკიცებლად მწვრთნელები და ვარსკვლავები ტორონტოში, ჰოკეის წმინდა ადგილას, დიდების დარბაზში მისულან.

REUTERS ტორონტოდან

ამაგდარი

ეს ქალი, კარენ ლენგლენდი რომ ჰქვია, ოცდაოთხ წელიწადს იყო მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა მწვრთნელი. ახლა, გახურებული სტუდენტური შეჯიბრის დროს, ქალბატონი კარენი თავის უფლებებს თავისსავე მრავალწლიან თანაშემწეს გადასცემს. ეს სავარძელი და ფეხების დასასვენებელი სკამი კი ამაგდარი მწვრთნელისთვის მიჩიგანელებს მიურთმევიათ, ვითარცა ვალმოხდილმა საპენსიო ადამიანმა, ისე უყურე შენს ბოლო სამწვრთნელო მატჩს მშობლიურ კედლებშიო.



REUTERS ბუენოს აირესიდან

ანამ გაბის აჯობა

ბუენოს აირესში საჩვენებელი ჩოგბურთი გამართულა. რუსის კაი გოგო ანა კურნიკოვა იქაურ „ლოუნ ტენის ქლაბში“ განთქმულ და მომხიბვლელ გაბრიელა საბატინის შეხვედრია. ჩოგბურთის ორი ლამაზი ქალის შერკინება რუსის გამარჯვებით დასრულებულა, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ოთხი წელიწადია, რაც გაბრიელა ჩოგბურთს გამოეთხოვა და ამ ოთხ წელიწადში პირველად გავიდა კორტზე. ერთ დროს ქალთა შორის მესამე გაბი, ახლა წარმატებული ბიზნესმენია.

ინგლისი

I დივიზიონი

ბოლტონი 3:0 პორტსმუთი

II დივიზიონი

ბერი 0:2 კემბრიჯი

კარდიფი 0:0 ბრისტოლი

III დივიზიონი

ლინკოლნი 3:0 პლიმუთი

პიტერბრო 2:1 ჰალი

ჰოლანდია

ალკმარი 4:0 კამბური

1:0 ჰუბერტსი (14), 2:0 ოუდამი (47), 3:0 ერნანდესი (75), 4:0 ბოსმანი (82)

შოტლანდია

მოზერუელი 0:4 კილმარნოკი

სტ. ჯონსტონი 1:0 ჰიბერნიანი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli